8-65

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი სხივი

№ 4-5

ხახელმწიფო გამომცემლობა.

ლენინის სახელობის საპატმროსო მუშათა ბავშვების კოლექტივი.

# შინარსი


1. ახალგაზრდა ამხანაგებს, ბავშთა გაზ. „პირვ. მაისი"-დან . . . . 1
2. რატომ ვუქმობთ პირველ მაისს,—ბიჭიკოსი . . . . . 2
3. ორი მაისი—ბავშთა დღესასწაული,—დამსწრესი . . . . . 4
4. ბოგანო—თარგ. მ. დონდუასი . . . . . 5
5. გაზაფხული,—ლექსი ვ. რუხაძისა . . . . . 10
6. შავი მგელი,—ზღაპარი, პიესა სამ მოქმედებად დ. ნახუცრიშვილის. 11
7. გაზაფხულის პეიზაჟი,—(სურათები) სეზმანისა . . . . . 18
8. არაზინდოზე,—ლექსი ილია სიხარულიძისა . . . . . 20
9. აბასთუმანი,—მოგზარაკესი . . . . . —
10 წმინდანის ცეცხლი,—კირ. არჯევანიძისა . . . . . 23
11 ბავშთა ცხოვრება: სმენა, დუნინელო! ინგლისისა და ამერიკის პიონერები, გერმანიის პიონერები, პოლონეთის გამგზავსება. მოწაფეთა კომფერენცია . . . . . 25
12 მუინვარ წვერზე ასვლა გ. ნიკოლაძის წინასიტყვაობით მრ. ბეჟანიშვილისა . . . . . 29
13 ბავშთა შემოქმედება: წითელი სხივი, ლექსი შალვა კაპანაძე, . . . . . 
წითელი სხივი, ლექსი მ. გევლესიანი . .
14 გასართობების ახსნა. . . . . .

ნ-63.




ტფილისი 1924 წელი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის და ... ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის.

წელიწადი 1

აპრილი-მაისი № 4—5

# ახალგაზრდა ამხანაგებო!

პირველი მაისი — ეს დღესასწაულია საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის, ბრძოლის და გამარჯვებისა დღეის დღეს მთელი ქვეყნის მუშები უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, აორკეცებენ თავის ძალას და ცოდნას და ნათელყოფენ, რომ ისინი მზად არიან იბრძოლონ ბოლომდე—კაპიტალიზმის მძიმე უღლიდან კაცობრიობის გასანთავისუფლებლად.

პირველ მაისს მთელი ქვეყნის მუშები ირაზმებიან და მზად არიან თავს დაესხან მუშათა კლასის მტრებს—კაპიტალისტებს და მემამულეებს (ბურჟუაზიას).

ამ მებრძოლი რაზმების სამხედრო შტაბი კი არის მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, რომლის წითელ დროშის ვეშ თავს იყრის რაც კი უკეთესი და შეგნებულია მუშათა, გლეხთა და ახალგაზრდათა შორის.

ამ კომუნისტური ინტერნაციონალის სულის ჩამდგმელი, ბრძენი ხელმძღვანელი იყო ამხ. ლენინი. იგი თქვენთვის, ჩვენო ძვირფასო ბავშვებო, უნდა იყოს მაგალითი ბრძოლისა და მოწოდება კომუნიზმის დასამყარებლად.

ორი მაისი ბავშთა მომავალი რევოლიუციონური ძალების შეფასებაა. ჩვენი ბავშების, მოწაფეების ორგანიზაციულად შეკავშირების დღეა. თქვენ, ჩვენო რევოლიუციონერო ბავშებო! დღეს მჭიდროდ უნდა შეკავშირდეთ. მჭიდროდ უნდა შეკრათ თქვენი, სიცოცხლით სავსე რიგები, რომ ლენინის ცხოვრების, მოღვაწეობის და ბრძოლის მაგალითებზე ვისწავლოთ, თუ როგორი უნდა იყოს მებრძოლი გმირი ჩაგრულთა განთავისუფლებისათვის თავდადებული და ახალი ცხოვრების შემოქმედი.

თვითეულმა მოწაფემ უნდა იცოდეს: როგორ ცხოვრობდა ლენინი, როგორ იბრძოდა ის, რომ მალე თავადაც გახდეს შეგნებული მიმდევარი ლენინისა, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. და ამისთვის პირველ ყოვლისა საჭიროა: **სწავლა, სწავლა და სწავლა. შრომის, ბრძოლის და სწავლის** მეოხებით შეიქნებით თქვენ ნამდვილი მებრძოლი და შემოქმედი ახალი ცხოვრებისა.

თითეული ნაბიჯი, გადადგმული სწავლა-აღზრდის და განათლების სარბიელზე, თქვენ უნდა დაუკავშიროთ მშრომელი კლასის საერთო ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

შესწირეთ თქვენი ცოდნა და ძალღონე საერთო საქმეს. **აღიჭურვეთ ცოდნით**, აღივსენით მრისხანე სიძულვილით მტრების მიმართ, მხოლოდ მშრომელ კაცობრიობის მიმართ მუდამ გითრთოდეთ გული უსაზღვრო სიყვარულით, და ცოდნის ნათელი ჩირაღდანით ხელში აშუქეთ მშრომელთა ნარ-ეკლიანი გზა.

გაუმარჯოს პირველ მაისს—საერთაშორისო მუშათა დღესასწაულს.

გაუმარჯოს 2 მაისს—ბავშთა დღესასწაულს.

გაუმარჯოს ბავშებს—კომუნისტური ცხოვრების მომავალ შემოქმედთ.

გაუმარჯოს ჩვენს ბავშებს—მუშათა და გლეხთა დიქტატურის ბურჯებს.

**სოციალურ აღზდის მთავარ მართველობა.**

(ბავშთა გაზ. „პირველი მაისიდან“).

# რატომ ვუქმობთ პირველ მაისს

დიდი ხანია კაცობრიობა გაყოფილია რამოდენიმე დიდ ნაწილად: მშრომელთა—დაჩაგრულ და არამშრომელ—დამჩაგვრელ კლასებად. დღევანდელი მშრომელი ხალხი—პროლეტარიატად წოდებული, რომელსაც არ გააჩნია არავითარი საკუთრება და იარაღები, დიდ ჩაგვრას განიცდის არამშრომელ — ბურჟუაზიად წოდებულ კლასისგან, რომელიც ფლობს ყოველივე ქონებას და სამუშაო იარაღებს. ამავე გაბატონებულ — ბურჟუაზიულ კლასის ხელშია საზოგადოების და სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმე; იგი განაგებს სასწავლებლებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, ეკლესიებს და ყოველივეს.

რა თქმა უნდა გაბატონებულ კლასისთვის საჭიროა, რომ შეინარჩუნოს ასეთი კარგი მდგომარეობა, იგი ყოველმხრივ გზას უხშობს მუშათა კლასის განვითარებას და გაღვიძებას.

ერთად ერთი ძლიერი და გონიერი მტერი ბურჟუაზიისა არის სწორედ ეს მუშათა კლასი—პროლეტარიატი, რომელსაც ბურჟუაზია ამუშავებს თავის საკეთილდღეოთ, თავის გასამდიდრებლად და უბრუნებს მუშას ძლიერ მცირე ნაწილს იმისას, რასაც აკეთებს თავის შრომით და ჯაფით-

ბურჟუაზია ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებელი გამოსწოვოს მუშას, რაც შეიძლება მეტი ამუშაოს იგი, და რაც შეიძლება ნაკლები ქირა მისცეს. იგი ცდილობს დაუმალოს მუშას, ხალხს, თუ როგორ სცარცვავს იგი მშრომელებს, ამიტომ არ აძლევს სწავლის საშუალებას მუშების შვილებს, რადგან იცის, რომ ნასწავლი მუშა გაიგებს იმ ბოროტებას, რასაც სჩადიან მჩაგვრელები, გაიგებს თუ რა გზით შეიძლება ამ ჩაგვრის თავიდან მოცილება.

მაგრამ არ სძინავს მუშათა კლასსაც. წინეთ იგი ვერ ხვდებოდა თავის ჩაგვრისა და სიღარიბე სიღატაკის მიზეზებს. საუკუნოების მანძილზე, მძიმე შრომაში, ოფლში გაწურული, მანქანებზე მიკრული, როგორც ცხოველი, მუშაობდა მშრომელი ხალხი. მან არ იცოდა დღე მოსვენება. დილას დაჰკრავდა შვიდი საათი და ყველა მუშა მიდიოდა მძიმე ტანჯვის—შრომის ასატანად. დილიდან დაღამებამდე, მოუსვენებლივ თავჩაღუნულნი, როგორც მონები, მუშაობდენ ისინი; ღამე დაღლილნი მიდიოდენ ნესტიან სარდაფებში საძინებლად. ღამეც არ ჰქონდათ მათ მოსვენება, ხშირად ღამეც განაგრძობდენ მუშაობას, რომ სარჩო მოეპოვებიათ. არ ჰქონდათ მათ საქმელი. უძილობით, უქმელობით და მძიმე მუშაობით ათასობით და ათიათასობით იხოცებოდენ.

ასეთი აუტანელი იყო მდგომარეობა მშრომელი ხალხისა, და ისინი ვერ გებულობდენ თავიანთ ჩაგვრის მიზეზს. იჩაგრებოდენ უხმოდ, ყოველივე ტანჯვას იტანდენ თავებ ჩამოშვებულნი. ვერავინ გაბედავდა ხმის ამოღებას, ან ვის უნდა შეებრალებია მშრომელი ხალხი!

მაგრამ გადის დრო და წლები მძიმე ჯაფაში და მშრომელი ხალხი თანდათან ერკვევა თავის მდგომარეობაში, ერკვევა და იგებს, რომ მათი ჩაგვრის მიზეზი ეშმაკი და მანქანები კი არ ყოფილა, არამედ ისევ ადამიანები. ადამიანები მათებრ მომაკვდავნი, რომლებიც განაგებენ მათ, რომლებიც მონებივით ამუშავებენ მუშებს თავიანთ ჯიბეების და მუცლის სასარგებლოდ.

მშრომელმა ხალხმა თანდათან შეიგნო ყოველივე, თანდათან გაიგო ჭეშმარიტება. და მან დაიწყო მუდმივი ბრძოლა თავის მტრების წინააღმდეგ. ბრძოლა ხანგრძლივი და შეუბრალებელი. მუშათა კლასი მოითხოვს თანასწორობას, ძმობას, ერთობას. იგი მოითხოვს, რომ ნაშრომი ისევ მშრომელებს ჰქონდეთ, რომ ყველამ იმუშაოს და ყველამ შეასრულოს საქმე, რომ ყველა იყვეს მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილე საერთო საქმის, რომ ყველა იყვეს ერთნაირად ბედნიერი.

მუშათა კლასმა ამიტომ დაიწყო ბრძოლა იმ ბატონების და მჩაგვრელების გადმოსაგდებად, რომლებიც საუკუნოების მანძილზე, მძიმე ტვირთად აწვენ მათ ზურგს. მან დაიწყო გაფიცვები, მუშაობის დამტოვებით, დემონსტრაციები ქუჩაში წითელი სისხლიანი დროშით ხელში გამოსვლა თავის უფლებების დასაცავად.

რათა ძლიერი და შეურყევი ყოფილიყო მუშათა კლასი—იგი აარსებდა თავის კავშირებს, ჯგუფებს, პარტიებად და კავშირებად წოდებულს—გაბატონებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი აარსებდა თავის კლუბებს და თეატრებს ბურჟუაზიის ეკლესიების მაგივრად, თავის კოოპერატივებს და ამხანაგობებს, ბურჟუაზიულ დუქნებისა და საეჭროების მაგივრად. მუშათა კლასს არ მოსწონდა აგრეთვე ის სარწმუნოებრივი უქმეები მჩაგვრელ ბურჟუაზიისა, რომლებსაც ისინი იგონებდენ, და რომლის დროს ისინი ქეიფობდენ.

მშრომელი კლასი ამ თავისთვის შექმნილ და მომავალში შესაქმნელ ცხოვრებისათვის იბრძვის ჯანყებებით იარაღით ხელში, დემონსტრაციებით, თუმცა მას არ უნდა სისხლის დაღვრა, რასაც აიძულებს ბურჟუაზია. ამიტომ მუშათა კლასმა გადასწყვიტა აერჩია რომელიმე თავისი უქმე—საბრძოლველი დღე, რომლის დროს იგი არ იმუშავებდა, დასტოვებდა ქარხნებს და ფაბრიკებს და გავიდოდა გარედ ქუჩებში, წითელი დროშებით ხელში, მღერით და მუქარით, რათა ეჩვენებია მჩაგვრელებისთვის, რომ მუშათა კლასი მზად არის ბრძოლისთვის, რომ იგი ახლო მომავალში დაამხობს მის ბატონობის საზიზღარ ბორკილებს.

ასეთ უქმედ მუშათა კლასმა აღიარა **პირველი მაისი**.

**პირველი მაისი.**

ეს ის დღეა, როცა ყოველივე ჰყვავის და ჰხარობს, როცა ბუნება იღვიძებს ზამთრის ძილისგან, როცა მცენარეები ამწვანდებიან, ჩიტები მორთავენ მშვენიერ გალობას და შეეგებებიან მომავალ გაზაფხულს, თავისი მხიარული გალობით. ადამიანიც, გლეხები და მშრომლები ხარობენ ამ ბუნების სიმშვენიერით. ამ მშვენიერ დროს აირჩია მშრომელებმა ეს დღე უქმისთვის. ისინი უქმობენ გაზაფხულის ბუნებას, რათა მალე, სულ მალე, იუქმონ გაზაფხული ადამიანის თავისუფალ და ლამაზი ცხოვრებისა.

არ უხარიათ ბურჟუებს და მდიდრებს, როცა მუშები გამოდიან მათ წინააღმდეგ და სდევნიან მათ, უშლიან ხელს და ჰკლავენ; როცა ისინი უქმობენ პირველ მაისს.

ყველგან მთელ ქვეყანაზე, გაბატონებულია ბურჟუაზია—გარდა ჩვენი ქვეყნისა. ჩვენში და მთელ რუსეთში გაბატონებულია მუშათა კლასი. ისინი განაგებენ თავიანთ ქვეყანას და თავისივე ხელით ირჩენენ თავს.

და მხოლოდ აქ, ამ ჩვენ მშრომელთა საბჭოთა რესპუბლიკებშია ნებადართული პირველი მაისი. ეს უმთავრესი უქმე მშრომელებისა, რომელსაც ისინი თავისუფლად უქმობენ, გამოდიან ქუჩებში წითელი დროშებით, ბრწყინვალე მომავალს ესალმებიან.

ყველგან, სხვა ქვეყნებში, მუშათა კლასისთვის ჯერ აკრძალულია ეს უქმე, მაგრამ ისინი გამოდიან და მაინც უქმობენ. ტყვიების წვიმაში, ცეცხლში და ბრძოლაში უქმობენ ისინი თავის უქმეს და უჩვენებენ მტრებს თავის ძლიერებას. მალე მოვა დრო, როცა მთელი მსოფლიოს მუშები გამარჯვებულნი უშიშრად და მხიარულად იუქმებენ პირველ მაისს.

**ბიჭიკო.**

ტფილისის მეოთხე რაიონის საქარხნო სკოლის კოლექტივი.

# ორი მაისი—ბავშთა დღესასწაული

ბავშების ყოველგვარი თავყრილობა დღესასწაულის სახის მატარებელია. საკმარისია შეიკრიბოს რამდენიმე ბავში ერთად, რომ იქ მხიარულება, სიცოცხლე და მოძრაობა გაჩაღდეს. ასეთია საზოგადოდ ბავშის ბუნება. აი, ამ თვისების გამოყენება განსაზღვრული მიზნისათვის, სწორედ რომ გონივრული საქმეა. ბავშს ყველაზე უფრო უყვარს თავისი საზოგადოების ფერხულში ჩაბმა. **ორი მაისი** ჩვენი ბავშების ორგანიზაციულად შეკავშირების დღეა. **ორ მაისს** ჩვენი ბავშები გამოვიდენ ქუჩებში წითელ დროშებით და ძმურად გაუწოდეს ერთმანეთს გრძნობით ნორჩი ხელები ცხოვრების ფერხულში ჩასაბმელად. მათი მხიარული ყიჟინა, სიცოცხლით გაბრწყინვებული თვალები, მკვირცხლი სიმღერა და ჟრიამული აღვიძებდა ქალაქის ქუჩებს და მაყურებელს არწმუნებდა იმაში, რომ ასეთი სიცოცხლით აღსავსე თაობა, მართლაც რომ მომავალი ცხოვრების შექმნის თავდებია. ქუჩები აავსო პაწიების მკვირცხლმა ტალღებმა. აგერ მწკრივებით სვლა, დროშების წითელი ყვავილების ფრიალი და მხიარული სიმღერა; აგერ ავტომობილები, ბავშებით შეკაზმულები: ტაში, ყიჟინა, ვაშას ძახილი. აგერ, მთავრობის სასახლის წინ აღმართული ტრიბუნა და იქიდან პაწია ორატორების სიტყვები, თავისი ამხანაგებისადმი შეკავშირებისაკენ მიმართული. მუსიკის გრიალი, ბავშთა მკვირცხლი სიმღერის წკრიალი, ტაში, ვაშას ძახილი, ინტერნაციონალის მღერა ერთმანეთში მწყობრად ექსოვებოდენ და ქმნიდენ ისეთ ჰარმონიას, რომელიც ადამიანს ტანში ტკბილ ჟრუანტელს გვრის. სწორედ რომ ბავშთა დღესასწაული იყო, უკეთეს დღესასწაულს ბავშებს ვერ გავუმართავთ.

**ასეთ დღესასწაულად, ბავშების რევოლიუციონური ბუნების ცხადსაყოფად და გარკვეულ მიზნებისაკენ წასამართავად იქცა ჩვენში ორი მაისი, რომელიც შესაფერ ადგილს დაიჭერს ბავშთა მოძრაობის ისტორიაში.**

**დამსწრე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოგანო*)

ერთ უდაბურ ადგილას, რომელიც მოწყვეტილი იყო არე-მარეს, მაღალი მთის ქვეშ მდებარეობდა პატარა სოფელი.

ამ პატარა სოფლის მცხოვრებნი მეტად ღარიბი იყვენ, რადგან მთიდან ცივი ქარი ბერავდა და მოსავალს სრულიად ანადგურებდა; ნიადაგი სილიანი, მწირი იყო, ასე რომ გარშემო დიდი გაჭირება სუფევდა. სამაგიეროდ მთის ფერდობზე, და სოფლის გვერდით, შვენიერი, დიდი ტყე იყო. სოფლელები შედიოდენ ამ ტყეში, სჭრიდენ ას წლოვან უზარმაზარ ხეებს, ჰყიდდენ და მოგებული ფულით ძლივს-ძლივობით თავს ინახავდენ.

მართალია, ეს სამუშაო მეტად მძიმე იყო: ზაფხულობით გლეხები ოფლში იწურებოდენ — უნდა მოეჭრათ ტყე აუტანელ სიცხეში, ხოლო ზამთრობით, საშინელ სიცივეში, მარხილით უნდა გადაეზიდათ მოჭრილი და გაყინული ხეები, რის გამოც მათ ხელ-ფეხი ეყინებოდათ და უსივდებოდათ. ასეთმა მძიმე მუშაობამ სოფლელებს ხასიათი გაუფუჭა: ისინი მუდამ გაბუტული და დაღვრემილი იყვენ და სოფლად არაოდეს არ ისმოდა არც მხიარული სიცილი, არც ხუმრობა და თამაში.

ერთი დიდი ტყის შუა გულში იდგა ქოხი და შიგ ცხოვრობდა უცხო კაცი თავისი შვილით. გლეხებს ამ კაცის ძალიან ეშინოდათ და ამიტომ „კუდიანს“ ეძახდენ. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მოხუცს სავსე ჰქონდა ქოხი უცნაური იარაღებით. თვითონ კი მთელი დღე და ღამე რაღაც დიდ მანქანაზე მუშაობდა. ეს მანქანა თავისით მოძრაობდა და უშვებდა ორთქლს. ამასთანავე ხმა-მაღლა გაიძახოდა: „ჩუხ-ჩუხ! ჩუხ-ჩუხ“-ო. ბავშები ახლოც ვერ ეკარებოდენ ამ ქოხს, უფროსები კი გვერდს უვლიდენ ხოლმე „კუდიანს“, რადგან ეშინოდათ, მათთვის ზიანი რამ არ მიეყენებია.

გლეხების ამგვარი შიში სრულიად უაზრო იყო, იმიტომ რომ ეს ვითომც და „კუდიანი“ მხოლოდ და მხოლოდ ჭკვიანი და კეთილი ადამიანი იყო, რომელსაც სტანჯავდა გლეხების სილარიბე და მძიმე შრომა და ცდილობდა თავის მოძმეს როგორმე დახმარებოდა.

ის ხედავდა, რამდენი ძალ-ღონე უნდებოდა პატარა ხერხით უზარ-მაზარი მსხვილი მორების დახერხვას; ხედავდა, როგორ წვალობდენ გლეხები, როგორ ნელა სწარმოებდა მათი მუშაობა და ამიტომ უნდოდა ისეთი მანქანა გამოეგონებია, რომელსაც შეეძლო გაეკეთებია იმდენი, რამდენსაც ათი ღონიერი ვაჟკაცი შესძლებდა და იმავე დროს ასეთი მანქანის ხელმძღვანელობა შესძლებოდა ერთ პატარა ბიჭსაც.

რამდენიმე წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობდა თავის ქოხში „კუდიანი“. დაბერდა. გათეთრდა კიდეც და ბოლოს, როგორც იყო, გაათავა თავისი საქმე. მაშინ სიხარულით შეხედა თავის მანქანას, დაიკრიფა აკანკალებული ხელები გულზე და სთხოვა შვილს გლეხებისთვის დაეძახებია.

მიუხედავათ იმისა, რომ სოფელი შეშინებული იყო, ცნობისმოყვარეობამ მაინც დასძლია და გლეხები გაჰყვენ ბიჭს. როდესაც ყველა შეიკრიბა, „კუდიანის“ შვილმა მოათრია სხვილი მორი და მანქანის ქვეშ დადვა, „კუდიანმა“ დააჭირა ხელი ტარს და მანქანა ხმამაღლა აჩუხჩუხდა, მერმე ღრუბელივით თეთრი ორთქლი გამოუშვა. ამის შემდეგ მორზე დაეშვა ვეებერთელა ხერხი და დაიწყო მოძრაობა წინ და უკან, წინ და უკან: „ხე-ხე! ხე-ხე!“ — გაიძახოდა და ყველას თვალწინ ეს სხვილი მორი ისე სწრაფად გადაიხერხა, როგორც წვრილი შეშის ღერო.

მაყურებლები თითქოს მოჯადოებული იყვენ ასეთი მოულოდნელი სანახაობით და ენაც ვერ ამოეღოთ. ხოლო როცა გონს მოვიდენ, ერთიმეორეს ასწრებდენ, ეკითხებოდენ „კუდიანს“:

— მე გავაკეთე „ბოგანო“! — სთქვა მოხუცმა — რომელიც მოგეხმარება თქვენ მუშაობაში. ცუდია, როცა იდამიანი იმდენს შრომობს, რომ დასასვენებელი დროც აღარ რჩება. აქამდე თქვენ მთელი დღე შრომობდით — „ბოგანო“ კი გაგითავებთ სა-

*) ბოგანო — პროლეტარი, უმამულო გლეხი.

ნუშაოს სულ რამდენიმე საათში, და თქვენ დაგრჩებათ დრო გამოეთამაშოთ შვილებს, გამოელაპარაკოთ ცოლებს და საზოგადოდ, იცხოვრებთ ისე, როგორც შეეფერება ადამიანს.

შემდეგ მან აჩვენა გლეხებს, როგორ უნდა აემოძრავებიათ ხერხი, და ყველა დარწმუნდა, რომ ეს ძალიან ადვილი იყო — ათი წლის ბავშიც კი მოახერხებდა.

გლეხებს ძალიან მოეწონათ მანქანა, მაგრამ მადლობის თქმა ვერ მოეხერხებიათ. მოხუცმა თვითონ გამოიყვანა ისინი ამ უხურხულ მდგომარეობიდან, მაღლა ასწია ხელი და მკაცრად წარმოსთქვა:

— ეს „ბოგანო“ თქვენთვის მიჩუქებია, მაგრამ გახსოვდეთ: არ გადაგექცეთ ბატონად, რადგან მაშინ ის იქნება ულმობელი, საშინელი ბატონი, რომელიც ჩაყლაპავს თქვენსა და თქვენი ბავშების სიცოცხლეს.

გლეხებს გაეცინათ და უპასუხეს:

— შენ გვეხუმრები! როგორ შეიძლება, რომ უსულო საგანმა, რომელიც რკინისა და ტყავისაგანაა გაკეთებული, იბატონოს ცოცხალ ადამიანზე.

მოხუცმა ჩაფიქრებით შეხედა მათ და უპასუხა:

— სანამ ეს „ბოგანო“ მთელი თქვენი საზოგადოების საკუთრება იქნება, კარგი მუშა იქნება და მოგეხმარებათ კიდეც. მაგრამ, თუ ის ერთმა კაცმა დაისაკუთრა, მაშინ ეს თქვენი ერთგული „ბოგანო“ სასტიკ ბატონად გადაგექცევად და აღარ გაგახარებთ. ამიტომ პირობას მოვითხოვ, რომ ეს ახალი „ბოგანო“ მთელი სოფლის საკუთრებად დარჩეს.

შემდეგ მოხუცი მიუბრუნდა თავის ვაჟს და დაუბარა:

— ეს „ბოგანო“ შენთვის ჩამიბარებია: ყველას ათხოვებ, ვისაც კი დასჭირდება. სანამდე არ უღალატებ ამ ანდერძს — დალოცვილი იქნები, ხოლო, რა წამს შენივე მიზეზით ეს „ბოგანო“ ერთი კაცის საკუთრება გახდება, დაგწყევლი შენც და შენს შთამომავლობასაც.

გლეხები დაპირდენ მოხუცს, რომ „ბოგანო“ საუკუნოდ სოფლის იქნება და ვერავინ გაბედავს მის დასაკუთრებას. გულში კი ეცინებოდათ ასეთი ახირებული გაფრთხილების გამო.. სოფლის მამასახლისი კი ამ დროს ასე ფიქრობდა „საწყალს, სიბერისაგან ჭკუა სულ გამოლევია! „აბა, რა საკვირველია, რომ ხერხმა სასწაული მოახდინოს და ჩვენს ბატონად გადაიქცეს? ჩერჩეტი ბებერი!“ არც მოხუცის შვილი ჩაუკვირდა მამის ანდერძს და სხვებთან ერთად დასცინოდა მას, თუმცა არ ეწინააღმდეგებოდა, რომ მამას უკან არ წაეღო ძვირფასი საჩუქარი.

კეთილი მოხუცი თითქოს უცდიდა მანქანის დასრულებას. რამდენიმე დღეში ავად შეიქნა და გარდაიცვალა. მაგრამ, სანამ თვალებს სამუდამოდ დახუჭავდა, მან კვლავ გაიმეორა თავისი ანდერძი. უკანასკნელი მისი სიტყვები იყო: „ფრთხილად იყავით, „ბოგანო“ ბატონად არ გადაგექცესთ“!

მხიარული დრო დადგა სოფელში. „ბოგანო“ რამდენიმე საათში ათავებდა ისეთ სამუშაოს, რომელზედაც გლეხები დღე და ღამე წვალობდენ და, რადგან ახლა ფსინი აღარ იღლებოდენ, და ბევრი თავისუფალი დროც რჩებოდათ — მხიარულობდენ, თამაშობდენ და მუდამ მიჩუმებული, მკვდარი სოფელი გამოცოცხლდა. ყველა იცინოდა, ხუმრობდა, გლეხები დამეგობრდენ, შეიყვარეს ერთმანეთი, რადგან მძიმე შრომისგან აღარ სტკიოდათ სხეული და უფრო მეტ ხანს მოსვენებული იყვენ.

მალე მთელი სოფელი და მახლობელი ადგილები ბედნიერ კუთხედ გადაიქცა. ცხოვრება ისე სასიამოვნო გახდა, რომ ხშირად შორეულ ქვეყნებიდანაც ჩამოდიოდენ იქ დასასახლებლად, რადგან ასეთი შვენიერი ადგილი სხვაგან არ მოიძებნებოდა.

„კუდიანის“ შვილი გულუბრყვილო, კეთილი ყმაწვილი იყო. მამის საჩუქარს ის სინდისიერად ინახავდა. ძალიან უხაროდა სოფლის ასეთი აყვავება, თან ეცინებოდა, როცა მოიგონებდა მამის გაფრთხილებას. „ბოგანო“ მუყაითად მუშაობდა, ქშინავდა, ორთქლს უშვებდა და ემორჩილებოდა ხელის ცოტაოდენ მიმოხვრას. აბა, საიდან გამოიგონა მამაჩემმა, რომ ასეთი მორჩილი მანქანა სოფლის ბატონად გახდებაო?!..

გაიარა რამდენიმე წელმა. ერთხელ სოფელს ვიღაცა კაცი ესტუმრა. ის მდიდრულად იყო ჩაცმული; დიდ, მსუქან მუცელზე ოქროს ძეწკვი ეკიდა; ჯიბეებში ოქროს ფულებს არიჩინებდა და ბევრს ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ რა შვენიერია შორეული ქვეყნები.

მისმა სიამაყემ და სიდინჯემ გააბრაზა გლეხები, და მოისურვეს დაემტკიცებიათ სტუმრისთვის, რომ არც ისეთი ღარიბი იყვენ, რომ მათ ეკუთვნოდათ ისეთი საუნჯე, რომლის ბადალი მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა. ამ მიზნით გლეხებმა წაიყვანეს სტუმარი დიდ ფარდულში, სადაც „ბოგანო“ იყო მოთავსებული და აჩვენეს. სწრაფად და კარგად მუშაობდა ის.

უცხოელი გაშტერებული და პირდაღებული ადევნებდა „ბოგანოს“ თვალს. ბოლოს კუთხეში ჩაცუცქდა და ღრმად ჩაფიქრდა.

იმ დღესვე გაეშურა ის „კუდიანის“ ქოხისა-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

* ტ ფ ი ლ ი ს *

კენ და შესავალ კარებზე დააკაკუნა. როცა ყმაწვილმა კარები გაუღო და ოთახში შიშველი, სტუმარმა გამოუცხადა, რომ სურვილი აქვს „ბოგანო“ იყიდოს.

— ეს შეუძლებელია!—უპასუხა ყმაწვილმა. — მამას ჩვენ პირობა მივეცით, რომ „ბოგანოს“ ერთი კაცის საკუთრებად არ გავხდით!

უცხოელმა ამოიღო ჯიბიდან ერთი მუჭი ოქროს ფული,—შეხედე ამ ოქროს, შენ შეგიძლია ყველა ქკეყნები შემოიარო, შეგიძლია მდიდარი ბატონი გახდე, ლამაზად ჩაიცვა, დაიხურო, ოქროს ძეწკვიც ატარო!..

ყმაწვილმა დაღონებით შეხედა, მას ძალიან სურდა ასე უცებ გამდიდრებულიყო; მაგრამ ვერ ბედავდა მიცემული პირობის დარღვევას. დიდხანს არწმუნებდა უცხოელი, მაგრამ ყმაწვილი არ თანხმდებოდა და სულ იმას გაიძახოდა: „მე ვერ გავბედავ-ო“. გულში კი სწყევლიდა მამის სისულელეს, რომელიც საშუალებას არ აძლევდა ასე ადვილად გამდიდრებულიყო.

მეორე დღეს უცხოელმა შეკრიბა გლეხები, გადაიბროლა ორი მუჭი ოქროს ფული და უთხრა მათ:

— მომყიდეთ „ბოგანო“!

— ჩვენ ვენ გავბედავთ!—ერთხმად უპასუხეს გლეხებმა. ზოგიერთი მათგანი კი ხარბი თვალით შესცქეროდა ოქროს და გულში ფიქრობდა: „კუდიანი“ მკვდარია და რას გაიგებს, თუ რას ვშვებით? რატომ არ შეიძლება გავყიდოთ „ბოგანო“?

— მომისმინეთ!—დაიწყო უცხოელმა,—მე პირობას დაგიდებთ, რომ თქვენი „ბოგანო“ აქვე დარჩება, თქვენსავე სოფელში იმუშავებს. მე რომ მომყიდით, თქვენთვის უკეთესი იქნება, რადგან მე მოგცემთ სამუშაოს, თქვენ კი ყოველ კვირაში მიიღებთ ხელფასს და აღარ იზრუნებთ ხე-ტყის გადაზიდვაზე. საქმის მთელ სიმძიმეს, ყოველგვარ მზრუნველობას მე ჩემს თავზე ვღებულობ, რადგანაც თქვენ მიყვარხართ. თქვენი საქმე პატარა იქნება: ყოველ კვირას ფულის აღება. არ გასულელდეთ, უარი არ მითხრათ! ხომ ხედავთ, რა გულკეთილი ვარ, და რომ კეთილი მსურს თქვენთვის? დამიჯერეთ!..

მამასახლისმა მოიქექა ქოჩორი და გადახედა სხვებს. შემდეგ მიუახლოვდა და უცხოელს გვერდში ამოუდგა. მან ჩააცქეროდა მამასახლისს და სთქვა: „ჩანს ყოჩაღი ხარ და შენი ძმების კეთილდღეობაზე ზრუნავ! ნება მომეცი, ხელი ჩამოგართვა!“ როცა უცხოელმა ხელი ჩამოართვა, მამასახლისმა მუჭში ოქროები იგრძნო.

უცხოელმა კვლავ მიმართა ხალხს:

— ჩემო მეგობრებო! გამოუცდელობისა და უბადინარობის გამო თქვენ დღემდე ხე-ტყეს ერთსა და იმავე ფასში ჰყიდით. მე კი გავყიდი ორჯერ-სამჯერ მეტად!

— მერმე ჩვენ რა, შენ რომ დიდი მოგება გექნება თუ კი ჩვენ მუდამ ერთი და იგივე ხელფასი დაგვრჩება?—წამოიყვირა ბრაზმორეული „კუდიანის“ შვილმა.

უცხოელმა დიდი ბრძნული სახე მიიღო და ჩაფიქრებულად წარმოსთქვა:

— ჩემო საბრალო მოგობრებო! რა ბრიყვები ხართ! დადგება დრო, როცა შეშა არავის დასჭირდება, მე კი დამრჩება მომარაგებული ტყე, ხოლო ჯიბე ცარიელი, თქვენ კი ყოველ კვირას მოგეცემათ დანიშნული ქირა.

მან ამოიღო აბრეშუმის ცხვირსახოცი, ამოიწმინდა თვალები და, ვითომც მღელვარებისგან, ხმა აუკანკალდა.—შეიძლება, მე დიდი სიღარიბე მომელოდეს, შეიძლება მათხოვარიც გავხდე, მაგრამ მე მიყვარს ადამიანი! თქვენ კი განსაკუთრებით მიყვარხართ, და ამიტომაც არაფრის მეშინია! მე გული მტკივა, როცა ვხედავ, თუ რამდენ ძალ-ღონეს ანდომებთ ხე-ტყის გადაზიდვას. მინდა ეს მძიმე საქმე მე ვიკისრო. იმასაც კი ვწუხვარ, რომ ახლანდელი თქვენი მოგება შემთხვევაზეა დამოკიდებული, არა საიმედოა!..

და „კეთილიშობილი“ უცხოელი, ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, მწარედ ატირდა. მაშინ მამასახლისი წინ წამოდგა, მიმართა გლეხებს, და გამოუცხადა მათ, რომ სტუმარი მართალს ამბობს; რომ გლეხები მართლაც სულელები იქნებიან, „ბოგანო“ რომ არ მიჰყიდონ. დიდ ხანს არწმუნებდა მამასახლისი, გლეხებმაც მოიწონეს ეს წინადადება და ბოლოს ერთხმად დაიყვირეს:

— მივყიდოთ „ბოგანო“.

„კუდიანის“ შვილი კი ძლიერ დაღონებული იჯდა შორი-ახლოს. მისმა კეთილმა, მაგრამ სულელმა თავმა ვერ მოისაზრა, რატომ დაუღონდა გული, მაგრამ მალე გამოერკვა, საშინლად შეშინდა და ხმა მაღლა დაიყვირა.

— არ გაბედოთ! არ გაყიდოთ ,,ბოგანო,'' მე მაგის ნებას არ მოკცემთ!

ამ სიტყვაზე ყმაწვილი მივარდა უცხოელს, უნდოდა დაეხრჩო. უცხოელმა დაიყვირა:

— შეხედეთ! აი, ვინაა თქვენი მტერი! მე თქვენთვის ბედნიერი, უდარდელი ცხოვრება მსურს, ეს კი ხელს მიშლის. დაიჭირეთ თავხედი!

გლეხები შემოესივენ ყმაწვილს.

— სანამ ეს ბოროტი ბიჭი აქ იცხოვრებს,— განაგრძო უცხოელმა,—სოფელი ვერ დამშვიდდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააძევეთ შორს! და თუ გაბედა დაბრუნება,—მოჰკალით!

გლეხებმა წაათრიეს ყმაწვილი სოფლის საზღვრამდე და ცემა-ტყეპით ტყეში შედენეს. მწარედ ტიროდა ყმაწვილი და როგორც ჭკუაზე შეშლილი—ყვიროდა:

— „ბოგანო“ ბატონად გადაგექცევათ, „ბოგანო“ ბატონად გადაგექცევათ!

იყიდა თუ არა „ბოგანო,“ უცხოელი სწრაფად გარდაიქმნა: მისგან მოფერება აღარავის უნახავს, ის მხოლოდ ბრძანებლობდა, ყვიროდა და საჩივარსაც არ ისმენდა. სამუშაო მან ყველა გლეხების შორის გაანაწილა: ზოგი მათგანი დიდ ფარდულში მუშაობდა, ზოგს მძიმე მორები უნდა მოეთრია; ზოგს კი დამზადებული ფიცრები სოფლიდან უნდა გაეზიდა. ამრიგად მუშაობა გაჩაღებული იყო. როცა ვინმე ავად გახდებოდა და ეტყოდა: „მე დღეს მუშაობა არ შემიძლია“-ო—უცხოელი დაიბღავლებდა:

— ყეთილი, დღეს შენ ნუ იმუშავებ, მაგრამ იცოდე, ფულსაც გამოგიქვითავ!

ამ სიტყვის გაგონებაზე საწყალი ავადმყოფი კვნესით წაფორთხდებოდა სამუშაოდ.

პირველად გლეხები მხიარული და კმაყოფილი იყვენ. ხელფასს ისინი ყოველ კვირას ღებულობდენ, მაგრამ მალე დაინახეს, რომ ის ფული საცხოვრებლად არ ყოფნიდათ.

ამავე დროს უცხოელმა აიშენა თავისთვის ძვირფასი სასახლე. როცა სასახლე მოწყობილი იყო, მასთან მივიდა ერთი მუშა და უთხრა:

შენ გამდიდრდი და რასაკვირველია, ხე-ტყეს ჰყიდი სამჯერ უფრო ძვირად. სხვა გზით ხომ არ შეგეძლო ამ სასახლის აშენება? ჩვენი ხელფასი პირვანდელი რჩება. არ შეიძლება ესეც სამჯერ გაადიდო?..

საშინლად გაჯავრდა უცხოელი. მან დაუძახა თორმეტ შეიარაღებულ მოჯამაგირეს, რომლებიც ქალაქიდან ჰყავდა მოყვანილი, და უბრძანა მათ ჩამოეხრჩოთ ეს თავხედი მუშა მახლობელ ხეზე.

როცა გლეხებმა ეს დაინახეს, შეშინდენ. კრინტის დაძვრასაც ვეღარ ჰბედავდენ. ხელფასის მომატებაზე საჩივარს როგორ გაიმეორებდენ, მით უმეტეს, რომ იარაღი არა ჰქონდათ.

დიდი რკინის შენობაში, სადაც „ბოგანო“ იყო მოთავსებული, უცხოელმა საყვირი მოაწყო და დილით, როგორც კი გაიგონებდენ მის ხმას, მუშები თავქუდმოგლეჯილი გარბოდენ სამუშაოდ, რადგან, რომ დაგვიანებოდათ, ჯარიმას გადაახდევინებდენ.

ერთხელ ერთ მუშას ჩასძინებოდა და საყვირის ხმა ვერ გაეგონა, მისმა პატარა ვაჟმა ღვიძება დაუწყო და აკანკალებული ხმით ეუბნებოდა:

— ჩქარა, ჩქარა წადი! ბატონი გეძახის!

მამამ გაკვირვებით შეხედა პატარას და უცებ მოაგონდა გარდაცვალებული მიხუცის ანდერძი.

საღამოს მან უამბო ამხანაგებს ამის შესახებ. გლეხებმა ღრმად ამოიოხრეს. გამოუტყდენ ერთმანეთს, რომ „ბოგანო“ მართლაც ბატონად გადაექცათ და თვითონ კი მისი მონები იყვენ.

„ბედნიერი“ სოფელი დაბნელდა, დაყრუვდა, მცხოვრებლებს აღარ ეცალათ ხუმრობისთვის: ისინი ილლებოდენ, ბუტბუტობდენ, და ყურებჩამოყრილი დადიოდენ.

რკინის ფარდულის გვერდით უცხოელმა უზარმაზარი სახლი ააშენა და იქ წუმწუმებს ამზადებდენ. აქ პატარა ბავშვებსაც უნდა ემუშავათ. დედა ქალები ხომ კარგი ხანია ჩათრეული იყვენ ვაჟკაცების საქმეში, რადგან ქმრების პატარა ხელფასი ოჯახს არ ყოფნიდა.

ერთხელ სოფელში ჩამოვიდენ ვილაცა კაცები, უცხოელმა მოათავსა ისინი ორ ცარიელ სახლში. გლეხები ეკითხებოდენ თავის თავს: „ვინაა ეს ხალხი, რისთვის ჩამოსულან? მუშაობით ისინი არ მუშაობენ და თითქოს რაღაცას მოელიან“. არ გასულა დიდი ხანი გლეხებმა მიიღეს ამ კითხვაზე პასუხი.

ერთ დღეს უცხოელმა მიიწვია მუშები და დაღრეჯილი სახით უთხრა:

— თქვენი მიზეზით, იმიტომ რომ თქვენ მე მიყვარდით, უკანასკნელად ძალიან ვიზარალე, პირდაპირ დავლარიბდი. ხე-ტყე ახლა ღირს ორჯერ ნაკლები, ვიდრე წინეთ. ამიტომ ახლანდელი ხელფასი უნდა გაგინახევროთ.

შეშინებულმა მუშებმა ერთმანეთს გადახედეს, ისინი ისედაც ძლივს აკმაყოფილებდენ ოჯახის მოთხოვნილებას და ვერ წარმოედგინათ ამაზე უფრო დაკლებულ ხელფასში მუშაობა. სიშილისაგან ცოლ-შვილი დაეღუპებოდათ. ეს აღარ იყო მოსათმენი!

აი, გამოვიდა ერთი ახალგაზრდა მუშა. მისი სახე ცეცხლივით ანთებულიყო სიბრაზისაგან, და ამაყად წარმოსთქვა:

— ნახევარ ფასში ჩვენ არ ვიმუშავებთ!

გაბოროტებულმა უცხოელმა დაბალი ხმით ჰკითხა:—აბა რას იზამთ? კვლავ დაიწყებთ თქვენი პატარა სამასხარო ხერხით მუშაობას? სანამ თქვენ ერთ ხეს გახერხავთ, ჩემი „ბოგანო“ ისეთს ათს და მეტს დაამზადებს! „ბოგანოს“ თქვენ ვერ შეეჯიბრებით! „ბოგანო“ კი ჩემია!

ამ სიტყვებზე გლეხები გაგულისდენ და მრისხანე ხმით შეჰყვირეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ არ ვიმუშავებთ! არ ვიმუშავებთ!

უცხოელმა კი ცივად გადიხარხარა:

— ძალიან კარგი! თქვენ მე ალარ მჭირდებით! აი, ის ხალხი, რომელიც ამას წინათ ჩამოვიდა, თქვენს ადგილზე დაიწყებს მუშაობას, ახლა შეგიძლიათ მიბრძანდეთ!

მუშები მიცვივდენ, უნდოდათ მოეკლათ უცხოელი, მაგრამ მან ამოიძრო ჯიბიდან სასტვენი და დაუსტვინა. ყოველი მხრიდან შემოცვივდენ კბილებამდე შეარაღებული კაცები, მუშებს ალყა შემოარტყეს და შებორკეს. მაშინ უცხოელმა ხმა-მაღლა დაიყვირა:

— განდევნეთ ეს ავაზაკი ხალხი და დაიცავით საზღვრები. თუ რომელიმე მათგანმა გაბედა და სოფლისკენ წამოვიდა—ესროლეთ!

უცხოელი ბატონის ბრძანება ადვილად შეასრულეს.

უბედური მუშები ცოლშვილით უნდა გაქცეულიყვენ ტყეში ისე, როგორც ერთ დროს გააქციეს „კუდიანის“ შვილი.

როდესაც დალამდა, განდევნილები უჭრძნობლად დაეცენ მიწაზე. ქალები ტიროდენ, მოსთქვამდენ:—„ბოგანო“ ბატონად გაგვიხდა! „ბოგანო“ ბატონად გაგვიხდა“-ო

მეორე დღეს მათ განაგრძეს გზა. მთელი დღე არაფერი ეჭამათ, საშინლად მოშივდათ, მაგრამ საჭმელი სრულიად არა ჰქონდათ, მთელი დღე იარეს, ხალამოს მივიდენ ერთ ქოხთან და დაიკაკუნეს. კარები გაიღო და გლეხებმა დაინახეს „კუდიანის“ შვილი. ყმაწვილმა თავაზიანად მიიღო სტუმრები, მოუტანა პური და მარწყვი და გაუმასპინძლდა მუშებს. გლეხებმა უამბეს რაც თავს გადახდათ და შესჩივლეს ასეთი უბედურება:

— ახლა კი ყველაფერი დაიღუპა!—დაიკვნესა ერთმა მოხუცებულმა მუშამ;—„ბოგანო“ ბატონად გადაგვექცა და ჩვენ—ჩვენი შვილებით სამუდამოდ მისი მონები ვიქნებით!

— უკეთესი იყო მამა შენს ის ბედკრული „ბოგანო“ არ გამოეგონებია!—დაუმატა მეორემ,—ახლა ჩვენ უარესად ვცხოვრობთ.

ყმაწვილმა კი მრისხანედ უპასუხა მათ:

— ცილს ნუ სწამებთ მამაჩემს! ყველა ეს მას გულკეთილობით მოუვიდა. საჩუქარი კარგი და საარგებლოც იყო მანამ, სანამ ის თქვენს საკუთრებას შეადგენდა. მაგრამ ეს სიკეთე რისხვად გადაგვექცა მას შემდეგ, რაც ერთს კაცს მივყიდეთ. მოიგონეთ ის დრო, როცა „ბოგანო“ ჩვენ ყველას გვემსახურებოდა! განა მაშინ ჩვენ არ ვცხოვრობდით ბედნიერად და მხიარულად?

— მართალია, მართალი!—ერთხმად წამოიძახეს გლეხებმა და ოხვრით იგონებდენ იმ დროს, როცა მათი სოფელი ბედნიერი იყო.

— რატომ გადაეცით ჩვენი „ბოგანო“ ერთ კაცს?—გაჯავრებით წამოიძახა თორმეტი წლის ბიჭმა.

— ჩვენ, ბავშები, დავუჯერებდით მოხუცს და იმის ანდერძს არაოდეს არ დავივიწყებდით!

მოხუცებულები სდუმდენ, რადგან ახალგაზდების ასეთი შენიშვნებით შერცხვენილი იყვენ. „კუდიანის“ შვილს კი სახე გაუბრწყინდა და სიხარულით წამოიძახა:

— მე რამდენიმე წელიწადს ზედი-ზედ ვკითხულობდი მამა ჩემის სხვა და სხვა საოცარ წიგნებს და ყოველთვის მეჩხირებოდა თვალში ერთი თქმულება, რომლის გაგება მაშინ მე არ შემეძლო, მაგრამ დღეს კი მესმის მისი აზრი. აი როგორია ის:

— რასაც გადისროლის მოხუცებული, იმას ახალგაზრდა აიღებს.

— „რასაც გააპარტახებს მოხუცებული, იმას ახალგაზრდა გაასწორებს.

— „მოხუცებულების ბატონი ახალგაზრდების მონა შეიქნება“.

ერთ წამს ქოხში სიჩუმე ჩამოვარდა. მერმე ბავშებმა თავიანთი ახალგაზრდური, უმანკო ხმებით წამოიძახეს:

— ჩვენ გავასწორებთ ყველაფერს, რაც თქვენ წაგიხდენიათ! თქვენს ბატონს ჩვენს მონად გავხდით!

ჩაფიქრებული მაღალი ნაძვები არხევდენ თავიანთ მაღალ წვეროებს და ჩურჩულობდენ:

— სწორედ ასე იქნება, სწორედ ასე იქნება!

**მ. დონდუა.**



ქ. სენაკის ლენინის სახელობის მაჯვთა კომუნისტური ჯგუფში.

# გაზაფხული

აგვიზაფხულდა. მაისმა
ჩაიცვა ჭრელი ქათიბი.
ბალჩაში ვაზი აკოკრდა
ეზოში — ლურჯი სათიბი.

ატამმა გულზე აისხა
ლამაზად ვარდის ლილები.
და კორდზე მორცხვად თავსა ჰხრის
ია, პირ-განალიმები.

აგერ მერცხალმა ფრთა გაშლით
ჰაერში გაინავარდა,
ხან დედამიწას გაეკრა,
ხან ლურჯ სივრცეში ავარდა.

ფუტკარი ჩაძვრა ყვავილში,
ტკბილი მანანა დალია;
და ნეტარებით აღსავსე
დაბზუის, თითქო მთვრალია.

ყოველი არსი მოქმედობს
ამ სასიცოცხლო ხანაში,
გლეხიც ქოხიდან გამოდის
და კრიმანჭულობს ყანაში.

ვიშ გაზაფხულო, შენს მადლსა
სამყარო დაუმონია!
შენ დიდება ხარ სოფლისა,
სოფელი ქვეყნის ღონეა!

ვ. რუხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავი მგელი

ზღაპარი.

პიესა სამ მოქმედებად.

## მოქმედნი პირნი:

**ზახე**—ჯადოქარი—იგივე შავი მგელი.
**ფარნა**—ახალგაზრდა მწყემსი.
**გრატი**—ახალგაზრდა გლეხი.
**ბროლა**—ძაღლად ქცეული ვაჟი.
**თეთრა**—თხად ქცეული ქალი.
**მზექალა**—შვენიერების დედოფალი.
**ოთხი ქონდრის კაცუნა**—(შემდეგ ბიჭები).
**ორი ჭაბუკი**—
გლეხები, ხალხი, მესაკრავენი.
**დრო ზღაპრული.**

### პირველი მოქმედება.

სოფლის ახლო-მახლო.

ცალ მხარეს მინდვრიანი; მეორე მხარეს მთა, ტყით შემოსილი, რომლის მწვანე ფერდობზე (სცენის წინა მხარეს) მხარ-თეძოზე წამოწოლილია ფარნა და სალამურს უკრავს; აქეთ-იქით უსხედან დიდი თეთრი ძაღლი და თეთრი თხა; მოშორებით ფერდობზე შეფენილია ცხვარი და სძოვს. მინდვრიდან ისმის მუშური სიმღერა, ყიჟინა და ხმაურობა.

ფარნა სალამურის დაკვრას ათავებს და მერე თავის ცხოველებს ეალერსება.

შემოდის ახალგაზრდა გლეხი გრატი, დამკლავებული და თავზე წითელ ხელსახოც წაკრული, მხარზე კოკა-წამოკიდებული.

**გრატი.** (მიესალმება ფარნას) გამარჯობა შენი, ფარნა!

**ფარნა.** გაგიმარჯოს, ჩემო გრატი! გეტყობა წყაროდან მოდიხარ... მოდი, ცოტა დაისვენე..

**გრატი.** ჰო, ბიჭებს წყალი შემოაკლდათ და უნდა მივუტანო... მაინც მუხლებმა რომ ქარი აჰოილონ, არ მაწყენს. (კოკას დასდგამს და თვითონაც ჩამოჯდება) შენი ძაღლი და თხა სულ გვერდითა გყავს და არ იშორებ, ჰა?

**ფარნა.** ამათ კი ვენაცვალე, როგორ მოვიშორებ... თუნდა ორი კარგი მეგობარი მყოლია. ისეთი ერთგულნი არიან... ახლა როგორ ვსმისთ ადამიანის ლაპარაკი, კაცო! რაც გინდა დაავალე, ისე აგისრულებენ, როგორც შენ უთხარი,—მაშა!..

**გრატი.** დახე შენა! ლაპარაკი-ღა არ იციან რალა?!.

**ფარნა.** სწორედ ეგ-ღა აკლიათ, თორემ ადამიანს სხვაფრივ არ ჩამოუვარდებიან, ისეთი გონიერებია.

**გრატი.** ნეტავ მეც მაშოვნია ეგეთი პირუტყვები... შენ როგორ იშოვე?..

**ფარნა.** ერთხელ აი, იმ მთის იქით მყავდა ჩემი ფარა საძოვარზე და იქ თვითონ მოვიდენ... ჯერ ძაღლი მომელაქუცა, მერე თხამ შემომბღავლა, თითქოს შველას თხოულობენო, ალბად, ნადირ ისაგან თუ იყვნენ დამფრთხალნი; მერე მეც მივუალერსე და სალამოს შინ წამოვიყვანე... მას შემდეგ ჩემთან არიან განუყრელად...

**გრატი.** საიდან მოვიდენ, ან ვისი არიან?

**ფარნა.** არც ის ვიცი, თუ ვისი არიან, არც ის—საიდან მოვიდენ,—ჩემთვის არც საჭიროა ეგ; მე ესენი მეგობრებივით მიყვარს და ამათაც ძალიან ვუყვარვარ... ჭირში მშველიან, ლხინში ჩემთან სიამოვნებენ... მეტი რა მინდა! ავსა და კეთილს კაცს მაშინვე იცნობენ და მეც მაცნობებენ... აი, უყურე, შენ როგორი სიამოვნებით გიყურებენ!.. (ძაღლი კუდის ქნევით და თხა თავის კანტურით ესალმებიან, ფარნა ეალერსება მათ).

**გრატი.** ყოჩაღ, ყოჩაღ! კარგია!.. მაშ, ბიჭო, რატომ ფარასთან არ ატარებ, რომ უფრო ბეჯითად უგდონ ყური... აგერ ამბობენ, რომ ის საატიალო შავი მგელი ჩვენს მხარეშიც გამოჩენილა. აქამდე ზღაპრად გვესმოდა, შავი მგელი სოფლებს აოხრებს, არ ინდობს არც პირუტყვს, არც ადამიანსო, ახლა კი აქეთაც გადმოსულა...

**ფარნა.** (კაკვირვებული) მართალს ამბობ, გრატი? ვინა სთქვა?

**გრატი.** მთელი სოფელი ახლა სულ ამაზე ლაპარაკობს და შიშის ზარი აქვთ დაცემული... ალარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იციან, რა ქნან!.. შენ შენს ფარასთან ხარ განუშორებლივ და სოფელში რა ხდება, არც კი იცი...

**ფარნა.** ჰო, ეგ მართალია... ძაღლები იქაც არიან, მაგრამ მაინც აბა, ბროლავ და თეთრავ, ცხვართან წადით, მერე ისევ მოდით... (ძაღლი და თხა მირბიან) ჰხედავ! (გრატი თავს იქნევს სიამოვნებით) მაშ შავმა მგელმა ზიანი უყო ვისმე?

**გრატი** როგორ არა, კაცო! გუშინ საღამოსაც ზედიზედ ერთი ცხვარი მოუტაცნია და ერთიც დეკეული...

**ფარნა.** ვაი, შენს ფარნას, სად ვიყავ, რომ არ დავიჭირე და თავი გველივით არ გაუტეხე!..

**გრატი.** მაინც სოფელს შენი იმედი აქვს, თუ გაუმკლავდება შავს მგელს, ისევ ფარნა, თორემ ჩვენი საქმე წარსულიაო... ყველა ესე ამბობს.

**ფარნა.** ახ ნეტავი ერთი შემახვედრა და, თუ მეორედ ის აქ მობრძანდეს, თავი მომჭერით...

**გრატი.** მართალია, შენ ძლიერი და უშიშარი მონადირე ხარ, მგელი როგორ შეგაშინებს, როცა ვეფხვზედაც გინადირია, მაგრამ, იცი, თავს ძალიანაც ნუ გამოიდებ...

**ფარნა.** როგორ?

**გრატი.** როგორ და ასე; ამბობენ: შავს მგელს ისეთი ჯადო აქვს გაკეთებული ჯადოქარისაგან, რომ იმის მოკვლა არავის შეუძლიაო.

**ფარნა.** ეგ რომელი ჯადოქარია?

**გრატი.** არ იცი განა?! ძალიან განთქმული ჯადოქარი რომ არის, სახელად ზახე ჰქვიაო... აი, იქით დიდ მთები რომ მოჩანს, იქა ცხოვრობსო. ისეთი ძალა აქვს თურმე, რომ ადამიანს როგორც უნდა, ისე შესცვლის.

**ფარნა.** აბა როგორ?

**გრატი.** აი ასე: ადამიანს ჯადოს უზამს, ან შეულოცავს თურმე და აქცევს გველად, ფრინველად, ძაღლად, ხვლიკად, თხად... და კიდევ რა ვიცი, რადაც მოისურვებს... სადაც შავი მგელი გაჩნდება, ჯადოქარიც იქვე ახლო სადმე იქნებაო, ამასაც ამბობენ.

**ფარნა.** (ჩაფიქრებული) ისიც ხალხის მტერი ყოფილა შავი მგელივით და იმასაც ბოლო უნდა მოეღოს...

**გრატი.** მაგას ვინ შესძლებს, ჩემო კარგო...

**ფარნა.** განა ჯადოქარის წინააღმდეგ კი წამალი არაფერიაო?

**გრატი.** აბა, რა ვიცი... ჯადოქარი მაშ რის ჯადოქარია, თუ კი აჯობებს ვინმე... ბევრჯერ გამიგონია, შორს სახელმწიფოში, სადღაც, მთელი ხალხი სულ გადაუქცევია ცხოველებად, ფრინველებად, ქვეძრომებად და ვინ მოსთვლის კიდევ რად... ისეთი საშინელი და ბოროტიაო, რომ ადამიანი როგორ გაუბედავს რასმე... შიშით ყველანი ერიდებიანო...

**ფარნა.** მერე, მერე?

**გრატი.** ჰო და იმისგან არის შელოცვილი შავი მგელიც და სიკვდილი იმიტომ არ ეკარებაო...

**ფარნა.** (მტკიცედ) არა, ქვეყანაზე ყველაფერი იბადება და ყველაფერი კვდება. ეს წესია... მაშ იმ შავი მგელის მოკვლაც შეიძლება! (ამ დაბარაკის დროს მთის მხრიდან შემოდის მოხუცი მგზავრი, უცნაური სახისა და ჩაცმულობის, ხელში უბრალო დიდი ჯოხი უჭირავს და აბგა ჰკიდია, ბიჭებს მიუახლოვდება).

**მოხუცი.** (მიესალმება) სალამი ახალგაზრდებს!..

**ფარნა და გრატი.** სალამი.

**მოხუცი.** მე ყური მოვკარ, მგონი, თქვენ შავ მგელზე ლაპარაკობდით?..

**გრატი.** ჰო, მართალია.

**ფარნა.** მერმე, შენ რა?

**მოხუცი.** მე ვიცი, რომ შავი მგელი ძალიან ძლიერია და მოერიდეთ, ეს მინდოდა მეთქვა.

**ფარნა.** შენისთანა დაჩამჩამებულს უნდა ეშინოდეს და მოერიდოს კიდეც...

**მოხუცი.** არც შენ გაწყენს სიფრთხილე...

**გრატი.** როგორ, მოხუცო?

**მოხუცი.** ისე, რომ ვინც იმას გაუბედავს გამკლავებას, თვითონ დაიღუპება...

**ფარნა.** მე მაინც მინდა ბედი ვცადო; თუ შემხვდა სადმე, მაშინ ნახავს ის სეირს...

**მოხუცი.** დიდი იმედი ნუ გაქვს შენი ახალგაზდური ძალ-ღონისა... ფუჭია ყოველივე ძალა იმასთან ბრძოლაში.

**ფარნა.** შავი მგელი კი არა, შავი აფთარი, ან შავი ლომიც რომ იყოს, მაინც ვეცდები მოვსპო, რადგან იგი ხალხის მტერია, ხალხის შემაწუხებელი.. აგრეთვე ის ვიღაც ჯადოქარი ყოფილა, შავი მგელის დამხმარე, იმასაც კ სერს მოვუგრეხავ, თუ მივაგენი იმის ბუნაგს...

**მოხუცი.** ოჰოჰო!.,. შენ ძალიან მკვეხარაც ყოფილხარ!... ეგ კი მეტის-მეტი მოგვიდა. მაგრამ მე მაინც გაფრთხილებ... (უშმაკური დიმილით) ცოდო ხარ... აფსუსია ეგეთი შვენიერი ჭაბუკი დაიღუპოს შავ მგელთან ბრძოლაში... მე ბევრი მინახავს შენისთანა გამბედავი და შეუპოვარი, მაგრამ თავი უბრალოდ წაუგიათ... შენც ეგ მოგელის, თუ არ დაიშლი... ჯადოქართან კი ახლო გავლასაც ნუ გაივლებ გულში... ეგ ხომ უფრო სახიფათოა...

**ფარნა.** მაგას ბოლო გამოიჩენს,..

**გრატი.** შენ საიდან იცი ეგენი, მოხუცო?

**მოხუცი.** მე ბევრი რამ ვიცი, ქვეყანა შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივლია... თქვენ ბალღები ხართ, გულს ნუ აჰყვებით!..

**რნაიფ.** კაცი გულით ცოცხლობს,—უგულოდ ცხოვრება, ფუჭი კაკლის ჩხრიალია...

**მოხუცი.** შენ ჭკუასაც ჩემულობ... თავს წააგებ... (ამ დროს მხიარული კუნტრუშით ბრუნდებიან ბრიდა და თეთრა; მოხუცს რომ დაინახავენ, შესდგებიან მტირე ხანს, თითქოს გაკვირვებულნი, მერმე ძალდი მოხუცს მივარდნას უპირებს მტრულად, თხა ფარნას ეფარება).

**ფარნა.** ბროლავ, როგორ იქნება, მგზავრია... მოდი აქ... (ძალდი მიდის მასთან, თუმცა მოხუცს უდრენს).

**მოხუცი.** (იმათს დანახვაზე თვალებიდან ბორბოტების ნაბერწკლებს აკვესებს და უბდვერის, მერმე ფარნას ტკბილად ეტუვის) რა კაი ძაღლი და თხა გყოლია, თუ შეელევი, მე ვიყიდი... მიყვარს ეგეთი ცხოველები.

**ფარნა** (უალერსებს ცხოველებს) არა, ესენი ჩემს თავს მირჩევნია... ტყუილად ნუღარ გაირჯები!..

**მოხუცი.** შენი ნებაა... მე მაინც გაფრთხილებ კიდევ... ეგენიც გაჭირვების დროს გიღალატებენ... მშვიდობით. . (ბორბოტად გადაუბრიალებს თვალებს ძალდს და თხას; და თავისთვის ამბობს) ერთი ცალკე ვნახავდე ამათ! ერთხელ ხომ ძაღლად და თხად ვაქციე ეს ბიჭი და გოგო, ახლა კი ცოცხალსაც აღარ გავუშვებდი საძაგლებს... (მიდის).

**ფარნა.** მშვიდობით... (ძალდი გამოკიდებას ცდილობს, ფარნა არ უშვებს) ბროლავ, რად გადარიე... ბოროტი ადამიანი თუ იყო, წავიდა, მოგვშორდა... შენ აქ იყავ (იწერს).

**გრატი.** ეგ თუ კეთილი სული იქნებოდა, მე აღარაფერი მცოდნია... ვერ შენიშნე, როგორი ბოროტი და ავი თვალები ჰქონდა... ეგ დიდი ავაზაკი იქნება, დიდი ბოროტმოქმედი. .

**ფარნა.** (იცინის) მაგ ბებრუხანას რა ავი-ღა შეუძლია, ფეხებს ძლივს დაათრევს... რას ამბობ, კაცო!...

**გრატი.** აი შენი ბროლაც რომ მიეტევა, მაგას ეჯავრა იმის დანახვა...

**ფარნა.** ჰო, ცხადია, კეთილი ადამიანი არ იყო, მაგრამ საქმეს კი ველარას იზამს ცუდს, ბებერია... (ძალდი იწევს წასასვლელად, ფარნა არ უშვებს) ბროლა, ნუ ჯავრობ. . რა გინდა, საით იწევ!.. მოიცა, მოიცა!...

**გრატი.** იქნება ეგ მოხუცი ის ჯადოქარიც იყოს, რომელზედაც წალან გითხარ... შეიძლება!..

**ფარნა.** (გადიხარხარებს), რას ამბობ, გრატი, ჯადოქარი კი არა,—ახლა ისა სთქვი!...

**გრატი.** (ნაწყენივით) შენ გაიცინე და იქნება, ეგრე კი იყოს... შავი მგელი ჩვენს არემარეშიც გამოჩნდა, მაშ ჯადოქარიც სადმე აქვე ახლო უნდა იყოს... და რა იცი, რომ ეგ არ არის?...

**ფარნა.** (ძალდს იჭერს, რომელიც წასვლას ცდილობს) ჯადოქარი განა ეგრე წარამარად ივლის აქა-იქ?!...

**გრატი.** მე კი ეგრე მგონია, რომ ის იყო და ვნახოთ... ეე, ძალიან გავერთე ლაპარაკში და, ვინ იცის, ბიჭები როგორ მლანძღავენ წყალის დაგვიანებისათვის... წავიდე მალე... (კოკას აიდებს და მიდის).

(ამ დროს მახლობელ ტუეში, ფერდობზე და მინდვრად, ატუდება ძალდების საშინელი ეეფა, ცხვრის ბღავილი,—ისმის ხალხის ყვირილი და დატატანება: ჰაი, ჰაი... არიქა მოიტაცა, მოვიდა და სხვა).

**ფარნა.** (გაკვირვებით) რა მოხდა? ცხვარი თუ დააფრთხო რამე... აბა, ბროლა, გაიქეცი, გაიგე, რა ამბავია. მეც მოვდივარ... (ბრიდა გაიქცევა: თხა მასთან რჩება. წასვლას აპირებს თვითონაც, მაგრამ შემორბის გრატი შეშინებული, უკოკოდ).

**გრატი.** (ქაქანით) ფარნავ, ფარნავ, შავმა მგელმა ცხვარი მოიტაცა... შენი... შენი ცხვარი... (ხმაურობა გრძელდება).

**ფარნა.** (ბრაზით) ვაი, დედიჩემის ღმერთსა! დახე, დახე, მაინც გვაჯობა იმ საზიზღარმა!...

**გრატი.** აგერ, აგერ, აგერ; უყურე!... (ამ დროს ისინი ხედავენ, თუ შავი მგელი მართლაც როგორ მიარბენინებს ზურგზე გადაკიდებულს თეთრ ცხვარს და მიეფარება)

**ფარნა.** (შეჭვეირებს) ჩემი შავხალიანი! ჩემი საყვარელი ცხვარი... არიქა, მოუარეთ, მიშველეთ... (კარბის, გრატი და თხა გაჭვეებიან).

(სცენა მტირე ხანს ცარიელია. კარეთ ისმის ეაეანი და ზოგი სიტეეები: „ნუ წახვალ, არ გაუშვათ, არ შეიძლება წასვლა“... მერმე ახლოვდებიან და შემოვლენ კიდეც მინდორში მომუშავე გლეხები, რომელთაც თითქმის ძალად შემოჭეავთ ფარნა).

**ფარნა** (ძალიან გაჯავრებულია) ტყუილად მიშლით, არ დავდგები, უნდა გამოვუდგე...

**ხალხი.** (შიკა და შიგ) არ შეიძლება შენი წასვლა... დაიღუპები... თავი გაანებე, ერთი ცხვრის გულისთვის თავს ხომ არ გასწირავ...

**გრატი.** მართალს გეუბნებიან, ფარნავ! ერთი ცხვრის ცხვრისთვის თავს ნუ გაიმეტებ... აკი იმ მოხუცმაც გაგაფრთხილა...

**ერთი.** საფრთხილოც არის... გამიგონია, ბევრმა ბიჭმა სცადა ბედი, მაგრამ მგელმა იგი ინაცვალაო...

**მეორე.** შენ რაღად გინდა წასვლა და იმის ძებნა,—ეგ რაკი შემოგვეჩვია, კიდევ მალე მოვა და მაშინ ეცადე...

**მესამე.** ბიჭებო, ძალიან ცუდი საქმე მოგველის მაგ სატიალო მგლისაგან... რაკი გეზი გაიკეთა, ეგ აქ ძუნძულს აღარ მოიშლის და ვაი ჩვენი ბრალი!...

**მეორე.** ისე აგვაოხრებს და გაგვაჩანაგებს, როგორც არა ერთი და ორი სოფელი მოუნარიკლებია...

**მესამე.** საქონელი პირუტყვი სულ დაგვეღუპება და ბოლოს ჩვენც მაგის ლუკმა გავხდებით...

**ფარნა.** ხალხო, გამიგონეთ!... აი თქვენვე ჩივით, რომ ეგ პირმყრალი მხეცი აგვიკლებს და აგვაოხრებს... პირუტყვს გაგვიწყვეტს, ჩვენც მაგის ლუკმა გავხდებითო...

**ხალხი.** ჰო, ეგრე იქნება, მართალია... სხვანაც ეგრე მოხდა ბევრგან...

**ფარნა.** მაშ რად მიშლით წასვლას იმის საძებნელად და მოსაკლავად?...

**გრატი.** იმიტომ გიშლით, რომ შენ გვენანები; არ გვინდა უბედურება შეგემთხვეს.

**ხალხი.** არ გვემეტები, ფარნავ, არა... ძლიერი ბიჭი ხარ, მაგრამ ვაი თუ დამარცხდე იმ საოხრო მხეცისაგან.

**ფარნა.** თქვენი ჭირის სანაცვლოც ვყოფილვარ... რაც მომივა, მომივიდეს!... მტერს რომ ყველა მოერიდოს, პასუხი არავინ გასცეს, ხომ უფრო გათამამდება და აღარაფერს მოერიდება... ხომ ვინმე უნდა გაუბედოს მაგას შებრძოლება და სხვას რად მოვუცადო? რატომ მე არ უნდა გავბედო!... აი, ამიტომ არ დავიშლი და წავალ...

**გრატი,** ხალხო, არ გვემეტება, მაგრამ წავიდეს, იქნება გაიმარჯვოს და დიდი უბედურება აგვცილდება...

**ფარნა.** (გაბედულად) იქნება კი არა, უეჭველად უნდა გაიმარჯვო!...

**გრატი.** მაშ რამდენიმე ბიჭი მაინც გაიყოლიე თან საშველად...

**ფარნა.** არა, სხვა არავინ მინდა, ჩემი მეგობრებიც მეყოფიან—ბროლა და თეთრა! (რომლებიც გვერდით უდგანან).

**ხნიერი.** შვილო ფარნა, რაკი აღარ იშლი და ჩვენი გულისთვის თავის გადადებას აპირებ, ერთსა გთხოვ...

**ფარნა.** აბა, სთქვი, ძია კაცო!

**ხნიერი.** შავი მგლის ძებნა-დევნაში ფრთხილად იყავ და ერიდე, ჯადოქარს არ გადაეკიდო,—თორემ მგელს კიდევაც რომ აჯობო და დაამარცხო, ჯადოქარს ვეღარ მოურჩები... ერიდე და უფრთხილდი იმ ავ სულს... შავი მგელი ჯადოქარის ორეულია..

**ფარნა.** ძიავ, მე არც ჯადოქარისა მეშინია, არც შავი მგელისა! გული მეუბნება, რომ ერთზედაც გავიმარჯვებ და მეორეზედაც. თუ კი შევხვდები მათ... ორთავეს მოვსპობ, გული ასე მითხრობს..

**ხნიერი.** მაშ მეორე თხოვნა მაინც აგვისრულე!

**ფარნა.** ბრძანე!

**ხნიერი.** რახან სახიფათო საქმეზე მიდიხარ, ჯადოქარისაგან საფრთხე მოგელის,—იქნება ჯადოსანმა გიყოს და წაგახდინოს... აი იმის ძალის გასაცოდებლად დედაბერს ზენოს გამოართვი მალამო; ვისაც ის მალამო ექნება გულზე წაცხებული, იმას ვერავითარი ჯადო ვეღარ მიუდგება...

**ხალხი.** ჰო, გამოართვი, გამოართვი?.. დაგიფარავს, უვნებლად შეგინახავს...

**ფარნა.** ხალხო, არც მალამო მინდა, არც სხვა რამ წამალი და შელოცვა! მე არ მეშინია თვალთმაქცობისა და ჯადოსნი. ჩემი მალამო გულში მაქვს—ჩემი უშიშრობა! მე არ ვიცი, რა არის შიში და ვერც ჯადო მომეკიდება.. შავს მგელს კი პასუხს გასცემენ მაგარი მკლავი, ხელკომბალა და ეს პატარა ხანჯალი... იმედი გქონდეთ თქვენც ჩემი გამარჯვებისა, როგორც მე თვითონ მაქვს იგი!.

**ხალხი.** იხარე, იდღეგძელე, ჩვენო ფარნა!

**ხნიერი** უმალამოდ მაინც-კი სახიფათოა..

**ფარნა.** აი ამათი დახმარებაც მეყოფა... ჩემი ბროლა და თეთრა მიშველიან... მაშ მშვიდობით!... გადავლახავ მთებს და ხევებს, გადავივლი ტყეს და ველებს... სანამ ჩვენს მტერს არ მოვხელავ და არ დავამარცხებ, მე აღარ დავბრუნდები... მანამდე კი ჩემი ცხვარი თქვენ გებარებოდესთ...

**ხალხი.** ჩვენ მოვუვლით, ჩვენ...

**ფარნა.** მაშ მშვიდობით? კიდევ კარგად გვენახოს ერთმანეთი... აბა ბროლა და თეთრა, თქვენც ძალიან უნდა გაისარჯოთ მტერთან ბრძოლაში... (ძაღლი და თხა სამოგზაურებით ეკვრიან ფარნას, რომელიც მათ ხელს უსვამს თავზე და მერმე მიდიან) მშვიდობით, ძმებო!.

**ხალხი.** (დაღონებით აცილებს) გამარჯვებულიც გვენახო, ჩვენო ფარნა!.

**ფ ა რ დ ა.**

## მეორე მოქმედება.

**უდაბური ადგილი მთებში.**

ხეობა ჩაშავებული და შიშის მომგვრელი; გარშემო შავი, მაღალი მთები; მარჯვნივ კლდეში მღვიმეა, რომლის შესავალთანაც კერაა და ზედ ცეცხლი ანთია, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისწითური შუქით არის განათებული არე-მარე; მეორე მხარეს—მარცხნივ—საცალფეხა ბილიკი მოსდევს ქვევიდან ამოსასვლელად. შიგა და შიგ ისმის ბუკიოტის ძახილი.

ცეცხლთან ფუსფუსებს **ჯადოქარი ზახე.** ხან მლვიმეში შედის, ხან გამოდის, რაღასაც ამზადებს; თან ეტყობა მოლოდინშია; ხან ერთს მხარეს გადიხედავს, ხან მეორეს

**ჯადოქარი.** რა იქნენ აქამდე ის გველის წიწილები!... (მერმე მიგა კედის ნაპირას, საიდანაც ბილიკი ამოდის. ჯერ ათვალიერებს, მერმე გადასძახებს) ყია, თახე, ქია, ლახე!... (იმეორებს კიდევ და მერმე ეურს დაუგდებს) თითქოს მიპასუხეს... (მართლაც შორს ქვევიდან ძლივს მოისმის)..

**ხმები.** (გაკრძალებით) მო-ვდი-ვართ, მო-ვდი-ვართ.

**ჯადოქ.** მოდახართ და მე გიჩვენებთ თქვენ ჩემი მათრახის სუსხსა... ყოველ-დღე თუ არ მოგხვდათ, გავიწყდებათ იმის გემო... წყეული ადამიანის შვილები წავიდენ, დაიკარგენ!... დამაცადეთ თქვენა!... (მობრუნდება და ისევ ფუსფუსებს, მცირე ხანს შემდეგ ბილიკზე ამოდიან ქონდრის კაცუნები: ყია, თახე, ქია და ლახე, რომელნიც შიშით და კრძალვით უახლოვდებიან ჯადოქარს და მერმე ერთს ადგილს გაჩერდებიან).

**ჯადოქ.** (ჯერ ვითომ ვერ ამჩნევს იმათ, მერმე დაინახავს და შებღვერით და კბილების კრაჭუნით ეუბნება) სად ჯანდაბას დაიკარგეთ ამდენ ხანს? თქვე გველბაყაყნო და უწმინდურნო, ჰა?... (უახლოვდება თვალების ბრიალით) მე გაგგზავნეთ საქმეზე: წადით, გააკეთეთ და მალე მოდით მეთქი... თქვენ კი მთელი ორი დღე აღარა ჩანხართ... სად ეთრიეთ, სად?!... (გამოიძრობს ზურგიდან მათრახს და უდერებს) ისეირნეთ? ისეირნეთ?... ჰა? ახლავ გაგწყვეტავთ თქვე წლოკებო, თქვე ქონდარებო... (სტვენს ხან ერთს და ხან მეორეს. ქონდარები ტკივილისაგან იკლაკნებიან და ტირიან.)

**ქონდარები.** (ხვეწნით) გვაპატიე, დიდო ზახე... გვაპატიე, დიდო ზახე!... შორს ვიყავით, იმიტომ დავიგვიანეთ... აღარ ვიზამთ, აღარ...

**ჯადოქ.** აღარ იზამთ? ჰო, იზამთ და უარესი მოგივათ, თქვე გველ-ხოკერანო!... ხომ აცით, როცა მოვისურვებ, გაგწყვეტავთ, როგორც მატლებს, გაგანიავებთ, როგოც ქარი მტვერს... მიფრთხილდით!... (მოტეტლება და ცეცხლისკენ მიდის) აბა, რა გააკეთეთ?... ვაი თქვენს თავს, თუ პასუხი არ მომეწონა... ყია, დაიწყე, თქვი!... (ცეცხლთან სკამზე ჩამოჯდება მოსასმენად).

**ყია.** (წინ წამოდგა). გლეხს ძნით დატვირთული ურემი მიჰქონდა. ყევარი შვენიერი ჩასუქებული ხარები ება. ურემი არხეინად მოგორავდა. მეურმე ურმულს ღიღინებდა... ცალ მხარეს ბუჩქნარი ველობი იყო, მეორე მხარეს ღრმა ხევი... მე ბუჩქებიდან უცებ გამოვხტი. ხარები დავაფთხე, მათ ხრამისაკენ გაიწიეს და ურემი ხარებიანად შიგ გადიღეწა...

**ჯადოქ.** მეურმე?.

**ყია.** (დადონებული) ისიც დაიღუპა (მიბრუნდება და ტრემლებს იწმენდს).

**ჯადოქ.** (ხითხითებს) ყოჩაღ, ეგ კარგია?... თახე, დაფქვი).

**თახე.** გაჩაღებული ქორწილი იყო, სახლს ცეცხლი წავუკიდე... მთელი ხალხი შიგ შეიწვა, ისე, როგორც აი, ამ ცეცხლზე შესწვავ ხოლმე გატყავებულ ჯიხვს.

**ჯადოქარი.** (ჯვლავ ხითხითებს) ეგეც კარგია,ა, გადარჩი! ქია, დაფქვი...

**ქია.** ზღვაზე დიდი ხომალდი მიცურავდა, ფქვილით დატვირთული,—შენი სახელით ქარიშხალი ავაყენე. . ზღვა გაგიჟდა და ხომალდი ნაფოტებად აქცია—ერთი მეზღვაური-ღა გადარჩა ფიცარზე...

**ჯადოქ.** (წარბ შეკვრით) გაბედულად გარჯილხარ... მაინც სასჯელი არ აგცდება,—რად გადარჩა ან ერთი... ლახე, დაფქვი...

**ლახე.** (დიდი შიშით) ერთი ბავში მდინარის ნაპირას თამაშობდა,—წყალში კენჭებს ისროდა... მივუახლოვდი, მას ისე შეეშინდა, რომ ლაკან გაქცევის მაგივრად, წინ წაიწია და წყალში ჩავარდა... (გაჩუმდება).

**ჯადოქ.** მერმე? (სიჩუმეა, ჯადოქარი ბრაზით შეუბღვერს) რა მოხდა მეთქი? (ლახე ცახცახებს). ხომ დაიხრჩო?

**ლახე.** (ხმის კანკალით) გადარჩა.

**ჯადოქ.** როგორ? (ბოროტად უყურებს)

**ლახე.** (ისევე) შემებრალა, ეუშველე, გამოვიყვანე...

**ჯადოქ.** (შეჭდრიალებს) მაშ ეგრე ასრულებ ჩემს ბრძანებას? (წამოდგება და მათრახით სტვენს) ის შეგებრალა, შენი თავი გაიმეტე და აი მიიღე საჩუქარი. . კიდევ იზამ? კიდევ შეიბრალებ? (სტვენს).

**ლახე.** აღარ ვიზამ, აღარ, მაპატიე, დიდო ზახე... (დაჩოქილი ეხვეწება).

**ჯადოქარი.** სიცოცხლე მიჩუქებია ჯერ-ჯერობით. თუ კიდევ დააშავებ—გაჭრები წყალდასხმულ ნაკვერჩალივით... (მათრახს ინახავს, ლახე ადგება) ახლა მალე ცოტა საქმე გვექნება კიდევ,—აქ მოვა ერთი ჭაბუკი მწყემსი,—ძლიერი და უშიშარია იგი, მაგრამ ძალიან უნდა გავისაჯოთ, რომ როგორმე დავიმორჩილოთ და ხელში ჩავიგდოთ... იგი ჩვენი მტერია... მერმე კი დასვენების შემდეგ ისევ წახვალთ სათარეშოდ... გესმისთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქონდარები.** გვესმის დიდო ზახე!..

**ჯადოქ.** მაშ ახლა იმღერეთ და გული იჯერეთ ბოროტების ქებით.

**ქონდრები.** (მღერიან) ჩვენ ვადიდებთ ზახეს.
ბოროტების სახეს,—
ვუძღვნით მხოლოდ ქებას
დიადს ბოროტებას,—
ქვეყნის დამამხობელს,
გულის დამატკბობელს!
ძლიერია ზახე,
კაცთ სიცოცხლის მახე,
შავ სიკვდილის სახე!..

(ამ სიმღერის დროს გამოჩნდება ბიდიკზე მომავალი ფარნა ძაღლის და თხის თანხლებით; ხელში უჭირავს ხელ-ჯომბალა, წელზე ბატარა ხანჯალი ჩაკიდია, შემოდის და გაკვირვებული ათვალიერებს იქაურობას. ისინი ჯერ ვერ ხედავენ. ძაღლი და თხა ამრეზით არიან. სიმღერას ათავებენ).

**ფარნა.** აქ რაღაც უცნაური ხალხი ყოფილა... ნეტავ ვინ იქნებიან?!

**ჯადოქარი.** (დაინახავს ფარნას და გაკვირვებული შემოუძახებს) ვინა ხარ? აქ რამ მოგიყვანა?

**ფარნა.** მგზავრი ვარ. ბილიკს ამოვყევ და აქ მომიყვანა. გამარჯობა თქვენი!

**ჯადოქ.** (და ქონდარებიც ზურგს შეაქცევენ) შეგიძლია უკანვე წახვიდე...

**ფარნა.** მე სულ წინ უნდა ვიარო, სანამ ნაკისრებ მოვალეობას არ შევასრულებ... თქვენ კი გიტყობათ უკულმართი ხალხი ხართ, ბოროტი და უკეხი... მგზავრს ეგრე უდიერად დაუხვდებიან?! ფუჰ, შეგირცხვათ კაცობა!

**ყია.** (ჯადოქარს ჩუმად) მე ერთხელ ვნახე ეს კაცი, ვეფხს ებრძოდა... მძლავრია და საშიშიც...

**ჯადოქ.** (უკმეხად) რისთვის მოსულხარ, რა გინდა აქ?

**ფარნა.** სანადიროდ ვარ წამოსული, ნადირს ვეძებ.

**ჯადოქ.** დიდი თავხედი ყოფილხარ, რომ აქეთ წამოსვლა გაგიბედავს...

**ფარნა.** რატომ?

**ჯადოქ.** აქ მეფობს უბედურება, ბოროტება და თვით სიკვდილი...

**ფარნა.** მეც სიკვდილს ვეძებ.

**ჯადოქ.** შეხვდები კიდეც..,

**ფარნა.** იმედი მაქვს, სამსახურს გამიწევს,— სხვასთან მოციქულად მინდა მივგზავნო...

**ჯადოქ.** ვისთან?

**ფარნა.** მე მივდივარ შავი მგლის საპოვნელად, როცა ვიპოვი, სიკვდილს მას მივუგზანი...

**ჯადოქ.** (ბოროტად გადიხარხარებს) შენ? შენ გინდა შავი მგლის მოკვლა?!.

**ფარნა.** მინდა და კიდეც მოვკლავ!

**ჯადოქ.** ადამიანისაგან მისი სიკვდილი არ მოხდება, შეუძლებელია...

**ფარნა.** რატომ?

**ჯადოქ.** ის უკვდავია!

**ფარნა.** ხომ ცხოველია,—მაშ სიკვდილს ვერ ასცდება და ამ სიკვდილს მე მივუტან...

**ჯადოქ.** (გულმოსულია და ბოროტებას აფრქვევს თვალთაგან). შე უბედურო, თავხედო და ბრიყვო კაცო! თავი აგიგდია, შეუძლებელს სურვილს აუტაციხარ და დაიღუპები ისე, როგორც ტრედის ხონდი, რომელიც უფრთო ფრენას—მოიწადინებს...

**ფარნა.** ბებერო, ბებრუხუნა, შენი სიტყვები მე ვერ შემაშინებს!... მე არ ვიცი შიში... თვით სიკვდილისაც არ მეშინია და მყრალ მგელს შევუკრთები!.. არც იმ ჯადოქარის მეშინია, აქ მთებში რომ ცხოვრობს თურმე და ადამიანებს ჯადოს უკეთებს... ხალხს სტანჯავს, აწამებს და მონა-ყმებად გაუხდია ყველანი... ისეთს ჯადოს შევყრი მე იმას, რომ თვითონვე უკვირდეს, თუ შემხვდა სადმე... (ჯადოქარი ამ დროს რაღაცას ამზადებს).

**ჯადოქარი.** უბედურო, დაიღუპები...

**ფარნა.** (აცქერდება) მოიცა, მოიცა!.. შენ ის ბებერი არა ხარ ამ წინაზე ქვევით ბარში რომ იყავი და იქაც ეგრე მაფრთხილებდი და მაშინებდი?! გიცან, შენა ხარ ის ბოროტი ბებერი... ბროლავ, ის არის, არა?.. (ძაღლი თანხმობის ნიშნად ყეფს).

**ჯადოქ.** მე ვიყავი, გაგაფრთხილე... ახლაც გირჩევ, უკან წახვიდე, სანამ გვიან არ არის..

**ფარნა.** მაგის იმედი ნუ გექნება!,. მე მივაგნებ, რასაც ვეძებ...

**ჯადოქ.** უგნურო! შენ არც კი იცი, რომ მე შემიძლია თვალის დახამხამებაში მატლად გაქცეო...

**ფარნა.** (გაკვირვებული) მაშ ჯადოქარი შენ ყოფილხარ?! გრატიმ მართალი სთქვა... ჰო, აბა, მეც შენ მინდოდი!..

**ჯადოქ.** რეგვენო, თავს ნუ წაიხდენ. კიდევ გაფრთხილებ!.. ჩემი წესის წინააღმდეგ შენ არ მემეტები.

**ფარნა.** თუ ჩემი უფრო გეშინია?!.

**ჯადოქ.** სტყუი, შენი რად უნდა მეშინოდეს!.. შენ კი გეშინოდეს ჩემი... აქეთ რომ მოდიოდი, ხომ გამოიარე ერთი ადგილი, სადაც უზარ-მაზარი ლოდები იყო დაგროვილი, თითქოს განგებ დაუწყვიათო? ხომ ნახე?

**ფარნა.** ვნახე და გამიკვირდა კიდეც, თითქოს გაქვავებული ქალაქიაო...

**ჯადოქ.** მართლაც ის ქალაქი იყო,—მე გავაქვავე... ეს დაიხსომე!.. იმ ქვებს შორის ხომ ირეოდენ მრავლად სხვადასხვა წვრილი და სხვილი ფრინველნი, ქვემძრომნი თუ უშნო ნადირნი..

**ფარნა.** ვნახე ყოველივე.

**ჯადოქ.** ისინი არიან იმ ქალაქის მცხოვრებნი; მე ვაქციე ისინი სხვადასხვა სახედ. მათი უგუნური მტრობისათვის ჩემს წინააღმდეგ... ტვინში ჩაიბეჭდე ეს და გონს მოხვალ.. მომერიდე, სანამ გვიან არ არის... სახელმწიფო გავაქვავე, სახით შევცვალე, შემეძლო გამეწყვიტა ყველანი ერთს წუთს... შენ კი ერთი ღერი კაცი ხარ,—უარესი დაგემართება.

**ფარნა.** ოჰ, შე ბილწო, შე ხალხის მტერო!. შენთვის სიკვდილიც აფსუსია... შენ ცეცხლში უნდა დაიწვა, როგორც მყრალი ნაგავი, დამპალი ბუჩო და ეგრეც მოგივა...

**ჯადოქარი.** (ცალკე) დახე, ვერ შევაშინე ეს წყეული! (ფარნას დაუყვავებით) იცი, რას გეტყვი?... მოდი, მე და შენ დავმეგობრდეთ, კავშირი შევკრათ: მე ხერხიანი, ყოვლის შემძლე,—შენ გამბედავი, ძლიერი და უშიშარი... ორივე ერთად უფრო ძლიერი გავხდებით, მთელ ქვეყანას დავეპატრონებით, მონად გავიხდით... თანახმა ხარ?.

**ფარნა.** ნუ ყბედობ, საძაგელო; შენი ხრიკები ჩემზე ვერ გასჭრის... შენთან კავშირი? არასდროს! ჩემი პირობაა: შენი ნებით დამმორჩილდი, დამნებდი! თუ არა, ამ კომბლით გაგიხეთქ მაგ ბოროტ თავს. ხელით ამოგაცლი შხამიან გულს, რომ ხალხს ზიანი ვეღარ მიაყენო...

**ჯადოქ.** (მკაცრად) თავხედო და ბრიყვო! მაშ არ იშლი! აბა ნახე, რა მოგივა!... (ამ სიტყვებთან ერთად შედგება სასწრაფოდ მადლობზე და იქიდან განაგრძობს) ყია, თახე, ქია, ლახე!... მოუარეთ, შეულოცეთ!... ისე შეჰკარით, ვერ ინძრეოდეს, თვალთ დაუბნელდეს, გონება წაერთვას....! (რადასაც ბუტბუტებს ხელებ გაშლილი, თითქოს ცდილობს დაძინოსო; ქონდარები წრეს მიმოავლებენ, ისინიც შველიან ჯადოქარს; ფარნა მტირე სანს გარინდდება, თითქოს ძილი მოერიოო, მაგრამ ძალი და თხა ქონდარებს შეუტევენ, სცემენ და გაჭყანტავენ. შემდეგ ძალი ჯადოქრისაკენ გაექანება,—ფარნასაც გადუვლის გარინდდება და გამოერკვევა).

**ფარნა.** (გამოდვიძებულივით) ოჰ, თითქოს თავს ბრუ დამესხაო... ჰეი! აბა ბროლავ, ბასრი კბილი მაგას! თეთრავ, რქები მიუმარჯვე; მეც მოვდივარ! (გადახტება ჯადოქრისაკენ კომბალ მოწვდილი და უნდა დაჭკრას; ჯადოქარი შეატყობს, რომ მისმა ძალამ ვერ გასჭრა და სანამ ძალი და ფარნა მივარდებიან, მოასწრებს შემდეგის თქმას).

**ჯადოქ.** (გახელებული შეჰდრიალებს) ვაი-შეუბედურო! შავი მგელი შეგხვდება და მისი ლუკმა გახდები?... (უცებ გაქრება მასთან ერთად მისი ქონდარები).

**ფარნა.** (მოქნეული კომბალი აწეული დარჩება; გაკვირვებულია ჯადოქარის გაქრობით) რა იქნა ის შეჩვენებული თვალთმაქცი!?... გაქრა, გაიპარა!... ვერსად დამემალები, ჯადოქარო! მალე გიპოვი... ბროლავ, თეთრა, მოძებნეთ ის წყეული, აქ იქნება სადმე (ფარნა, ძალი და თხა ეძებენ გარშემო, მაგრამ ამ დროს კერაზე ცეცხლი ქრება და სიბნელე მოიცავს არემარეს, ატუდება საშინელი გრგვინვა ქუხილი, ელვა და ქარიშხალი).

**ფარნა.** ბროლავ, თეთრავ, მოდით, მღვიმეში შევეფაროთ გამოდარებამდე. (მღვიმეში შედიან).

(მტირე ხანის შემდეგ ბუნება მშვიდდება ნელ-ნელა; სიბნელე-კი ისევ არის,—ზემოთ მთიდან მტირე სინათლე გამოჩნდება, რის გამოც სცენა ოდნავ გაშუქდება. გამოჩნდება შავი მგელი დიდი და საზარელი, თვალები ისე უბრწყინავს, როგორც ორი სანთელი, რის გამოც ეოფილა ეს მკრთალი განათებაც. ძალი ბირველი შენიშნავს და ეეფით ანიშნებს ფარნას).

**ფარნა.** რაო, ბროლავ, მტერი მოდის? აბა, სად არის? (გამოიხედავს და დაინახავს მგელს, რომელიც მძიმე-მძიმედ უახლოვდება მღვიმეს). ჰო, შავო მგელო, რამდენი ხანია აქ მოგელი!... (ცალკე) რა საზარელია ეს მხეცი? (გადუდგება წინ) შესდექ! წინ ბიჯი აღარ წამოდგა! ფრთხილად! მოვიდა შენი აღსასრულის დღე!

**შავი მგელი.** (მართლაც შესდგება შემკრთალი და ემუის),

**ფარნა.** ყოჩაღად, ბროლავ და თეთრავ! მოვსპოთ ეს მტაცებელი და სისხლის მსმელი!

(ამ სიტყვებთან ერთად მიდის მგლისკენ, მგელიც შემოუტევს; ძალი და თხა უკანიდან შემოუვლიან, მგელი შუაშია მომწყვდეული და აქეთ-იქით ტრიალობს, იგერებს ჯერ ცხოველებს, სურს მათი დახოცვა, მაგრამ ფარნა იდროვებს, სტაცებს კისერში ხელს, მგელიც შემოებმის კბილებით და თათებით, იბრძვიან რამდენიმე ხანს, ძალი და თხა შველიან,—ფარნა ბოლოს კომბალს გადააგდებს, ამოიღებს ხანჯალს და ჩასცემს, მგელს რომელიც მკვდარი დაეცემა ძირს, ფარნა ფეხს დაადგამს გამარჯვების ნიშნად).

**ფარნა.** (ოფლს იწმენდს და ღრმად ქშინავს) მართლა ძლიერი ყოფილა ეს საზიზღარი!

(უცებ ხდება ცვლილება: ძალი იქცევა ბუბუკ ვაჟად, თხა —ბუბუკ ქალად და იქურობა ძლიერად განათდება.

**ფარნა.** (მეტის-მეტად გაოცებული) ამას რას ვხედავ? რა ხდება? თითონ ჯადოქარი ხომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის შავი მგელი? რა იქნენ ჩემი ბროლა და თეთრა, თქვენ ვინა ხართ?

**ბროლა.** მე ვარ შენი ბროლა!

**თეთრა.** მე ვარ შენი თეთრა!

**ფარნა.** (გადარეული სიფრთხილისაგან) თქვენ—ჩემი ბროლა და თეთრა?!... როგორ? საიდან?,

**ბროლა და თეთრა.** ჩვენ დაძმა-ვართ...

(ამ დროს შემორბის ოთხი ბიჭი).

**ბიჭები,** (მხიარულად) შენა ხარ ჩვენი მხსნელი, შენა ხარ ჩვენი მოკეთე!..

**ფარნა.** თქვენ ვილა ხართ? საიდან მოხვედ თ?

**ბიჭები.** ჩვენა ვართ ის ქონლრის კაცები, რომელნიც ჯადოქარს ემსახურებოდენ... ჩვენ ის გვტანჯავდა, გვაწამებდა...

**ფარნა.** მერე?.

(შემორბის კიდევ ორი ბიჭი).

**ერთი.** მე ბუკიოტი ვიყავი...ლამის ჭოტი...

**მეორე.** მე ლამურა ვიყავი... შენ გვიხსენი.. გმადლობთ.

**ბროლა** გაუმარჯოს ჩვენს მხსნელ გმირს!.. ხალხის მოკეთეს, ხალხისთვის თავდადებულს!...

**ყველანი.** გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ვაშა, ვაშა!..

**ბროლა.** წავიყვანოთ ჩვენი მოამაგე ციხე-დარბაზში და ვაჩვენოთ იმ ხალხს, რომელიც ამან გაანთავისუფლა ტყვეობისაგან, დიდი ხნის მწუხარებისაგან...

**ყველანი.** წავიყვანოთ, წავიყვანოთ!... მხრებზე შევისვათ, მხრებზე!.. (მიეხვევიან).

**ფარნა.** ყმაწვილებო, გამაგებინეთ, ამიხსენით!...

**თეთრა.** როცა მიგიყვანთ ციხე-დარბაზში, იქ ყველაფერს გაიგებ!.. მხრებზე, ბიჭებო!..

**ყველანი.** მხრებზე... მხრებზე... (სტაცებენ ხელს, შეისვამენ მხარზე და გაუდგებიან გზას ჟრიამულით, თეთრა წინ მიუძღვით ძახილით) ვაშა გაუმარჯოს ვაჟკაცს ფარნას... ვაშა!...

**დ. ნახუცრიშვილი.**

**ფ ა რ დ ა.**

(დასასრული იქნება.)




ქალაქი ხმაურობს...

ფირუზ ეთერში ამაყად ამართულ მთებს მწვანე ქათიბი წამოუსხამთ წითელ ყვავილთა ღილებით. თავს იწონებენ ყელმოღერებულნი, რომელთაც ახლად აბიბინებულ ქოჩორს უვარცხნის მოსალბუნე სიო.

ჩანჩქერნი, მთის მკერდით დაქანებულნი, მიეშურებიან ქუდ-აგლეჯილ და ფაფარ-აყრილ მდინარის უბეში ჩასახუტებლად, რომელთაც ის ჰხვევს მკლავთ და მიარბენინებს თან, ვით მოსიყვარულე დედა.

ველნი იყურებიან ცის ლურჯ სარკეში და თავმომწონედ იკაზმებიან ფერადი ფარჩით...

აკოკრებულ ბალებს შვენის ნუშის აყვავილება და წარმტაცი შეჯიბრი ალუბლებისა...

ატლას ლოყება მზე ზამთრის ძილის შემდგომ იფშვნეტს თვალთ და იზმორება ნეტარებით; ქარვის სხივთა გვირგვინს ადგამს კეკლუც ბუნებას, და... გაისმის ნეტარი ჰიმნი შოშიებისა, რომელნიც პირველი მორცხვი მაყრებია გაზაფხულის, მაგრამ პირველობას ართმევენ მათ სიცოცხლით ალსავსე მერცხლები და თავიანთ ჟივილ-ხივალით ჰეროლდობენ...

გუგუნებს ქუჩა...

ჭკივიან ქარხნის საყვირები...

ზარით მიჰქრიან ავტომობილები...

რკინის სალტებით ჰკერავენ გარემოს ტრამვაები...

ეტლის კოფოზე თვლემს, ჩიბუხით პირში, წინა ღამეს უძინარი მეეტლე.

ცხენები ფრუტუნებენ, და მოუსვენრად სცემენ ტოტებს მიწაზე...

ქალაქის მწვანე ფონზე თავმომწონედ ირხევიან ყაყაჩოს ყურა დროშები...

სიხარულის იალქნები აუშვია მარადიულ სიყვარულს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთა აშლილი ახალგაზრდობა მოსეირნობს პროსპექტზე ათასფრად აელვარებულ და თვალის მომჭრელ ტანთსაცმელით.

ხანგადასულნი მიდიან ნელი ნაბიჯით და მიმუსაიფობენ დაღალულ მოგონებით ახალგაზრდობაზე.

მილიციონერი მიდი-მოდის ლიანდაგის შუა და იცავს წესიერებას...

— პაპიროს, პაააპიროოოს!...

— შნურკი, კანვერტ!.. პოჩტოვაია ბუმაგა!..

— ფიალკა მახროვი!..

— მიმოზა!..

ისმის მოსეირნე ხალხმი არეულ მოვაჭრე ბავშთა ხმა და ეფარებიან მილიციონერის თვალს, რომელიც ნებას არ აძლევს ქუჩაში ვაჭრობის...

— გამიკითხეთ, დასახიჩრებული!...—მოწყალებას ითხოვს ბოწკინტებზე დაყრდნობილი ცალფეხა ინვალიდი. ბაღის კარებთან დგას ბრმა მეზღვაური და მღერის მსოფლიო ომის სურათებში აწნულ განცდებს.

მეორე მხარეს მისი ამხანაგი ფლეიტას აკვნესებს...

— ძია, მაჩუქე ცოტა რამე!..

ხელს უწვდის გამვლელთ ძონძებში გახვეული ბავში და თან შეშინებული განზე უხტება, რომ უგულო გამვლელმა თავში არ, წამოუტიალოს, თან შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, რათა მილიციონერის თვალებს გაუსხლტეს..

— მაჩუქეთ რამე! ახლა მეორე აედევნა მოსეირნეთ.

— მოშორდი აქედან! გამიჭირეს საქმე.

— გამიკითხეთ ობოლი!

ვერ მოასწრო ერთის მოშორება გამვლელმა, რომ ახლა სხვა ბავში აეტუზა.

— ძია, დამეხმარე!..

— მამა ომში დამეღუპა, დედა ავადა მყავს...

— მშიერი ვარ, ცოტა ოდენი პურის ფული...

— შენი ჭირიმე, ქალბატონო, ხუთი მილიონი მომე...

— გაიმეტეთ რამე...

ერთი მეორეს სცვლიან ქუჩის უპატრონო ბავშები და იწვდიან გამხდარ ხელებს; სახე მათი შესანიშნავი გამომეტყველებით არავის უღვიძებს და ულბობს გაქვავებულ გულს, არავის უჩუყებს გრძნობას, და მისეირნობენ უდარდელად.

— ბიჭო, მოდი აქ!—უძახის ერთი ჩაწკებილი ახალგაზრდა, კედელთან უხმოდ ატუზულ ბავშს და აწვდის ას მილიონიანს, რომელიც არაფერს წარმოადგენს ახლა და ამაყად, პაპიროსის გაბოლებით მიიკლაკნება.

რესტორანიდან მოისმის მუსიკის ხმა, მოქეიფეთა სიმღერა. კარებთან ატუზულა ბავში, რომელსაც რესტორანიდან ცხვირში ეცემა მრავალნაირ საჭმელების სუნი და იბნიდება, ნერწყვი მოსდის შიმშილს შეჩვეულს, ხელს უწვდის:

— ძია, ობოლი ვარ, მაჩუქეთ რამე!

— დაიღუპე აქედან!!!

უყვირის და ურტყამს თავში. ბავში იქვე იკეცება თავ-ბრუ დასხმული და მის თვალთაგან მწარე ცრემლები მოგორავენ.

ისინი კი ხარხარობენ სიამოვნებით და მიიმღერიან ხალხში, ხელის კვრით, არავის არ ერიდებიან.

— მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ...

— ამხანაგო! წესიერებას ნუ არღვევთ, გაიარეთ პატიოსნად! ეუბნება ზრდილობიანად მილიციონერი.

— რაო?! ხა! ხა! ერთი ამ ქეციანს უყურეთ და!—უკადრისობს ახალგაზრდა და ყურადღებას არ აქცევს.

— ამხანაგო, კიდევ მოგიწოდებთ წესიერებისაკენ! - უმეორებს მილიციონერი.

ერთი მათგანი უკადრისობს ამას და ენთება სიბრაზისაგან, სისხლი აწვება ისედაც აჭარხალებულ სახეზე და მიიწევს მკლავ ანალირი

— ვის უბედავ მაგას!? შენ იცი ვინ ვარ?!

— მოქალაქე, ჩემთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოთ, წესიერება დაიცავით.

— ყურადღებას ნუ აქცევ, გოგი, წამოდი!

— გამიშვი მეთქი! მაგას ვაჩვენებ ვინცა ვარ!

ჭირვეულის თავხედობა თავდება კომისარიატში სტუმრობით.

მისგან ნაცემი ბავში-კი დგება კვლავ ფეხზე კვნესით და მისუსტებული იწვდის ხელს.

— შეუბრალებელო მოქალაქენო! შემიბრალეთ! თუ არ მიშველით, ნუ მცემთ მაინც...

ზოგიერთს სწვდება ეს ყურში და იმეტებენ მოწყალებას, ზოგი კი იცინის ამ სიტყვებზე.

— ალექსი პეტროვიჩ, ხედავ, რა ჭკვიანი სიტყვები სთქვა?

— ნეტა შენ, ყურადღებას რომ აქცევ მაგ მაწანწალებს.

— არა, მე სხვანაირად მგონია. აბა, ამას მოუარე, აბა, ჩააცვი, გააძღე, ასწავლე, დარწმუნებული ვარ, რომ საუკეთესო მოქალაქე დადგება.

— ჰმ! რას ამბობთ! ქურდებია ყველა ეგენი და გარყვნილები. რამდენსაც აჩუქებ, იმდენი უარესია, ხელობად გაიხდიან.

— ბევრი იყო რომ ასე დადიოდენ, უპატრონონი იყვენ, მათი გამოსწორების იმედი არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდათ, მაგრამ მთავრობა ზრუნავს, საბავშო სახლებში უყრის მათ თავს. მხოლოდ ამათი მოვლა მარტო მთავრობას არ უნდა დავაკისროთ, ჩვენ, ყველამ უნდა გავიღოთ წვლილი დასახმარებლად ეს ყველა პატიოსან მოქალაქის მოვალეობაა. ყველა უნდა ჩავეწეროთ წევრებად და შევიტანოთ ჩვენი წვლილი ახლახან დაარსებულ „ბავშთა მეგობართა საზოგადოებაში“.

ისმის ზოგიერთ შეგნებულ და საბჭოთა ხელისუფლების მოყვარულ მოქალაქეთაგან.

— არც ერთი უპატრონო ბავში არ უნდა დარჩეს ქალაქში!

— ისინი კომუნის ყვავილებია.

ქალაქი ხმაურობს...

გაზაფხულით გახარებული ხალხი სიამოვნებას ეძლევა, ფრთასა შლის სიცოცხლე და ნეტარება.

იდუმალი ხმა კი ყველგან გაისმის:

— დაეხმარეთ ქუჩაში დარჩენილ უპატრონო ბავშებს!

— ისინი არიან კომუნის ყვავილები!

— ისინი გახდებიან პატიოსანი, მშრომელი მოქალაქეები!

— გაიხსენეთ მშობლიური მოვალეობა!

— ამ გაზაფხულის სიხარული ბავშებსაც ვაგრძნობინოთ!..

— სალამი ბავშთა მეგობრებს...

მზე უფრო შლის თავის ცხოველ-მყოფელ სხივებს.

ბუნება უფრო ნეტარობს ახალი ჰიმნით: გახარებული ბავშები ჰკრეფენ ყვავილებს..

სეზმან.



# არაზინდოზე *)

იშ ტურფა მხარეს, კეკლუცს, მოკაზმულს,
აქ გული სევდით ვით დავიბინდო!
ლურჯი სამყარო—ზღვა ფიქვ-ნაძვნართა:
—აბასთუმანი და არაზინდო.

—

აქ წერწეტ ტანზე ნაძვებს აცვია
კოხტა ქათიბი ზურმუხტა წიწვის,
და ფისი—ოქროს ცრემლად დაღვრილი,
სურნელად დნება, მზეზე რომ იწვის.

—

აქ სიოს ფრთებზე სიმად გაბმული,
ტყე სულ შრიალებს ჩუმი შიშინით;
მკერდი ივსება, ლაღად ძგერს გული
და კვლავ ენთები სიცოცხლის ჟინით.

—

ცა ასე ახლოს ვინ, სად იხილოს,
ლურჯი, უძირო და ვამქვირვალი;
მთის წყარო გხიბლავს წრფელ სიხალისით,
აქ ახლო არის ყველა მწვერვალი.

—

გხიბლავს ბუნება და ვერვინ გხედავს
გულ დამძიმებულს, მთვლემარს, მოწყენილს,
ცის ალერსს მსწრაფლ სცვლის ბუნების რისხვა,
სჭვრეტ ცეცხლის გველებს ცაში გაფრენილს.

—

და ჰა, იმტვრევა პირქუშ ცის თაღზე
ჭექა-ქუხილი, ისმის რუხრუხი;
ძირს ნიაღვარი იჭერს ნიაღვარს,
კლდეზე გადარბის გრგვინვით ჩაქუხი**)

*) არაზინდო ფიქვ-ნაძვნარით შემოსილი მაღლობი აბასთუმანში, სადაც სანატორიუმია აშენებული.

**) ჩაქუხი — ჩანჩქერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეტყვის ტყვიები ამტვრევს ყველაფერს
ცის უფსკრულიდან დამიზნებული,
არის განგაში, თქეშა და ზავთი,
მკაცრობს ბუნება იჯანყებული.

—

უცებ სიწყნარე... და არე-მარე
კვლავ ფრთხილად სუნთქავს, ხმა გაკმენდილი,
აგერ მზე სხივებს გვაფრქვევს მცხუნვარეს,
თავზე დაგვყურებს ცა მოწმენდილი.

და ისევ, ისე ნაზი ალერსი,
ლურჯ ტყეს აზმორებს ვით ნამძინარევს,
კვლავ დაილვრება ნაძვის სურნელი,—
ფიჭვ-ნაძვნარს სიო ფრთებს ნაზად დარევს.

—

სამოთხევ მიწის, აქ, შენს კალთებზე
ყოფნის უღელი ვით არა ვზიდო!
ლურჯი სამყარო, ზღვა ფიჭვ-ნაძვნართა,
—აბასთუმანი და არაზინდო!..

ილია სიხარულიძე.

# აბასთუმანი

ქალაქ **ახალციხიდან** ზევით, ჩრდილოეთისაკენ რომ წახვიდეთ, გაივლით ოცდა ხუთ ვერსს და შეხვალთ ფიჭვ-ნაძვნარით კოხტად შემკულ ხეობაში—აბასთუმანში. ამ ხეობას შუა ჩამოუდის მდინარე, რომელსაც დღეს აბასთუმნის წყალს ეძახიან, წინეთ ამ ადგილს **ოძრხეს, ანუ ოძრახეს** უწოდებდენ. ამ ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობდა ეგრედ წოდებული ვიწრო რკინის ხევი, დღეს აბასთუმანის ხეობა. ამ ხევზე გადიოდა პირდაპირი გზა დასავლეთ საქართველოდან სამცხეში. ხსენებული ხევით აბასთუმნიდან დასავლეთ საქართველოში გადადიან ზეკარის უღელტეხილის გადავლით. აქ ხევის უმაღლეს ადგილზე იყო **„რკინის ჯვარი“**.

თუ როგორ დაერქვა ამ ადგილს „აბასთუმანი“, ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი ასე განმარტავს: „იბასთუმანი, ანუ აბაშთ-მანი, აბაშთ-უბანი, როგორც ტიმოთის-მანი, ანუ ტიმოთეს უბანი, შეიძლება ოდესმე ამ ადგილას აბაშელები (ასე ეძახდენ ძველად კასპიის ზღვის ახლო მცხოვრებ სპარსეთის მოდგმის ხალხს), დაბინავებულიყვენ. ძველად, ხშირი იყო ომიანობა ჩვენში და შესაძლოა აბაშელები ყოფილიყვენ ამ ადგილას დაბინავებული და ამ ადგილს აბაშთ-უბანი დარქმეოდეს, რომელიც დღეს აბასთუმნად გადაკეთდა“.

აბასთუმნის ხევის სამხრეთ ნაწილში, მთის ძირას, არის ცხელი აბანო, რასაც წინეთ ოცხეს აბანოს უწოდებდენ.

— „სამხრეთით, არს მთის კალთად, წყაროდ გადმომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდულარის მსგავსი, რომელსაც უწოდებენ **ოცხეს**“, ასე სწერს ვახუშტი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“. ეს აბანო ძველს დროიდანვე შენიშნული იყო, როგორც ძლიერ სასარგებლო, სამკურნალო წყალი. იგივე ვახუშტი ამბობს: „წყალს ზედა ამას, არს აბანო და ბანობენ მრავალნი: რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთვილსა, ძლიერსა მუწუკსა და **ბურგსა**, ძნიად საკურნებელსა მკურნალთაგან“. მართლაც ეს აბანოები დღეს განთქმულია თავისი სამკურნალო თვისებით.

ახლანდელი აბასთუმანი წინეთ დიდი სტრატეგიული პუნქტი, სამხედრო მნიშვნელობის ადგილი იყო. ის კარი იყო იმერეთსა და სამცხე-საათაბეგოს შორის. როდესაც მტერი შემოესეოდა იმერეთს და სამცხეს გადასვლას ლამობდა ოძრხეს მიადგებოდა ახლანდელ ზეკარის უღელტეხილით, ან და, როცა მტერი სამცხით იმერეთს, გადასვლას აპირებდა, უსათუოდ ამავე გზით უნდა წასულიყო. დღეს **აბასთუმანი** მხოლოდ **სამკურნალო** ადგილია, შესანიშნავი და უმაგალითო თავის სამკურნალო ჰაერით და მინერალური წყლებით. აბასთუმანი მეფის, ნიკოლოზის, დროს სამხედრო კურორტად, აგარაკად ითვლებოდა. ბორჯომიდან ის 75 ვერსის მანძილით არის დაშორებული და საეტლო გზა მიდის. როგორც გადმოგვცემენ, მეფის მთავრობამ ეს მშვენიერი საგარაკო ადგილი ბორჯომს რკინის გზით განზრახ არ დაუკავშირა, რომ ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო. და მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლაც, ერთად ერთი სიძნელე, რაც ელობება წინ აბასთუმანში წამსვლელთ, ეს შორი გზაა, 75 ვერსის გავლა ეტლით ავადმყოფისათვის მეტად ძნელია, თან გაცილებით უფრო ძვირად ჯდება, ვიდრე რკინის გზით. წინეთ, ნიკოლოზის მთავრობის დროს, ეს აგარაკი ყოველ ზაფხულობით სავსე იყო რუსეთის, თუ საქართველოს ყოველ კუთხიდან ჩამოსული სამხედრო პირებით: გენერლებით, აფიცრებით, იუნკრებით და ბურჟუა.კაპიტალისტებით.

მუშა ხალხის წრიდან იქ იშვიათად ვისმე ნახავდით. შეუძლებელიც იყო მათი იქ ცხოვრება სიძვირის გამო. ისეთი სიძვირის დაძლევა მხოლოდ სამხედრო უწყებას და მდიდრებს შეეძლოთ და მათთკის ხელსაყრელიც იყო, ვინაიდან მათ გვერდით არ გაიჭაჭანებდა მუშა ხალხი. მე ვიყავი მოწამე, როგორც ცხოველებს, ძაღლებს, ისე ერეკებოდენ სასეირნო ჭალებიდან და ბაღებიდან უბრალოდ, ღარიბულად ჩაცმულებს. ასეთი იყო წინედ აბასთუმანი, ეს ჩვენი ქვეყნის სამოთხე, რომელსაც სამხედრო პირები და ბურჟუები დაპატრონებოდენ.

მეფის დახტის დანგრევის შემდეგ აბასთუმანში თანდათან იწყო მუშა ხალხმა სამკურნალოდ გამგზავრება. თუმცა აბასთუმანი რამდენჯერმე აოხრეს ოსმალებმა, როდესაც ჩვენში ისინი შემოიჭრენ, მაგრამ დღეს ის ისევ აღდგენილი და მოწყობილია. იქ არის სანატორიუმი **არაზინდო**, შვენიერ, მაღლობ ადგილზე, ფიჭვ-ნაძვნარში კოხტად ამართული შვენიერი, უზარმაზარი შენობა. სანატორიუმი არაზინდო დღეს მუშების და საბჭოთ მოსამსახურეებისთვის არის დანიშნული. იქ იგზავნებიან დაავათმყოფებული მუშა-მოსამსახურეები და ჯანს ისევ იბრუნებენ აბასთუმნის სასწაულმომქმედი სამკურნალო ჰაერით და მინერალურ წყლებით. არაზინდოს გარდა იქ მრავალი საუკეთესო სახლებია სანატორიუმად და დასასვენებელ სახლებად მოწყობილი. მუშა-მოსამსახურეთათვის შეღავათი არის დაწესებული ბინებითა და წყლებით სარგებლობისათვის. მრავალი მუშა-მოსამსახურე სრულიად უსასყიდლოთ იგზავნება იქ სამკურნალოდ. ახლა რამოდენიმე სიტყვა აბასთუმნის სილამაზე-ღირსების შესახებ. გრძელი ხეობა, შუაში მკვირცხლი, მუდამ ანკარა, მოჩხრიალე აბასთუმნის მდინარე, ამ მდინარეზე აბანოების ახლოს შვენიერი ჩანჩქერი, რომელიც ავდრის, წყალდიდობის დროს საოცარი სანახავია. მდინარის ორივე მხრივ შვენიერი ხშირი, ხუჭუჭა ფიჭვნაძვნარი,—კოხტა საადგილო სახლებით შვენივრად მორთულ-მოკაზმული. დააცხუნებს თუ არა მზე, ფიჭვ-ნაძვნარის ფისის სუნი საკმეველივით დაიბნევა ტყეში. მშრალს, მსუბუქს, ლაღსა, და გრილ ჰაერს მაშინვე გრძნობს ადამიანი, მკერდი განიერად იშლება და გრძნობს სიმსუბუქეს და სილაღეს. რა გინდ სეტყვა, კოკისპირული წვიმა დაარტყას, როგორც ჩვეულებრივად იცის მთიანმა ადგილმა, შეწყდება ავდარი, უცებ მზე გამოანათებს და ნახევარ საათში ისე გაშრება ნიადაგი და ტყე. რომ მიწაზე დაწვე, არა გიშავს. ფილტვებით ავადმყოფებისა, მალარიიანისა, სისხლნაკლულოვანება-ქარებით შეპყრობილებისათვის აბასთუმანი პირდაპირ მისწრებაა, სასწაულს ახდენს. ასეთია აბასთუმანი, ეს მიწიერი სამოთხე, რომელიც მეფის დროს სამხედრო უწყებამ, ბურჟუაზიამ ხელიდან გამოგვტაცა და მუშა ხალხს კი ზეციურ სამოთხეზე უთითებდა. დღეს კი ჩვენ გვინდა ეს სამოთხე ადგილი, მათთვის ზეცა დაგვითმია.

**მოაგარაკე.**

# წმინდანის ცეცხლი

ღამდა. ცა აკაშკაშდა. მთვარე ჯერ არ ჩანს. ბნელა. სოფელმა შესწყვიტა მოძრაობა და მიიძინა. სიჩუმეა, შორიდან მხოლოდ ძაღლის ყეფა მოისმის. ხმაზე ეტყობა—ან შიშით, ან და უსაქმობით უნდა იყოს გამოწვეული.

შარა გზით, ქალაქისაკენ, ორი ახალგაზრდა მგზავრი მიიჩქარის. ერთი მოზრდილი, ასე თექვსმეტი წლის ყმაწვილია, მეორე კი 10 წლის ბიჭუნა. ორთავეს ზურგზე ჩანთები ჰკიდია, ხელში კი თავკობალა ჯოხები უკავიათ.

გრძელი გზა გამოიარეს... დაიღალენ... გაიფიქრეს უკანასკნელ სოფელში, ნაცნობ გლეხთან ღამის გათევა, მაგრამ.. ხვალ სკოლაში სწავლა უნდა განახლდეს და ამიტომ ამჯობინეს გზის გაგრძელება.

მუსაიფი მოსწყინდათ და შესწყვიტეს. ხანდახან პატარა თუ შეეკითხება რაზედმე, თორემ ისე დიდი ხანია ალარ ბაასობენ.

— ნეტავ ჩავუსწრებთ დაძინებამდე?—ეკითხება პატარა.

— ჩავუსწრებთ, მაშ! ჯერ ცხრა საათია, ერთ საათში ჩავალთ, ჩვენები კი თორმეტ საათზე იძინებენ.

მგზავრებმა უკანასკნელი ფერდი აიარეს და სერზე ავიდენ.

თვალწინ ათასი ლამპით განათებული ქალაქი გადაეშალათ. კიდევ ორი სამი ვერსი და—ქალაქში შევლენ.

ქალაქის სიახლოვემ მგზავრებს ხალისი დაუბრუნა. დაღლილობას ნაკლებად გრძნობენ, ლაპარაკს მოუხშირეს და ნაბიჯიც ააჩქარეს.

დაგვიანებული ახლო სოფლის გლეხებიც ხშირად ხვდებიან მათ.

მოესმით თუ არა ნაბიჯის ხმა, ორივე ხმამაღლა ჩაახველებს, თითქოს ეკითხებიან „ვინა ხარო“.

სოფლელმა კარგად იცის ამ ჩახველების მნიშვნელობა და იმ ნაირადვე უპასუხებს.

— შორსაა, ბიძია, ქალაქი?—შეეკითხა ერთ გლეხს, სალამის შემდეგ, პატარა.

— არა, ბიძი, აი სასაფლაოს გადაივლით და ქალაქში შეხვალთ.

— განა სხვა ადგილი არ იყო, რომ ამ დალოცვილებს სასაფლაოზე გზა არ გაეყვანათ?! წაილაპარაკა პატარამ.

— სხვა გზაც არის, მაგრამ ასე უფრო ახლოა. რა იყო? ხომ არ გეშინია?—შეეკითხა პატარას დიდი.

— შიშით არ მეშინია, მაგრამ მაინც ღამით მკვდრებში სიარული რაღაც სასიამოვნო არ არის. აი, შენ თუმცა ძალიან გულადი ხარ, მაგრამ რომ არ მიგეჩქარება, ოდეს მგონია სხვა გზით არჩევდი გარებას. მართლა, რად არის, რომ კაცს არ უყვარს ასეთ ადგილებზე ღამით სიარული.

— იმიტომ, რომ ცრუმორწმუნეობასა და ჭორებში ვართ აღზრდილი, უპასუხა მოზრდილმა.

ამასობაში მგზავრები სასაფლაოში შევიდენ. ორივე ცდილობდა გულადობა არ დაეკარგა. ლაპარაკი ხმამაღლა დაიწყეს, პატარამ სიმღერაც წამოიწყო.

ის იყო, თითქმის სასაფლაოს ბოლოს მიაღწიეს, როდესაც მათ წინ, ორი საჟენის მანძილზე, მიწიდან პატარა ალი ამოვარდა, გაანათა და სწრაფად ჩაჰქრა.

მგზავრები შეჩერდენ. ორთავეს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ჯერ დიდმა ჩაახველა, შემდეგ პა

ტარამ, პასუხი ვერ მიიღეს. პატარამ ამხანაგის ხალათს ხელი ჩაავლო და აკაბაცახდა.

— ვინ არის მანდ,—წამოიძახა დიდმა.

პასუხად ალმა ხელმეორედ იფეთქა და იმავე სისწრაფით ჩაჰქრა.

მოზრდილმა ჯიბიდან წუმწუმა ამოიღო, გადადგა წინ რამოდენიმე ნაბიჯი და გაანათა.

— ახალი საფლავი ირგვლივ არავინაა, ალბად ციცინათელა იქნებოდა—წავიდეთ ჩქარა, თორემ დაგვაგვიანდა.

მგზავრებმა ნაბიჯი ააჩქარეს და ერთს წამს სასაფლაოდან გავიდენ.

— ციცინათელა?!. არა, ასეთი ციცინათელა ჩვენში არ მოიპოვება. ნამდვილად ცეცხლი იყო, მაგრამ საიდან? როგორ!—ფიქრობდა დიდი. პატარა კი არწმუნებდა—„უსათუოდ ციცინათელა იქნებოდა“ო.

——

— მოგეჩვენებოდა, ჩვენს დროში წმინდანები აღარ არიან,—სიცილით უპასუხებდენ ამხანაგები გოგის, რომელიც მოუთხრობდა მათ წინა ღამის შემთხვევას და ცდილობდა დარწმუნებია ისინი, რომ მან ნამდვილად ნახა ცეცხლი სასაფლაოზე და ამის მოწმეცა ჰყავს.

ამ დროს კლასში მასწავლებელი შემოვიდა.

— რას ხარხარებთ?—შეეკითხა ის მოწაფეებს.

— გოგის წუხელი წმინდანი აღმოუჩენია,—სიცილით მიუგო მას ერთმა მოწაფეთაგანმა.

— რა წმინდანი?

გოგიმ დაწვრილებით უამბო მასწავლებელს ის, რაც სასაფლაოზე ნახა.

— გოგიმ რომ საფლავზე ცეცხლი ნახა—ეს მჯერა, მაგრამ წმინდანობასთან მას არავითარი კავშირი არა აქვს. ახალ საფლავზე ცეცხლი ხშირი მოვლენაა, მომითმინეთ ხუთი წუთი და მე თქვენ გაგიმეორებ მას, რაც გოგის წუხელი სასაფლაოზე უნახავს.

მასწავლებელმა შესცვალა გაკვეთილის თემა. ხუთ წუთში მაგიდა მოიფინა საჭირო ხელსაწყოებითა და მასალით.

მოწაფეები დიდი ყურადღებით უსმენდენ მასწავლებელს, რომელიც უხსნიდა მათ საინტერესო მოვლენას.

— აი ეს გაზი, რომელიც ჭურჭლიდან ამ მილით გამომდინარეობს-წყალმბადია. სხვა გაზებისაგან ეს იმით განსხვავდება, რომ მას ცეცხლი ადვილად ეკიდება და იწვის, ამასთანავე ის ჰაერზე გაცილებით მჩატეა. ეს ნივთიერება—ფოსფორია. ფოსფორი იმით არის შესანიშნავი, რომ მას ჰაერზე ცეცხლი თავის-თავად ეკიდება და იწვის. ეს ორი ნივთიერება ადვილად ერთდება, რასაც შედეგად ფოსფორიანი წყალმბადი მოჰყვება. ფოსფორიანი წყალმბადი უბრალო წყალმბადივით შჩატე გაზია, რომელსაც, მოხვდება თუ არა ჰაერი, მაშინვე ცეცხლი წაეკიდება და სწრაფად დაიწვის, შევაერთოთ ჩვენც ეს ორი ნივთიერება და ფოსფორიანი წყალმბადი მივიღოთ. ფოსფორიანი წყალმბადის მისაღებად დამზადებულია აი ეს ხელსაწყო.

მინის ქილა მჭიდროდ დახურულია საცობით, რომელშიაც გატარებულია ორი მოღუნული მილი. ერთით ქილა ნახშირმჟავა გაზის მისაღებ ჭურჭელს უერთდება, მეორე მილის გარეგანი მუხლი დაქანებულია, აშვერილი წვერით თასში გადადის და ჩაყურყუმელავებულია წყალში. გავხსნათ წყალში ბლომად მწვავე ტუტა და ხსნილში ფოსფორის ორი სამი პატარა ნაჭერი ჩავაგდოთ, ახლა თუ ქილას შევათბობთ, ფოსფორიან წყალმბადს მივიღებთ. მაგრამ ქილაში ჰაერია, თუ ის იქ დარჩა—ხელს შეგვიშლის, ფოსფორიანი წყალმბადი იქვე დაიწვის და, შეიძლება, ქილაც გახეთქოს. ეს რომ არ მოხდეს, ქილაში ნახშირმჟავა გაზი გავატაროთ. ახლა ქილაში ჰაერი აღარ არის და თამამად შეგვიძლია შევათბოთ ის.

გავიდა ათი წუთი. თასში წყლის ზედაპირზე ცეცხლის წერტილმა იფეთქა. მას მოჰყვა მეორე, მესამე... წერტილი თანდათან იზრდებოდა და ბოლოს წყლიდან მოზრდილი ალი ამოფეთქდა.

— კაცის ორგანიზმი,—განაგრძობდა მასწავლებელი,—მდიდარია წყალმბადით და ფოსფორით. როდესაც გვამი იხრწნება, ეს ორი ნივთიერება ადვილად ერთდება. ფოსფორიანი წყალმბადი, როგორც მჩატე გაზი, ზევით ამოისწრაფის, ადვილად ნახულობს გზას ანგრეულ მიწაში და გამოვა თუ არა ჰაერზე, ცეცხლი წაეკიდება და სწრაფად დაიწვის.

— ესეც შენი წმინდანი,—სთქვა ერთმა მოწაფეთაგანმა.

——

გოგი ცოტა შეწითლდა და ისეთი თვალებით გამოიყურებოდა, თითქოს ბოდიშს ითხოვს უვიცობისათვისო.

——

სასაფლაოზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც გასულ ღამეს გოგიმ ცეცხლი ნახა, მოწაფეებს თავი მოეყარათ, მაგრამ დღეს ცეცხლი აღარ იყო.

— სჩანს ფოსფორი გამოილია,—სთქვა ერთმა მოწაფეთაგანმა,—კმარა, წავიდეთ.

ამხანაგებმა მას მხარი დაუჭირეს და სასაფლაოდან გავიდენ.

**კ. არჯევანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშთა ცხოვრება

## ს

ტომბრის უკანასკნელ რიცხვებში, მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ბავშთა კომჯგუფების ორგანიზაციებს.

ბავშთა კომჯგუფები იღებდენ მხურვალე მონაწილეობას ინგლისის უკანასკნელ არჩევნებში; ისინი ავრცელებდენ მფრინავ ფურცლებს ინგლისის კომპარტიისა, კრეფდენ ცნობებს არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, აწყობდენ დემონსტრაციებს და სხვ. თუ რამდენად იყვნენ ბავშები გატაცებული არჩევნებით, გვაჩვენებს შემდეგი ფაქტი: იყო დაწერილი ცარცით კომპარტიის ლოზუნგები— „ეს გააკეთა ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებმა“.

ეს უკვე არის ნამდვილი აქტივობა, ნამდვილი კომუნისტური მუშაობა და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მოკლე ხანში გავიგონებთ ბევრს კარგს და საინტერესო ამბავს ინგლისის ბავშთა კომუნისტურ ჯგუფების შესახებ.

**ამერიკა.** ამერიკაში ბავშთა კომუნისტური ჯგუფები დაარსდა ოფრო გვიან, ვიდრე ინგლისში: მხოლოდ ნახევარი წლის წინათ. ამ ჟამად ამერიკის 16 ქალაქში არის ჯგუფები „უფროსების სექციის“, „უმცროსების ლიგის“. ამერიკის მუშა ახალგაზრდათა კავშირს ჰქვია „ბავშთა კომუნისტური ჯგუფები“. (ამერიკაში—სექციაში ითვლება ახლა 900—1.000 ბავში). მას აქვს საკუთარი გაზეთი „ნორჩი ამხანაგი“, მისი მესამე ნომერი უკვე გამოვიდა.

ბავშთა კომუნისტური ჯგუფების რიცხვი, როგორც ვხედავთ, არ არის დიდი, მაგრამ მას აქვს განსაკუთრებული მებრძოლი ხასიათი, რაც უფრო მნიშვნელოვანია. ამ ჟამად მაგალითად, ისინი აწარმოებენ ენერგიულ ბრძოლას გერმანიის რევოლიუციის ჩაქრობაში შეერთებულ შტატების მონაწილეობის წინააღმდეგ. სექციის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა განსაკუთრებული მოწოდება მუშათა ბავშების მიმართ, სადაც მოუწოდებდენ მათ აწარმოონ ეს ბრძოლა, სკოლაში, ბავშთა სახლებში და სხვ. ბავშთა მოწოდება მიმართულია აგრეთვე ტრანსპორტის მუშების მიმართ, რომელთაც სთხოვენ არ გადაზიდონ სამხედრო მასალები, რომელიც უნდა გაეგზავნოს გერმანიის ბურჟუაზიას. ამას გარდა, ბავშთა კომუნისტური ჯგუფები აწარმოებენ ენერგიულ ბრძოლას ბავშთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რომელიც ღებულობს ამერიკაში საშინელ ფორმებს.

# გერმანიის პიონერები

მე წამოველი გერმანიიდან 5 მარტს. ეს იყო სწორედ მას შემდეგ, როდესაც მოხსნილ იქნა განკარგულება კომუნისტური პარტიის აკრძალვისა. ამ დრომდე პარტიის, კომკავშირის ბავშთა ჯგუფების მუშაობა იტაკ ქვეშ იყო შედენილი. სამ თვეზე მეტ ხანს ახალგ. გერმანელ ამხანაგებს უნდა ემალათ თავისი მუშაობა, იკრიბებოდენ და აწყობდენ კრებებს ჩუმად.

მიუხედავად კომუნისტური გაზეთების აკრძალვისა, გამოვიდა ბავშთა ჟურნალი „ახალგაზრდა ამხანაგი“. როდესაც მიიღეს ლენინის გარდაცვალების ამბავი, გადასწყვიტეს მთელი ნომერი ჟურნალისა ლენინის ხსოვნისათვის ეძღვნათ. ბავშთა ყოველ კრებაზე ლაპარაკობდენ ლენინისა და რევოლიუციონურ მოძრაობაში მისი მნიშვნელობის შესახებ. ღრმა მწუხარებამ მოიცვა გერმანელ ბავშების გული და მხურვალე თანაგრძნობას უძღვნიდენ თავის ამხანაგებს. გერმანიის კომუნისტური ჯგუფები მოუთმენლად ელიან რევოლიუციას, მონაწილეობენ, რითაც შეუძლიათ, მუშათა საქმისთვის ბრძოლაში, რომ თავის ძმებთან და მამებთან ერთად გამარჯვებული გამოვიდენ.

პროლეტარულმა ბავშებმა ყველაზე უფრო იგრძნეს თავის თავზე კაპიტალის უღელი და ომის შედეგი. ათას გერმანელ ბავშს არა აქვს მთელი დღის განმავლობაში ცხელი საჭმელი. ბევრი საზრდოობს ისე, რომ სიმშილით ლამის მოკვდეს. ბევრი ბავშვი ვერ დადის სკოლაში, რადგანაც არა აქვს ფეხსაცმელი და ტანისამოსი. დიდ დახმარებას უწევს გერმანელ ბავშებს საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტი.

ბავშთა კომუნისტური ჯგუფები აწარმოებენ ბრძოლას ეკონომიურ ფრონტზე: ბავშთა სასადილოებთან და სკოლებთან უფასო სადილის მისაღებად, ტანისამოსის და ფეხსაცმელების გასანაწილებლად, ბავშთა სახლების მოსაწყობად. ამას გარდა ისინი აწარმოებენ პოლიტიკურ ბრძოლას სასწავლებლებში მასწავლებლებისა, ბავშთა და ჩამორჩენილ მშობლების წინააღმდეგ. ბავშებს ატუსაღებენ და სცემენ პოლიცია და მასწავლებლები, იმიტომ რომ ისინი გაბედულად იცავენ სიმართლეს, რასაც ელაპარაკებიან პირში თავის აღმზდელებს.

კომუნისტური ჯგუფები აარსებენ სკოლებში უჯრედებს, სადაც შემოდის ბავშთა ყველა საჩივარი, რაც შემდეგ გადაეცემა არა ცალ-ცალკე, არამედ კოლექტიური სახით, სკოლის დირექციას. უჯრედები არის ბაზა კოლექტიურ მუშაობისა. ბავშთა ჯგუფები აწარმოებენ საპასუხისმგებელო მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობას პოლიტიკურ ბრძოლაში. ახალგ. ლენინელები გაბედულად იცავდენ ახალგაზრდობის და პარტიის ინტერესებს, ისინი მუშაობდენ, როგორც შიკრიკებად, ისე მზვერავებად, აფრთხილებდენ უფროს ამხანაგებს, როდესაც დაიჭერდენ მათ და მოსთხოვდენ რაიმე ცნობის მიცემას, ისინი ამაყად უარს ეუბნებოდენ მსაჯულებს.



## ჰოლანდიას გამგზავრება

მოღრუბლული ცა. ნაცრის ფერ მოდებული პროლეტარული კვარტალი. დაგვიანებული პროლეტარები, უმთავრესად კანტორის მოხელეები, დაღლილნი და დაჩაგრულნი, სამსახურში მიეჩქარებიან... ამ დროს ანგალტერსკის სადგურში ყველაფერი სავსეა სიცოცხლით და მოძრაობით. მუშების ცოლები თავიანთ ბავშებით თავის ბარგზე სხედან და მატარებელს უცდიან. დღეს მიდის ჰოლანდიაში მუშათა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტის ბავშთა მე-2 მატარებელი... გაცრეცილ ბავშთა სახეებზე სიხარული იხატება, დაშორების წუხილის კვალიც არ ჩანს. დღეს ხომ ისინი მიემგზავრებიან ჰოლანდიაში, სადაც მუშები აძლევენ თავშესაფარს და დახმარებას უცხო სახელმწიფოების მუშების შვილებს. ბავშების თავმოყრა და მატარებელში მოთავსება ხდება ჩქარა. წითელი გვარდიამარშს უკრავს და მატარებელიც იძვრის. მოთხრობის ხმა-მაღლა კითხვასა და დიდ სიმღერაში დრო მალე მიდის.

მალე ჩვენ მივედით გალლეში.

აქ გვიმასპინძლდებიან. სადგურთან ჩვენ შევხვდით საქსონიის და ტიურინგიის ბავშებს. ერთ წამში ჩვენ დავეწყვეთ. ბარგი ჩააწყეს ავტომობილში, თვით ჩვენ კი გავეშურეთ გალლეს ქუჩებით სახალხო სახლისაკენ.

მუშის ბავშები გამსჭვალული არიან კლასიური შეგნებით და ამაყნი თავის შთამომავლობით. არა მონურად, დაჩაგრული სახით, არამედ სწორად, გამბედავად მიდიან ისინი ქუჩებზე.

მალე მოისმა გამაცოცხლებელი ხმები, რევოლიუციონურ ლექსებისა; გამვლელი მცხოვრები, ბოროტი თვალებით უყურებს ბავშებს, გრძნობს რომ რევოლიუცია ცოცხალია, მიუხედავად ყოველგვარი აკრძალვისა. ის გრძნობს, რომ მისი აღსასრული ახლოვდება, რადგან ახალგაზრდობაც ყველაზე უფრო სუსტი ნაწილი მუშათა კლასის, გამოდის მისი ზედამხედველობიდან. პოლიციელი უძლურად დადის ქუჩებში. დემონსტრაციები აკრძალულია, მაგრამ მის წინ მედგრად ჩაიარა მხიარულმა გროვამ. პოლიციელები აღელვებული უვლიან მათ გვერდს, ჩვენი რიგები უფრო იკუმშებიან. სიმღერას უფრო ხმა მაღლა გაიძახიან, ცრემლები ავსებს ბავშების თვალებს, თვითეული იგონებს მამას და ძმას, ჩაგდებულს საპყრობილეში. მან ვერ შესძლო ეთმინა ამდენი ტანჯვა, შეეიწროება და აღსდგა... და ბავში ფიცსა სდებს, რომ როდესაც ის შეიქნება დიდი და ღონიერი, მიბაძავს მამის მაგალითს და მიმართავს ყველაფერს, ოღონდ კი მოსპოს უსამართლობა. ტუსაღები მიესალმენ ბავშებს. ბრძოლის სიმღერა ფრთებს ასხამს მათ. ჩვენ არ დავღუპულვართ, ჩვენი საქმე მიისწრაფის წინ! მალე ჩვენ მივედით სახალხო სახლში და მოვეწყეთ დიდ დარბაზში, სადაც ვისადილეთ. უმუშევარი ახალგაზრდობა გვიტკბობდა სმენას მუსიკით. ელექტრონული პიანინო სურათებით—ახალი იყო ჩვენთვის. ისმის გუნდის სიმღერა. ყველგან სუფევს მხიარულება. ბავშთა სიცილს არა აქვს ბოლო. ბედნიერებით და სიხარულით ბრწყინავენ ბავშების თვალები. მოახლოვდა დაბრუნების დროც. დავიწყეთ მზადება უკან წამოსასვლელად. ჩვენ ჩაგვსვეს ტრამვაიში და მოგვიყვანეს სადგურზე. რკინის გზის ადმინისტრაციამ მოგვცა ჩვენს განკარგულებაში რამდენიმე ვაგონი. ჩავსხედით ვაგონებში და გამოვემშვიდობეთ ჩვენს მეგობრებს. აგრეთვე მადლობა გადავუხადეთ იმ ამხანაგ ქალებს, რომელნიც დაუღალავად მუშაობდენ იმისათვის, რომ გაემხიარულებიათ ბავშები.

დილა ადრიანად ჩვენ მივუახლოვდით ჰოლანდიას—გერმანიის საზღვარს, ბენცგაიმში ჩვენ გველოდებოდა ჰოლანდიელი კომიტეტი, მივესალმეთ დიდი ხნის მეგობრებივით.

ბავშები მალე დაუმეგობრდენ ჰოლანდიელებს, რომელნიც გვიამბობდენ თავიანთ ცხოვრების ამბავს. რკინის გზის ადმინისტრაციამ წაიყვანა ბავშები ჰოლანდიის სხვადასხვა კუთხეში, სადაც უნდა დაბინავებულიყვნენ ბავშები, თუმცა ბავშებმა ჩვენთან ძლიერ ცოტა ხანი დაჰყვეს, მაგრამ ჩვენს შორის დამყარდა ნამდვილი მეგობრული განწყობილება.

**ბავშკოლი მოსკოვის ბავშთა კომჯგუფებისა.**



## მოწაფეთა კონფერენცია

ამა წლის 25 აპრილს ქალაქ ტფილისში სხვა და სხვა ადგილას შესდგა შრომის სკოლების მოწაფეთა კონფერენციები. თვითეულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო შვიდი შრომის სკოლის მოწაფეობა. აქ მოგვყავს ასეთი კონფერენციის ანგარიში, სახელდობრ, ოპერის თეატრში გამართული კონფერენციისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის პირველ საათზე შესდგა მოწაფეთა პრეზიდიუმი: თვითეული სასწავლებლიდან პრეზიდიუმში თითო წარმომადგენელი შედიოდა, ასე რომ პრეზიდიუმი შესდგებოდა შვიდი მოწაფისაგან. თავმჯდომარედ პრეზიდიუმისა და აგრეთვე კონფერენციისა არჩეული იქმნა მე 15 შრ. სკოლის მოწაფე დიმიტრი მძინარაშვილი. თავმჯდომარემ კონფერენცია მოკლე სიტყვით გასხნა.

მან აღნიშნა, რომ: თვითმპყრობელობის დროს მოწაფეობა შებოჭილი იყო, მას არ ჰქონდა იმ დროს საშვალება თავისუფლად ამოესუნთქა, ფრთა გაეშალა მის ლაღ ბუნებას და გამოხმაურებოდა ცხოვრებას; ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ცხოვრების სინამდვილეს, ამბობს თავმჯდომარე, ჩვენ გვკეტავდენ უსიცოცხლო სკოლის კედლებში, არ გვქონდა უფლება აზრის გამოთქმისა, არ გვქონდა უფლება დავკავშირებოდით სკოლის გარედ არსებულ სინამდვილეს. ჩვენ თვალებს გვიხვევდენ სინამდვილის წინაშე და ასე გვაბრმავებდენ. სკოლა მოწყვეტილი იყო ცხოვრებას, სკოლასა და სინამდვილეს შორის ჩატეხილი ხიდი, სწავლა უსიცოცხლო, მშრალი მოსაწყენი, აი როგორი იყო თვითმპყრობელობის დროინდელი სწავლა-აღზრდა.

დღეს კი მოწაფეობას სწავლა-აღზრდა ახალს შრომის სკოლაში უხდება, დღევანდელი სკოლა დიდად განსხვავდება ძველისაგან, ის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირს აბამს, დღეს სწავლა-აღზრდის საქმე წინ მიდის ჩქარი ნაბიჯით. ჩვენ მოწაფეობა ამას კარგად ვგრძნობთ და გული სიამით გვიფეთქს, სკოლა გვეხმარება, ხელმძღვანელობას გვიწევს თანამედროვე ცხოვრებაში რომ გავერკვეთ. ჩვენც, ამხანაგებო, აქეთკენ მოგვიწოდებს ჩვენი აღმზრდელები და ხელისუფალნი, რათა ჩავებათ საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივს ცხოვრებაში ჩვენი განვითარების საქმის შესაფერად მოსაწყობათ. ამაში რასაკვირველია დახმარებას, წინამძღოლობას გაგვიწევს სკოლა და სხვა სათანადო დაწესებულებანი, რომელთა ხელშიც არის ჩვენი ბედ-ილბალი.

ჩვენ, ამხანაგებო, უნდა შევკავშირდეთ მჭიდროდ, გადავებათ ყველანი ერთმანეთს ძმური კავშირით და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გავწიოთ ახალი ცხოვრებისაკენ, რომლის შექმნაში ჩვენც უნდა მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა, რადგანაც მომავალი ჩვენ გვეკუთვნის". თავმჯდომარის სიტყვები მხურვალე ტაშით დაფარეს.

შემდეგ გამოდის ამხანაგი დევდარიანი, ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენელი; მან მოახსენა მოწაფეებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სესახებ, დაწვრილებით შეეხო ილიჩის მოწაფეობის ხანას, აღნიშნა მისი იშვიათი ბეჯითობა და წარმატება სწავლაში, მიუთითა მოწაფეებს მის მაგალითზე და მოუწოდა სწავლისაკენ ბეჯითობისა და თვითმოქმედების ნიადაგზე.

ყოველივე თქმულს ილიჩის მოწაფეობის შესახებ მომხსენებელი ასაბუთებდა იმ გიმნაზიის არქივიდან მოყვანილ ცნობებით, სადაც ილიჩი სწავლობდა, აგრეთვე განუმარტა მათ კონფერენციის მიზანი, განუმარტა მოწაფეებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ შეკავშირებას საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩასაბმელად და მოუწოდა მათ აქეთკენ.

ბოლოს მოწიფეების მხრივ შემოვიდა მრავალი შეკითხვნბი ვ. ი, ლენინის პიროვნების შესახებ.

მოწაფეებისაგან იყვნენ ორატორებიც, რომელნიც უჭერდენ რა მხარს მომხსენებელს შეკავშირების საკითხში, მოითხოვდენ მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას სწავლა-აღზრდის საქმის წარმატებისათვის, შემდეგ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია.

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. დევდარიანისა ვ. ი ლენინის შესახებ, აგრეთვე მისი მოწოდება შეკავშირებისაკენ საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივს ცხოვრებაში გარკვევისა და მონაწილეობის მიღებისათვის, კრება ერთხმად იზიარებს მის აზრს და მოუწოდებს ამხანაგებს—მოწაფეობას შეკავშირებისაკენ.

ამასთანავე მოვითხოვთ ჩვენი აღმზრდელების, მასწავლებლების ნივთიერ უზრუნველყოფას, ვინაიდან უამისოდ სწავლა-აღზრდის საქმე ვერ დადგება სასურველ ნიადაგზე". კრება სამ საათზე დაიხურა.

**დამსწრე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მყინვარ-წვერზე ასვლა

## წინასიტყვაობა.

ჩვენს ჯგუფს მიზნად აქვს საქართველოს ყველა მხარის გაცნობა. უკვე ხუთი წელიწადია, რაც ჩვენ ამ მიზანს თანდათან ცხოვრებაში ვატარებთ. კავკასიონის ქედის მწვერვალებმა დიდი ხანია მიიპყრეს ჩვენი ყურადღება. მათი ძნელად გასავლელი და სახიფათო კლდოვან-ყინულოვანი ბილიკები გვიზიდავდენ, ამ მიუვალ მწვერვალთა შორის მყინვარ-წვერი (მთა ყაზბეგი) რაღაც მიუწვდომელ, შორეულ, მაგრამ შვენიერ ოცნებად გადაგვექცა.

მაღალ მთებზე ასვლების სხვადასხვა აწერილობათა წაკითხვის შემდეგ ერთი საკითხი გვებადებოდა: რატომ არის, რომ ინგლისელები, გერმანელები, რუსები ახერხებენ მაღალ მწვერვალებზე ასვლას, ჩვენ ქართველები კი, რომლებსაც ტანვარჯიშობაში და ყოველ-გვარ ვაჟკაცობაში დიდი უნარი გამოგვიჩენია, მთასვლაში კი აქამდე სრულიად არაფერი გაგვიკეთებია. „თუ სხვებს შეუძლიათ, ჩვენ მით უფრო შევძლებთ, რადგან ვარჯიშობაში დახელოვნებული ვართ“. და თვით მყინვარ-წვერზე ავსლა განვიზრახეთ.

მყინვარწვერი სიმაღლით 5047 მეტრია (ხუთი ვერსი) და ძალიან ძნელად მისაღწევ მწვერვალად ითვლება, რადგან მის ფერდობებს ყოველმხრივ საშინელი დაქანება აქვს. თვით იალბუზზედაც (5629 მეტრი) ასვლა, რომელიც მყინვარწვერზე 600 მეტრით მაღალია, გაცილებით ადვილი ყოფილა. პირველი ადამიანი, რომელმაც გაბედა და მყინვარის თხემზე ფეხი შესდგა, განთქმული ინგლისელი მთასვლელი ფრეშფილდი იყო. 19 ივნისს 1868 წელს ის და მასთან ერთად კიდევ სამი კაცი, მყინვარწვერზე აღმოსავლეთის მხრიდან ავიდენ. ეს გზა ახლა ასასვლელათ უძნელეს გზად ითვლება. ამას შემდეგ სხვადასხვა დროს ამ შესანიშნავ მწვერვალზე უკვე მთელი რიგი უცხოელებისა ასულა. მაგალითად 1889 წ-ის 29 ივლისს გამოჩენილი რუსი მთამსვლელ პასტუხოვი. 1891-ის 18 ენკენისთვეს განთქმული გერმანელი მერცბახერი; 1901 წლის 2 აგვისტოს ავიდა პირველი ქალი მარიამ პრეობრაჟენსკი. ეს საკვირველი ქალი შემდეგ კიდევ ბევრჯერ ასულა, დღემდე სულ 9-ჯერ და ახლა 60 წლის მოხუცს მე-10 ჯერ ასვლა განუზრახავს. რაც შეეხება ქართველებს, გარდა ადგილობრივი მოხევე გამყოლებისა, ცნობა არა გვაქვს, რომ ვინმე ასულიყოს. ვგონებ, რომ ჩვენს წინად მყინვარწვერზე, ანდა სხვა რომელიმე მაღალ მთაზე, არც ერთი ქართველი მოგზაური ტურისტი არ ასულა *). მოხევეები კი, როგორც გამყოლები, ხშირად ადიოდენ. მათ შორის ყველაზე ცნობილია სოფ. ცდოს მცხოვრები გახა წიკლაური, რომელიც უწინ 15-ჯერ ასულა მყინვარწვერზე და ახლა ჩვენს შემდეგ დიდებულიძის ექსპედიციას მე-16-ჯერ აჰყვა.

ყველაფერი, ეს უწინ მომხდარა, მსოფლიო ომამდე. ამ უკანასკნელ დროს კი უკვე რამოდენიმე წლის განმავლობაში ალარავინ ასულა. უცნობი იყო თოვლის და ყინულის მდგომარეობა. მოშლილი იყო ყველა ბილიკები და გზის მაჩვენებელი ნიშნები. და ამიტომაც ჩვენი გადაწყვეტილება: „მყინვარ-წვერზე ასვლა“ ერთგვარ გაბედულობას წარმოადგენდა და თუმცა თავი ამაყად გვეჭირა, მაგრამ გულში კი ათასნაირი ეჭვი გვეპარებოდა.

ამასთან ჩვენ საჭირო მონდობილობაც გვევალებოდა: ჩვენს შემდეგ მყინვარწვერზე საქართველოს ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიცია უნდა წამოსულიყო, პროფესორ დიდებულიძის ხელმძღვანელობით. ამ ექსპედიციას მძიმე და ძვირფასი სამეცნიერო ხელსაწყობი მიჰქონდა თან. ჩვენ კი, როგორც გამძლე ხალხი: ყოფილი შევარდნები, ტანვარჯიშობის მწრთვნელები და მასწავლებლები, ამ ექსპედიციის წინამორბედობა ვიკისრეთ, რომ მისთვის გზა გაგვეგნო.

მაგრამ გვეშინოდა და რომ ჩვენი მოვალეობა პირნათლად ვერ შეგვესრულებია და შევრცხვენილი-

*) შემდეგ კი გავიგეთ, რომ გამონაკლისს მოხევე სტუდენტი ანდრია თოკაძე წარმოადგენს, რომელიც პირველად 1911 წელს და შემდეგ კიდევ რამოდენიმეჯერ ასულა მყინვარწვერზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავით, ამიტომაც ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ, რომ მყინვარწვერზე ავსულიყავით. და, მართლაც, საშინელ ქარიშხალში, 20°-იან ყინვაში 1923 წლის 28 მარიამობისთვეს ავედით კიდეც 11 ვაჟი და 5 ქალი. ამით ჩვენ ქართველთა მთასვლას საფუძველი ჩავუყარეთ: ქვემოთ მოთავსებული მოთხრობა ერთ-ერთი ჩვენთან ასული ქალის და „დის", მარო ბეჟანიშვილის დღიურს წარმოადგენს. დამწერი ცდილობს ყველაფერი სწორედ ისე აღნიშნოს, როგორც თვითონ უნახავს და უგრძვნია და ახერხებს კიდეც ამას. იმედია, ეს დღიური მკითხველს დაინტერესებს და მასშიაც მთასვლის ისეთ სურვილს აღძრავს, როგორითაც ჩვენ ვართ გამსჭვალულნი.

დოცენტი **გიორგი ნიკოლაძე.**

## გასამგზავრებლად მზადება.

### მყინვარ-წვერზე

როდესაც პირველად გავიგე, რომ ჩვენ მყინვარზე უნდა ავიდეთ, არ დავიჯერე, ვერ წარმოვიდგინა თუ ჩვენ იმ მყინვარზე ასვლას შევძლებდით, რომელსაც მწერლები აღწერენ, როგორც მრისხანეს, ბუმბერაზს, დიდებულს, მუდმივ თოვლიანულით მოსილს და რომელსაც „ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან". მაგრამ ასვლა გადავწყვიტეთ და მზადებას შევუდექით.



**მყინვარ-წვერი შევარდენის ბუდიდან.**

განსაკუთრებული ფეხსაცმელი, ბანდულები, როგორც მას მოხევეები უწოდებენ—წერაყინი [1]) და ის საზრდო, რომლითაც მხოლოდ მაღალ მთებში უნდა გვესარგებლა: შოკოლადი, ტკბილი ნახმი (სუხარი), რძე, კონსერვები, შაქარი და სხვ. თბილისშივე შევიძინეთ.

საჭირო იყო აგრეთვე განსაკუთრებული თბილი ტანისამოსი და, აუცილებლად, ტყავის კურტკები. თითქმის ყველაფერი მზად გვქონდა. მხოლოდ მე და ასმათის დაბრკოლება კურტკები გახდა, მაგრამ ბევრი სირბილის შემდეგ ისიც ვიშოვეთ. ჩვენ, დები, თუ მარტო ჩვენს საქმეებზე დავრბოდით, სამაგიეროდ ძმებს ძალიან ბევრი სამუშაო დააწვათ. ერთ ნაწილს ებარა ბანდულების [2]) შეკერვა, მეორე ნაწილი თოკებისა და კარვების საშოვნელად დარბოდა, მესამე წერაყინებს ამზადებდა, სურსათის კომისია—სურსათის საყიდლად დარბოდა. უკანასკნელი დაბრკოლება ავტოს შოვნა გახდა, (ავტომობილი) მაგრამ ბოლოს ისიც ვიშოვეთ და 22 მარიამობისთვეს, 1923 წ. თბილისიდან უნდა გავსულიყავით. წინა საღამოს მთელი ჩვენი ბარგი მე და ასმათმა გიორგისთან წავიღეთ, რადგანაც მეორე დილით ექვს საათზე მავალა იქ

**მყინვარ-წვერი აღმოსავლეთ—სამხრეთიდან.**

მოვიდოდა და ჩვენც ყველანი გიორგისთან უნდა შეკრებილიყავით. გიორგისთან დიდ ოთახში დიდი ფაცი-ფუცი იყო: ანაწილებდენ საერთო ბარგს ტომრებში. აქვე იოსკა მათიაშვილი არიგებდა მათარებს და თოკებით გადასაბმელ რგოლებიან ჭამრებს. მეორე დღეს, 22 აგვისტოს, დილის ექვს საათზე, ყველანი უკვე გიორგის ბინაზე ვიყავით და მავალას მოუთმენლად ველოდით

### მგზავრობა თბილისიდან დუშეთამდე.

**22 მარიამობისთვე.**

დარბაზში არაჩვეულებრივი არეულობა იყო. ყველას აღტაცება ეტყობოდა. აგერ 10 საათია, მაგრამ მავალა კი არსად ჩანს, რვა საათზე კი უნდა მოსულიყო.

[1]) წერაქვი, ან წერაყინი—ყინულის სამტვრევი.

[2]) ბანდული—მაღალ მთებში სასიარულო ფეხსაცმელი, რომელსაც ძირი გამოქსოვილი აქვს და შიგ ერთგვარ ბალახს აფენენ, რომელიც ძალიან თბილად ინახავს ფეხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო აღტაცება აღელვებად იცვლება. რატომ იგვიანებს მავალა? ვაი თუ ალარ მოვიდეს! ყველას გულში ეჭვი გვეპარება, ჩვენი ძმა, ექიმი სოსო ასლანიშვილიც ჩვენთან არის, ის ჩვენ არ მოგყვება, გვაცილებს; იგი პროფ. დიდებულიძის ე. ი. ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიციას, მიჰყვება, ჩვენზე ერთი კვირით უფრო გვიან. აქვე არიან ის ძმები, რომლებმაც ჩვენთვის ბევრი იმუშავეს, მაგრამ მყინვარზე კი არ მოდიან. ყოველ ხმაურობაზე, ყოველ მავალას გავლაზე ჩვენ აივანზე მივრბივართ, ჩვენ კარებთან არცერთი მავალა არ ჩერდება. 12 საათია.—პირველმა აღელვებამ და აღფრთოვანებამ გაიარა. ყველა მიყუჩდა. ზოგმა დაიძინა, ზოგი ქუჩაში გაიფანტა; ნაწილმა გასართობად მეორე სართულიდან თოკი ჩაუშვა და ზედ დაცოცავდენ. გიორგის ისევ უხდება მავალის ბრძანებაკითხად წასვლა. მას გოგი ტოროშელიძეც მისდევს; სანამ ისინი მივიდოდნენ, მავალა სრულიად მოულოდნელად გაჩერდა ჩვენი სახლის წინ... ჯერ არ გვჯეროდა, მაგრამ როცა შოფერები გადმოვიდენ და ძმებმაც ტვირთის ჩაზიდვა დაიწყეს, მეც დავავლე ხელი ბარგს და ძირს ჩავირბინე. მალე გიორგი და გოგიც მოვიდენ, სრული ორი საათი იყო როცა ჩვენ მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანით მავალაში ჩაჭედილები რუსთაველის პრ. მივგრიალებდით. ყველა ჩვენგანი გაფაციცებით ათვალიერებდა ქუჩებში ნაცნობ-მეგობრებს. ჩვენს ყიჟინაზე ხალხი ჩერდებოდა. ვინც არ იცოდა გაკვირვებული გვიყურებდა.

მყინვარ-წვერიხაკენ გამგზავრებულთა შემადგენლობა (რამოდენიმე აკლია)

**თბილისიდან გავუდექით გზას შემდეგი შემადგენლობით:**

დები: 1. ბეჟანიშვილი ვერა, მოვარჯიშე, მოწაფე 15 წ. 2. ბეჟანიშვილი მარო, ტანვარჯ. მას. სტუდ. 19 წ. 3. კლიმიაშვილი სალომე, მოვარჯიშე., მოწაფე. 16 წ. 4. ლორთქიფანიძე ელიკო, ტანვარჯ. მასწ., სტუდ. 19 წ. 5. ნიკოლაიშვილი ასმათ, მწვრთვნელი, მოწაფე, 17 წ. 6. ტყავაძე მარო, ტანვარჯ. მასწ., სტუდ. 21 წ. 7. ჩიჯავაძე თამარ, შრომის სკოლის გამგე. 8. ჩხეიძე ლიდა, ტანვარჯ. მასწავლ., სტუდ. 23 წ. 9. ხუციშვილი თამარ, მოვარჯიშე მოწაფე, 15 წ.

ძმები: 1. ალიხანოვი ჟორა, ტანვარჯ. მასწ., 19 წ. 2. ალნიაშვილი ატო, ტანვარჯ. მწვრთნელი, სტუდ. 19 წ. 3. ბაუბჰაუერ ფრიდრიხ, ტანვარჯ. მასწავ., 26 წ. 4. გიორგობიანი კონსტან., მწვრთვნელი, მოწაფე, 17 წ. 5. ვაჩინაძე დიმიტრი, მოწაფე, მოვარჯიშე, 20 წ. 6. კილაძე სანდრო, ტანვარჯ. მწვრთვნელი, 17 წ. 7. კრივოზუბკინ ბორის, ტანვარჯ. მწვრთვნ. სტუდ. 20 წ.

8. თუმანიშვილი ბება, მოვარჯიშე, მოწაფე, 14 წ. 9. კუკავაძე ივანე, ტანვარჯ. მასწავლ., სტუდ. 26 წ. 10. მამამთავრიშვილი შაქრო, ტანვარჯ. მწვრთვნ. სტუდ., 20 წ. 11. მათიაშვილი მიხეილ, მოვარჯიშე, მანტ. 22 წ. 12. მაჭავარიანი ფოია, ტანვარჯ. მწვრთვნ., მოწაფე, 20 წ. 13. მჭედლიშვილი ვასო, ტანვარჯ. მასწავლ. 20 წ. 14. ნიკოლაძე გიორგი, დოცენტი, 35 წ. 15. პაკენდორფ კურტ, სტუდ. მოვარჯიშე, 19 წ. 16. რომანკევიჩი პავლე, მოვარჯიშე, მოწაფე, 15 წ. 17. ტოროშელიძე გოგი, მოვარჯიშე, მოწაფე, 16 წ. 18. ჭიჭინაძე მიშა 18 წ. მოვარჯიშე, მოწაფე, 18. წ. ზოგიერთი ამათგანი მხოლოდ შევარდენის ბუდემდე მოდიოდენ, ვინაიდან დაახლოებით 18 წელზე უმცროსის აყვანა მყინვარზე და საზოგადოდ მაღალ მთაზე, არ შეიძლება, რადგან, შეიძლება, მაღალი მთის ჰაერმა ფილტვებზედ და გულზე ცუდად იმოქმედოს.

თითქმის საღამომდე შეუჩერებლივ ვიარეთ. ბინდბუნდი იყო, როცა დუშეთს მივუახლოვდით. შორიდან დავინახეთ ბაზალეთის ტბა. ოხ! რა კარგი იქნება, რომ ყველა ჩვენთვის საინტერესო ადგილზე შეგვეძლოს გაჩერება და მისი დათვალიერება, მაგრამ ჩვენი მიზანი ხომ მყინვარ-წვერია და ჩვენც მისკენ მივეშურებით. ღამე დუშეთში გავათენეთ. აივანზე გვეძინა და საშინლად შეგვცივდა, ყველამ გამოვძებნეთ სამყინვარე ტანისამოსი. ძალა-უნებურად მებადება კითხვა: თუ აქ ასე ცივა, „იქ“ რაღა იქნება?

## დუშეთიდან სოფელ სტეფანწმინდამდე.

### 23 მარიამობისთვე.

მეორე დილით ადრე ავდექით, მე საშინლად მინდა დუშეთის დათვალიერება, მაგრამ, რადგანაც მალე უნდა წავიდეთ, შორს წასვლა არ შეიძლება. ვისაუზმეთ, ჩავსხედით მავალაში და ჩვეულებრივი ჟრიამულით დავშორდით დუშეთს. ყველაზე უფრო დარი გვაფიქრებდა, რადგან უამინდობის გამო მთელი კვირა თბილისში დაგვაგვიანდა. ამ ჟამად დარი კარგი იყო და ცაზე ერთი ნაგლეჯი ღრუბელიც არ მოჩანდა. მალე ფასანაურში მივედით, სადაც ერთი საათით გავჩერდით. მიუხედავათ სიცივისა არაგვზე წავედით საბანაოდ. წყალი ყინულივით ცივი იყო, მაგრამ სასიამოვნო. ამას გარდა ბანაობის დროს დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ არაგვის მკაცრ და სწრაფ ტალღებს ქვევით არ გავეტაცეთ. მე და ლიტუსი გავყევით არაგვს, გადავედით ხიდზე და მივედით იმ ადგილას, სადაც შავი და თეთრი არაგვი ერთმანეთს ერთვიან.

ძალიან ლამაზი სანახავია ეს ადგილი: მარჯვნიდან თეთრი არაგვი მოგრიალებს, ხოლო მარცხნიდან—შავი. შავი არაგვის კალაპოტი უფრო დაქანებულია, ამიტომ იგი უფრო მეტი სისწრაფით მოექანება, ვიდრე თეთრი; თან მოაქვს ქვიშა და ლამი, რის გამოც მას შავი ფერი აქვს. შეერთების შემდეგ კიდევ რამდენიმე საჟენის მანძილზე ცალცალკე მიგრიალებენ. ალარ მინდოდა ამ ადგილის მოშორება. როდესაც დავბრუნდით იმ ადგილას, სადაც ჩვენები ბანაობდნენ, იქ ალარავინ დაგვხვდა. ამიტომ თითქმის სირბილით მივედით მავალამდე, სწორედ დროზე მოვუსწარით. ყველანი უკვე მავალაში ისხდნენ და გასამგზავრებლად ემზადებოდენ, მალე მავალაც დაიძრა.

ფასანაურიდან ვაკე გზა თან და თან ალმართზე გადადის, რაც უფრო მაღლა მივდივართ, ამინდიც თან და თან იცვლება; აცივდა. ჩვენ კი სულ მაღლა-მაღლა, თითქოს ცაში შევდივართ. ყოველ მხარეს ამართულია მთები და ამ მთის და ცის საზღვარს ვერ ვარჩევთ, რადგან მთებზე თანდათან ნისლი ჩამოწვა და ცის კიდური მთების მწვერვალებს შეუერთა. მაღლა კლდეებიდან გადმოჰქუხს ნაკადები, რომლებიც შორიდან ცაში აყუდებულ ყინულს მოგაგონებს. სულ დაბლა, ხევში ოდნავ მოჩანს არაგვი, რომელიც ვიწრო ბილიკივით მიიკლაკნება. აქა იქ კლდეებზე და მთის ფერდობებზე, არწივის ბუდესავით, კლდეზე მიკრულები, კოშკებიანი სოფლები მოჩანს. თითო სოფელი სულ 10—12 კომლისაგან თუ შესდგება. სახლები სულ ახლო-ახლოა მიდგმული და შორიდან ერთ მთლიან შენობას მოგაგონებს. ყველა ეს ერთად ძალიან ლამაზ სურათს წარმოადგენს.

ამინდი საშინლად გამოიცვალა. გაავდარდა, ხოშკაკალი წამოგვაყარა. ყველამ დაიწყო თავის ჩანთის ძებნა და თბილი ტანსაცმლის ჩაცმა. მავალაში საშინელი არეულობაა. ვინც აქამდე წინ (შოფერთან) ისხდა, ისინიც გაყინულები ჩვენ შემოგვიერთდენ. ზევიდან ნაბდები გადავიფარეთ. მყინვარი და მაზე ასვლა ხომ სრულიად შეუძლებლად ჩავთვალეთ. გადავიარეთ ჯვრის გადასავალი და ახლა დავექანეთ დაბლა. ბუნებაც თანდათან გამოიცვალა: გამოიდარა, ნაბდები მოვიხადეთ და წვიმისაგან მიყუჟულ ჩიტებივით თავები ამოვყავით. ერთ ხიდზე მავალა გავაჩერეთ და ნარზანის წყალზე გავიქეცით, თუმცა წყალს ყველა აქებდა, მაგრამ მე ერთი ყლუპიც ვერ დავლიე, წყალი საშინელი გემოსი იყო: გოგირდიანი, მოტკბო და შუშხუნა.

ბნელდებოდა, როცა შორიდან სოფ. სტეფანწმინდა გამოჩნდა. 9 საათზე უკვე სტეფანწმინდის ერთ-ერთ სასტუმრო—ოტელ-პარიზის წინ ვიდექით.

ძმებმა მავალა დასცალეს და ყველაფერი ერთ დიდ დარბაზში მოათავსეს. დარბაზი ისე დიდი იყო, რომ ჩვენ ყველა ჩვენი ბარგით შიგ კარგა მოვთავსდით. ასე ვფიქრობ, თითქოს სიძნელის ერთი ნაწილი უკვე გადავლახეთ. სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) ვართ, საიდანაც მიზანი ასე ახლოა, მაგრამ მიღწევა—ფრიად ძნელი.

## დილა სტეფან წმინდაში, 1-ვაფრენა შინოს წვერზე და ყაზბეგის მიდამოებში.

**24 მარიამობისთვე**

მეორე დილით რაღაც ხმაურობამ გამომაღვიძა. წამოვხტი, გამოვედი გარეთ და დავინახე ჩვენები, რომლებიც ქვევით მირბოდნენ. ბინდ-ბუნდში და ბურუსში ისინი მოჩვენებას მოგვაგონებდნენ. ზოგს თეთრი საბანი ესხა, ზოგი ნაბადში გახვეულიყო და ვისაც როგორ მოესწრო. თურმე ვანიჩკას შემოერბინა და ეთქვა: „ჩქარა წამოდით, მზის ამოსვლას ვუყურეთო“. სუსხი იყო. შევირბინეთ ოთახში. საბანში გავეხვიე და სირბილით მეც დანარჩენებს გამოვუდექი. გავირბინე ერთი სახლის წინ, მეორის, და უცბად ჩემ მარცხნივ აიმართა ვეებერთელა თეთრი მთა, ჩემგან ის სულ ახლო მოჩანდა, ასე გეგონებოდა, რომ გაიქცე, რამდენიმე წუთში მიირბენ მასთან, დაბლა ისევ ბინდ-ბუნდი იყო, მყინვარ-წვერი კი ოქროს ფერი სხივებით იყო გაბრწყინებული.

მყინვარის აღმოსავლეთ ფერდობზე შავი კლდეებია და, თუ კარგად დააკვირდებით, ცხადად

**მყინვარ-წვერი ნისლში, ზედ მოსჩანს გველაშაპი (კლდე).**

გაარჩევთ, როგ ეს კლდე საშინლად ჰგავს პირდაღებულ გველეშაპს. სწორედ ამ გველეშაპის შესახებ მოხევეებში შემდეგი თქმულება არის დარჩენილი: *) როცა ამირანი თავის საგმირო საქმეებმა იმდენად გაათაბამა, რომ თვით ქრისტე ღმერთთანაც კი მოინდომა შებრძოლება, მაშინ იგი განრისხებულმა ღმერთმა მიწაზე მიაჯაჭვა და ზედ გერგეთის მთა დაადგა. ამითი ისარგებლა ამირანის უდიდესმა მტერმა გველეშაპმა, რომელიც იმ დროს მყინვარწვერზე იჯდა. „აქამდე თუ ვერ მოვერიე, ახლა დაბმულს მაინც მოვერევიო“ და ამირანის შესაჭმელად ქვევით ჩამოცოცდა.

ეს ამბავი წმინდა გიორგიმ გაიგო, სწრაფად იქ გაჩნდა, გველეშაპს ხელი დაუქნია და უთხრა:

*) ჩაწერილი ატო აღნიაშვილის მიერ.

შესდეგ! ამირანი ცოდვების მოსანანიებლად დავაპით და არა შენ შესაჭმელად. გაქვავდი მანდ!

ეს გაქვავებული გველეშაპი ახლაც თითქოს ქვევით მოსწრაფის.

გაოცებული შევცქეროდი მყინვარს, შემდეგ მის მოპირდაპირე შინოს წვერს, მინდოდა მეპოვა მათი განსხვავება. რა პატარა ყოფილა? იქ ვერ უნდა ავიდეთ?! მერე რა ახლოა! ეტვები სრულიად გამეფანტა, მაგრამ მეორე დღეს შინოს წვეროზე ასვლამ დამარწმუნა, რომ იმ დილას მოვტყუვდი. ბინდ-ბუნდი და ბურუსი თანდათან გაიფანტა და კარგა გვიან მყინვარიდან მზის სხივებმა ჩვენამდეც მოაღწია. ჩავედით მდ. თერგის ნაპირას. თერგი საშინელი სისწრაფით მიექანება თავის კლდოვან კალაპოტში. მისი წყალი ყინულივით ცივია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ისევ ბინაზე დავბრუნდით. ჩვენი ბინის წინ მოხეველები მოგროვილიყვენ და ცნობის მოყვარეობით გვათვალიერებდენ. საშინლად მომეწონა, რომ ისინი ჩვენმა სავარჯიშო მოკლე შარვლებმა სულაც არ გააკვირვა. გონივრულად შეხედეს ამას და კიდეც მოეწონათ. ძმებს ისევ გაუჩნდათ სამუშაო. უნდა იშოვონ გზის მაჩვენებლები და ტვირთის მზიდველები. მჭედელს უნდა შეუკვეთონ წრიაპები, ყინულზე სასიარულო ოთხკაპიანი რკი-



ინგლისური წრიაპი ფეხზე.

ნები. ჩვენს ბანდულებს ძირი სწორად არა ჰქონდათ გამოქსოვილი. ჩვენებს ის ბადესავით მოუქსოვათ კვანძებით, რომელიც სიარულის დროს ფეხებს გვტკენდა და სასიარულოდაც უხერხული იყო. მოხეველების დახმარებით ეს კვანძები გამოვხსენით და ძირი ხელახლა გავბანდეთ. ყველა ამ საქმეს დიდი დრო დასჭირდა, რის გამოც მთელი ორი დღე დავრჩით სტეფანწმინდაში.

სოფ. სტეფანწმინდის მარჯვნივ ამართულია ვეებერთელა მთები და მათ შორის ერთ-ერთი მწვერვალი შინო, რომელიც თავისი ძნელი გზით გვიზიდავდა. ერთი ჯგუფი ძმებისა გაემართა შინოს წვერისკენ და მოინდომეს მასზე ასვლა პირდაპირ კლდეებით.

რასაკვირველია, უსაფუძვლო იყო ამ გზის ამორჩევა, მაგრამ ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ სწორედ ამ გზით ავიდოდენ და ვაჟკაცობას გამოიჩენდენ.

თუმცა დებსაც გვინდოდა წაყოლა, მაგრამ არ წაგვიყვანეს, ეშინოდათ, რომ ხელი არ შეგვეშალა. ჩვენკი, ერთი ჯგუფი, ისევ თერგის გაღმა მჟავე წყლების დასათვალიერებლად წავედით. გავყევით ბილიკს, რომელიც თერგის მარცხნივ მიიკლაკნება. ერთი ნაწილი ჩვენზე ადრე წავიდა, ჩვენ ზოგიერთები უკან ჩამოვრჩით და ნელ-ნელა მივდიოდით.

თერგის მარცხენა მხარე სულ ჭაობს წარმოადგენს. ჩემს მარჯვნივ ამართულია კლდოვანი მთები. მთებიდან წყდება ვეებერთელა ლოდები და ხრიალით ჭალაში ჩადის, რომელიც სავსეა ამისთანა ლოდებით. მარჯვნიდან რაღაც ჩხრიალი მოგვესმა. წყალი არსად ჩანდა, ხმაურობა კი გვესმოდა, დავუგდეთ კარგა ყური ხმაურობას და ერთ დიდი კლდის გვერდზე მჟავე წყალის აუზი აღმოვაჩინეთ. იგი შვენიერი სანახავია. წყალი ცოტა მოყვითალო და კამკამაა და ისე ამოჩუხჩუხებს გულიდან, როგორც წყლით მოჩუხჩუხე ქვაბი, თან ზევით წინწკლებს ისვრის. ბილიკიდან მას დიდი კლდეები ჰფარავდა. ალბად, წინ წასულებმა ვერ შეამჩნიეს და იმიტომ ასცდენ მას. გადავწყვიტეთ. მათ დაბრუნებამდე დაცდა. ჩემი აზრი გამართლდა. წინ წასულები მალე დაბრუნდენ. იმათ ბევრი ევლოთ, მაგრამ მჟავე წყლის აუზი ვერ ენახათ. ავავსეთ მათარები მჟავე წყლით, სურათი გადავიღეთ და წამოვედით. საღამოს შინოზე წასული ხალხი დაბრუნდა. ისინი საშინლად დაღალულიყვენ და იმედი დაჰკარგოდათ. კლდეებზე სიარულით ფეხსაცმელები მთლად გასცვეთოდათ, მაგრამ მწვერვალზე მაინც ვერ ასულიყვენ. ბოლოს თურმე ისეთ პატალო კლდეებს მიადგა, რომ ვერც წინ მიდიოდენ და ვეღარც უკან ბრუნდებოდენ. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით და თოკების დახმარებით უკან წამოსულიყვენ, და გვარწმუნებდენ, რომ მყინვარზე ვერ ავალთ, რადგანაც შინოს წვერსა და მყინვარს შორის დიდი განსხვავება არისო. იმას კი ალარ ამბობდენ, რომ ისინი სრულიად უგზოდ წავიდენ და, როგორც უკიბოდ მეორე სართულში ვერ ახვალ, ისევე უგზოდ მთაზე, ეს მეორე დღეს ჩვენ დაგვიმტკიცეს. იმ საღამოს ადრე დაეწექით, რადგანაც გადაწყვეტილი გვქონდა, რომ დილით ადრე შინოზე ავსულიყავით

## II. ვაფრენი შინოს წვერზე. ბროკენის მოვლენა და ბრუნება.

### 25 მარიამობისთვე

მეორე დღეს სამი ძმა და, ხუთი და შინოს გზას გავუდექით. ხელში წერაყინები დავიჭირეთ. წავიღეთ აგრეთვე, გიორგის ფოტ. აპარატი, სხვა არაფერი წაგვილია, რადგანაც მსუბუქად გვინდოდა სიარული. დღევანდელი გაფრენა ყველას აინტერესებს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, რომ უსათუოდ ავიდეთ შინოზე, ამიტომ ყველა ცდილობს, რომ კარგად მოეწყოს და თბილად ჩაიცვას. გადავიარეთ ყანები, რომელიც ჯერაც შემოუსვლელი იყო და შევუდექით ალმართს, რომელიც თავიდანვე დიდი დაქანებით იწყება. ჩვენებს საშინლად დაცხათ. იძულებული იყვენ ზედმეტი თბილი ტანისამოსი გაეხადათ. მე კი ძალიან სუბუქად ვიყავი ჩაცმული და არაფრის დატოვება არ მომიხდა. გიორგის ფეხზე მძიმე, რკინის წვეტებიანი ფეხსაცმელი ეცვა და იძულებული იყო გაეხადა. შევუდექით ალმართს. პირველადვე ალმართი ბალახოვანია და დიდად დაქანებული, მაგრამ ჩვენ წერაყინების დახმარებით ადვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დად მივდივართ, თან მალი-მალ ვისვენებთ, რადგანაც მაღალ მთაში ჰაერის სითხელის გამო გული დიდი სისწრაფით ცემს. შუა გზამდე თითქმის ერთად ვიარეთ, შემდეგ კი ზოგი დაწინაურდა. მე და გოგი უკან დავრჩით. ის სულაც არ ჩქარობდა. დასვენების დროს ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ელაპარაკა, რომ მე ყურის გდებას მოვნდომოდი და წინ არ წავსულიყავი. გოგის რომ ზანტობა შევამჩნიე, გავსწიე წინ მარტო. წინ წასულები აღარ ჩანდენ. ალბად, ისინი უკვე მწვერვალზე იქნებოდენ ასული. დასვენება მალი-მალ მიხდებოდა, რადგანაც ცოტა მანძილის გავლის შემდეგ გული საშინლად მიკემდა. ყოველ დასვენების შემდეგ ძალღონე მემატებოდა და ისევ წინ მივდიოდი. აი, გამოჩენილია ბალახოვანი გზა და ახლა კლდეები დაიწყო. სიარული აქ უფრო გამიძნელდა. ფეხსაცმელი სულ დამეხა, თანაც საშინლად მწყუროდა, მაგრამ მაინც წინ მივდიოდი იმ იმედით, რომ მალე მწვერვალზე ავიდოდი. მალი-მალ უკან ვიხედებოდი და გოგის ვეძახდი. იგი მკვდარივით გაშხლართულიყო და პასუხსაც არ მაძლევდა. საშინლად მაფიქრებდა მისი მდგომარეობა, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, მალე გოგიც წამოდგა და ზანტად მოიზლაზნებოდა.

კლდეებზე ფეხები სულ დამებეგვა, სიცხემ და წყლის წყურვილმაც ძალიან შემაწუხა. კლდეებში წყაროს ვეძებდი. ერთი კლდის ძირში რაღაც თეთრი ნაგლეჯი გამოჩნდა; მივუახლოვდი და დავინახე თოვლი. საშინლად გამიკვირდა, რადგანაც თოვლი მახლობლად არსად ჩანდა და ეს პატარა ნაგლეჯი საიდან უნდა გაჩენილიყო—სასწაულად მომეჩვენა. მოვსულიერდი, გავავსე მათარა, რადგან ვიცოდი, რომ ზევით ჩვენებიც ჩემ დღეში იქნებოდენ და ხალისიანად ისევ გზას გავუდექი.

აი მწვერვალსაც მივუახლოვდი. ზევით ასულებმა შემამჩნიეს და იქიდან ყვირილით მახალისებდენ. გავიხედე მყინვარისკენ და, აი საკვირველება! როცა დაბლა ვიყავი, მყინვარი თითქო შინოზე უმაღლესი სულაც არ იყო, მაგრამ რაც მაღლა, მაღლა მივდიოდი, მყინვარიც ნელ-ნელა ზევით იწევდა და ამაყად და მედიდურად დამცქეროდა. წმინდა სამების ეკლესია, რომელიც გერგეთის მთაზეა და რომლის განსხვავებაც მყინვართან შედარებით დაბლიდან სულაც არა ჩანს, ახლა ცხადად მოჩანდა და სამების ეკლესიას მყინვარის მესამედი სიმაღლეც ეკავა. ყაზბეგიდან მყინვარი თითქოს დანარჩენი მთების სიმაღლეა, შინოს წვერიდან კი სხვა მთები მყინვართან შედარებით მის უმცროს ძმებივით გამოიყურებიან. მედიდურად ამართული მყინვარი მუდმივი თოვლითა და მზის სხივებით გაბრწყინვებული შორს მაღლა-მაღლა ცას უერთდება.

მივედი ჩვენებთან. ისინი წამოწოლილიყვენ და ისვენებდენ. მეც მათ მივბაძე. წამოვწექი და კიდეც ჩამძინებოდა. მალე წამოვიშალეთ. გოგი ჯერაც არ ამოსულიყო. მე გავიქეცი, ერთ-ერთ ფრიალო კლდეზე დავჯექი და დავიწყე ქვევით ცქერა. „ოტელ-პარიზი" ბუზის ოდენად მოჩანდა. ალბად, ახლა ჩვენების ყურადღება სულ ამ მთისაკენ არის მიქცეული. ავიღე დურბინდი და გავიხედე, „ოტელ-პარიზის"—წინ ხალხი ირეოდა. შემდეგ ყველა გაქრა აი ერთამ კიდევ გაირბინა კარების წინ და შემდეგ ყველაფერი მიყუჩდა, ჩემს გარშემო დუმილია, აგერ ნისლი წამოვიდა და დაჰფარა ასმათი, ელიკო, ლიდუსი, მარო, გიორგი. ახლა სრულიად მარტო ვარ. ამ მიყრუებულ მთაზე არც ერთი სულიერი არ ჩანს ჩემს გარდა. ფრინველიც კი არ არის. მე თითქოს მეუფე ვარ ამ მდუმარებისა. ერთი დაყვირებით შემიძლია დავარღვიო ეს ხიჩუმე, გამოვაცოცხლო მკვდარი ბუნება. ჩვენები ისევ ბურუსში არიან გახვეული.—ა—უ—უ—უ!—ვუყვირი მათ. ჩემი ხმა რამდენჯერმე მეორდება, და იქიდანაც მესმის პასუხი. ვაგორებ დიდ ქვებს, რომლებიც ხრიალით მიგორავენ შორს, უფსკრულისაკენ. რა საშინელებაა აქედან დაგორება! მკვდარსაც კი ველარ გიპოვიან.

ქვევით, შორს, უფსკრულის მარჯვნივ, კლდოვან ფერდობზე რაღაც ამოძრავდა. ის ნელ-ნელა წინ მოიწევდა, ახლა კი გავარჩიე: ეს გოგია. თუმცა ძალიან დინჯად, მაგრამ მაინც მოდის. მალ-მალ ჩერდება, ისვენებს, კლდეებს გარშემო უვლის, ზოგან დაოთხებული მიფოფხავს, წერაყინით საფეხურებს იკეთებს, გზა არევია და პირდაპირ კლდეებზე მოდის. ბურუსი გაიფანტა და ჩვენებიც გამოჩდენ. ცა ისევ მოკრიალდა და მყინვარიც გამოჩდა. ჩვენებმა შეამჩნიეს გოგი. ზევიდან უყვირიან. ამხნევებენ.

ყოჩაღ გოგი, ყოჩაღ! ცოტაც და ამოხვალ.

ცოტა ხანს შემდეგ ისიც მწვერვალზეა.

აქედან გიორგიმ გადაიღო მყინვარ-წვერი, მაგრამ, საუბედუროდ, შემდეგ ეს აპარატი დაგვიგორდა და დაიმსხვრა ყველა სურათებით.

გავყევით ქედს. წამს საშინელი ბურუსია, ისეთი რომ ერთმანეთს რამდენიმე ბიჯზედაც კი ვერ ვარჩევთ, მეორე წუთში ბურუსი გაიფანტება და ცა ისევ მოკრიალდება. ერთ კლდეზე შევჩერდით. ვიყურებით დაბლა სოფლისაკენ. უცბად ნისლი წამოვიდა და ერთი წუთით ყველა შიგ გავეხვიეთ. მხოლოდ მყინვარი შორს, მაღლა, ცაში ჩამოკიდებულ შაქრის თავივით მოჩანს, რადგან მისი ფუძე ბურუსშია გახვეული, უცბად ბურუსში ჩემს ლანდს

ვხედავ, რომელსაც ზევიდან ცისარტყელისებური რკალი აქვს.

მე ვყვირი, ხელს ვიქნევ, ლანდიც იქნევს!.

არა მე ვარ, მე ვარ, ყვირიან დანარჩენებიც.

ეს „ბროკენის"—მოვლენაა.

საკვირველია: თვითეული ჩვენგანი მხოლოდ თავის ჩრდილს ხედავს ამ რკალში, სხვისას კი ვერა. საკვირველად მოქმედობს მაღალი მთის ჰაერი ადამიანზე. არაჩვეულებრივად აღფრთოვანებული ვართ. ვყვირით, ვმღერით, ვხარხარებთ. ავახმაურეთ და ავამღერეთ ეს მთებიც, აქ ხომ იშვიათია ჩვენისთანა სტუმრები. ვინ იცის, რამდენი ხანია, რაც აქ არავინ ყოფილა. კაი ხანი გავიდა. დაბრუნების დროა, საშინლად მენანება ამ მთების მოშორება, მაგრამ უნდა დავბრუნდეთ.

ცოცვით ჩავიარეთ კლდეები. ყველაფერი ისევ ბურუსში გაეხვია და ეს სქელი ბურუსი თითქ ის თავზე გვაწევს. თმები მარგალიტისებურ ცვრებით მოგვეჭედა. აღარაფერი არ ჩანს, აღარც ქვევით, აღარც ზევით. ყოველმხრივ მხოლოდ ნაცრისფერი ბურუსია. ბურუსში გახვეული წინ წასულების ლანდები ოდნავ-ღა მოჩანს. ერთი-მეორეს ხმას ვაწვდით, რომ გზა არ აგვერიოს. საშინლად ვჩქარობთ, რადგანაც თითქმის დაბინდდა და გვეშინია ამ კლდეებში ღამემ არ მოგვისწროს. რაც უფრო დაბლა ჩავდივართ, ბურუსი თანდათან თხელდება და ბოლოს მზის სხივებიც შემოიჭრა. აქ ჯერ მზე არ ჩასულა, ჩვენ კი ზევით გვეგონა, რომ ღამდებოდა. თურმე სქელმა ბურუსმა მოგვატყუა.

მივუახლოვდით ბალახოვან ფერდობს, სიარული აქ უფრო ადვილია, მე ბალახზე ვზივარ და ისე მივსრიალებ ქვევით. თუ სისწრაფე მომემატა, წერაყინს. ვარჭობ მიწაში, ვისვენებ და ისევ მივექანები. ჩემს წინ გოგიც ასევე მისრიალებს და გზას მიკვალავს. უკვე დაბინდდა და სიარული გაძნელდა, რადგან სიბნელეში ვერაფერს ვარჩევთ. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ არსად ჩავიჩეხოთ. ქვევით, შორს, რაღაც სინათლე მოჩანს, რომელიც მოძრაობს და თანდათან გვიახლოვდება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩვენები არიან, წამოსული ჩვენ შესახვედრათ, რადგანაც ძალიან დაიგვიანეთ. ამან ჩვენ ისე გაგვახალისა, რომ ღონე ერთი-ორად მოგვემატა და უფრო ყოჩაღად გავსწიეთ ქვევით, რომ ჩვენებს ჩქარა შეეერთებოდით. ცოტა ხნის შემდეგ ყვირილიც გავიგონეთ. ფეხს უფრო მოვუჩქარეთ. აგერ ბებას ხმაც გავიგონეთ, „ჩქარა, ჩაი გელოდებათ!"—ახლა კი დავრწმუნდით, რომ მართლა ჩვენები მოდიოდენ ჩვენ საძებნად. იმავე დროს მარცხენა მხრიდანაც მოგვესმა რაღაც ყვირილი. ახლა კი ავიბენით, არ ვიცით მარცხნიდან მოდიან, თუ ქვევიდან. ცოტა ხანს შემდეგ მარცხნიდან გვიერთდებიან სამი ცირა [1]) და ატო აღნიაშვილი. ცირები: ვერა, სალომე და თამრო ჩვენ შესახვედრად წამოსულიყვენ. ატოს შეშინებია და, რომ ისინი სადმე ხრამში არ გადაჩეხილიყვენ—უკან გამოსდევნებოდა. მართლაც, ისინი სულ სხვა გზით წამოსულიყვენ. ბოლოს ისეთი კლდეები შეხვედროდათ, რომ წინ ვეღარ წასულიყვენ. სწორედ ამ დროს გაეგონათ ჩვენი ყვირილი და რის ვაივაგლახით მოაღწიეს ჩვენამდე. მალე ქვევიდან წამოსულებიც შემოგვიერთდენ. საერთო მხიარულებაა, გვილოცავენ გამარჯვებას. ჩვენც აღფრთოვანებული ვუზიარებთ შთაბეჭდილებას. მალე ბინაზეც მივედით. მთელი დღე არაფერი გვიჭამია, არც მოგვგონებია საჭმელი, თუმცა არც არაფერი წაგვილია. ამიტომ ძალიან ადიანად ვივახშმეთ. საჩქაროდ დავწექით დასაძინებლად, რადგანაც მეორე დღეს უკვე მყინვარისაკენ უნდა გავმგზავრებულიყავით. საშინლად მოქანცული ვიყავი, ამის გარდა შინოზე ასვლის დროს უბრალო ტილოს ფეხსაცმელი მეცვა, რომელიც სულ გაცვდა, ამიტომ ქვებისგან ფეხები სულ დამებეგვა. ძალიან მეშინოდა, რომ ამას მყინვარზე ასვლისათვის ხელი არ შეეშალა.

## ყაზბეგიდან გველეთამდე მავალით, გველეთიდან დევდარაკამდე ქვეითად.

### 26 მარიამობისთვე

მეორე დღეს გვიან ავდექით. დაღლილობას ჯერაც არ გაეევლო, ფეხები მოწყვეტილი მქონდა. სიარული მეზარებოდა. ვისაუზმეთ. მალე მოვიდენ გზის მაჩვენებლები: იაგორ კაზალიკაშვილი (მოხევე), ლევან ქუშაშვილი (მოხევე), აბზი ბეზურტანოვი (ქისტი) და მზიდველები, რომელთაც ჩვენი ბარგი ზევარდენის ბუდემდე უნდა აეტანათ. იმათაც ყველას ფეხზე ბანნდულები ეცვათ,—უფრო კოხტა და ფეხზე მოწყობილი; საკვირველიც არ არის, რადგანაც ისინი მაღლა მთებში კი არა, ბარშიც სასიარულოდ ბანდულებს ხმარობენ და მისი გაკეთება თვითონვე იციან. ხელში კი ყველას გრძელი კომბლები ეჭირათ. სოფელ გველეთამდე ისევ მავალით უნდა წავსულიყავით. ამიტომ რის ვაი-ვაგლახით ჩავეჭედეთ მავალში, გადავიღეთ სურათი, და მავალიც დაიძრა. ჩვენ მარცხნივ ამართულია დარიალის ხეობის უზარმაზარი კლდეები, რომელსაც თვალსაც კი ვერ უწვდენ, მარჯვნივ კი მიგრიალებს მრისხანე თერგი, ალაგ-ალაგ ის მხოლოდ

[1]) ცირა ეწოდება ქალიშვილს 13-დან 16 წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრ ქაფს წარმოადგენს. გზა ძალიან სახიფათოა. მავალა ისეთ კლდეებს ქვეშ მიდის, რომელნიც ყოველ წუთს ჩამონგრევას ლამობენ. აი, გავიარეთ „ეშმაკის ალაყაფი". ეს ის ადგილია, სადაც კლდე თითქოს საგანგებოდ ალაყაფივით არის გამოჭრილი, გზაში ცნობილი რუსი მოთასვლელი პრეობრაჟენსკი (ქალი) შეგვხვდა, რომელიც თავის მოწაფეებთან ერთად ძაუგიდან მოდიოდა. ეს არის მყინვარზე ასული პირველი ქალი. მავალა გავაჩერეთ, პრეობრაჟენსკის ქალი უკვე მოხუცია, თმა გათეთრებული, საშინლად გამხდარი და სუსტი. ის მყინვარზე ცხრაჯერ ყოფილა. ის გვიცხადებს, რომ ჩვენ მყინვარზე ვერ ავალთ, მყინვარი მაგდენ ხალხს ვერ დაგვიმაგრებს, მყინვარის გზა ძალიან ძნელია და „გოლოვინსკს" არ გავსო. ამ სიტყვებმა ყოველი ჩვენგანი უფრო გაახალისა და გულში ჩაუ-

სტეფან-წმინდიდან გამგზავრება გველეთისაკენ.

ნერგა, რომ ის უ'ათუოდ უნდა ავიდეს მყინვარზე. გამოვეთხოვეთ პრეობრაჟენსკის ქალს და ისევ წინ გავსწიეთ. მალე გველეთს მივუახლოვდით— მავალა ხიდზე გაჩერდა.



ხიდი თერგზე—გველეთში

სოფელი გველეთი სულ ხუთი კომლისაგან შესდგება. აქ ქისტები ცხოვრობენ. ერთი ჩვენი გზის მაჩვენებელთაგანი აბზი ბეზურთანოვი ამ სოფლიდანაა. ზედმეტი ბარგი მის სახლში მივზიდეთ. ხიდთან კარგა ხანს გავჩერდით, რადგანაც ბარგს მზიდველებს უნაწილებდენ. მზიდველები კი ცდილობდენ, რაც შეიძლება ნაკლები ბარგი აეკიდათ, ვინც მყინვარზე ასვლას ვაპირებდით, სრულიად უტვირთოდ უნდა ვყოფილიყავით, რადგანაც ჯანს სამყინვარწვეროდ ვიზოგავდით. ჩვენს ცირებს, თამარ ჩიჯავაძეს და ბებას, რომლებიც მყინვარზე ასვლას არ აპირობ-

გზა გველეთიდან დევდარაკისაკენ.

დენ ტვირთი თვითონ მიჰქონდათ. გავუდექით გზას. გავიარეთ პატარა სოფელი, დაიწყო ალმართი. გადაწყვეტილი გვაქვს ღამე დევდარაკის მყინვართან გავატაროთ, ამიტომ არ ვჩქარობთ. გზა ძალიან ლამაზია: მარცხნივ—ტყიანი და ყვავილებიანი ფერდობები, მარჯვნივ—ხევი, შუაში—პატარა ბილიკი. ეს ბილიკი ნიაღვრებისაგან ზოგან ისეა წამხდარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო გავლის დროს. როგორც იაგორამ გვიამბო, ერთ-ერთ ამისთანა ადგილას ერთი ინჟინერი ცხენით ჩავარდნილა და და-

მაღალ მთის მცენარეულობა, გვიმბრა.

ღუპულა. ხშირად ვხვდებით ნაკადულებს, რომლებიც მაღალ ფერდობიდან ან კლდიდან გადმოჰქუხს, გზა გველივით მიიკლაკნება მთაზე, რომლის გადაჭრაც შეიძლება ფერდობებით. თუმცა ეს ფერდობები ძალიან დაქანებულია და მეტად ძნელია მათზე სიარული, მაგრამ ერთი ჯგუფი სწორედ ამ გზას დავადექით. ეს ფერდობები დაფარულია სხვადა სხვა მცენარეებითი, შვიათი ყვალილებით და ჟოლოს ბუჩქებით. სიარულის დროს ჩვენი წერაყინები ძალიან გვეხმარება. გემრიელ ჟოლომ გაგვახალისა და თითქოს გზაც გაგვიადვილა. ბუნების სილამაზემ წინა დღის დაღლილობა სრულიად დამავიწყა, მალე ფერდობების გადაჭრა შეუძლებელი გახდა, და ბილიკს დავადექით. ნაკადულებს ხშირად ვხვდებით, ვჩერდებით, პირველ „კაზარმასთან“ მივედით. ადგილობრივი მცხოვრებლები „კაზარმებს“ უწოდებენ იმ შენობის ნანგრევებს, რომელიც უწინ მგზავრების თავშესაფარს წარმოადგენდა. პირველ „კაზარმას“—ახლა ქართულად „ტბა-წყარო“ ჰქვია, მეორე „კაზარმისკენ“ გავსწიეთ, ეს „მეორე კაზარმაც“ ნანგრევია იმ შენობისა, რომელიც უწინ იმ მიდამოებში სპილენძის მადნის დამუშავების დროს კანტორას წარმოადგენდა. ახლა, რევოლიუციის შემდეგ, მუშაობა შეწყვეტილია. ჩვენს შემდეგ, ობსერვატორიის ექსპედიციამ ამ ადგილს „დიდებულიძის ნაბინავარი“ უწოდა, თავისი ხელმძღვანელი პროფ. დიდებულიძის სახსოვრად. აქედან უკვე დევდარაკის მყინვარი იწყება. აქ გრძნობ, თითქოს უზარმაზარ გამოქვაბულში შე-

მ ა ღ ა ლ ი მ თ ი ს მ ც ე ნ ა რ ე უ ლ ო ბ ა. (შქერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიხარ. მარჯვნივ და მარცხნივ უზარმაზარი კლდოვანი მთებია, რომლებიც ბინდ-ბუნდში შავად გა-

**მაღალ მთის მცენარეულობა, (იელი).**

მოიყურება, წინ კი კედელივით ამართულია დევდარაკის მყინვარი, რომელიც შორს, ცაღლა, თეთრად დათოვლილ მთებს უერთდება. „კაზარმის“ გარშემო ბევრი ფიცარი ეყარა. მოვაგროვეთ და დიდი ცეცხლი დავანთეთ. კარვის გამგეებმა ბებას მეთაურობით კარავის დადგმა დაიწყეს, ჩვენ კი შემოუსხედით ცეცხლს გარშემო და ვმღეროდით. იქვე ჩვენი ტვირთის მზიდველები შეკრებილიყვენ თავის კარავში და ისინიც მღეროდენ. უკვე კარგა დაღამდა. მთებიდან ღრუბლები თანდათან დაბლა ჩამოწვა და თითქმის თავზე გადაგვეფარა. დრო და დრო მოისმოდა ყინულის ჭახანი, ზვავის გრიალი, კლდეების ხრიალი და მთების ყრუ გამოძახილი. ყოველი ასეთი გრიალი ჩვენში შიშს იწვევდა. ადამიანი ხომ მეფეა დედამიწის ზურგზე. რა ძლიერია ბუნება, რა პატარა და სუსტია ადამიანი მასთან შედარებით, მაგრამ თითქმის ბუნების ბატონიც კი გახდა, დაიმორჩილა მრავალი გაუვალი მწვერვალები, ზღვა და ცა. კარგა გვიან იყო, გვეძინებოდა, მაგრამ ამ ცეცხლის მოშორებაც არ გვინდოდა. შევედით კარავში და რის ვაივაგლახით მოვთავსდით შიგ 21 კაცი და ჩვენი ბარგი—ოთხი ტომარ ნა-



**დევდარიკის მყინვარის სათავე.** (გადაღებული შევარდენის ბუდიდან).

ხმით—რომელიც კარში ვერ დავტოვეთ, რადგან გვეშინოდა, არ დანოტივებულიყო. კარავში კარგა ხანს ვიხმაურეთ, ბოლოს საშინლად დაღალულებს თვით ამ პირობებშიც იქ, გულიანად დაგვეძინა. მეორე დილით ადრე წამოვიშალეთ. ჩვენს მზიდავებს დიდი ცეცხლი დაენთოთ და მის გარშემო ტრიალებდენ. დავარიგეთ საუზმედ ნახევარი გირვანქა ნახმი, თითო ნაჭერი ჭოლი და სამ კაცზე ერთი კოლოფი კონსერვი.

ძმებმა დაიწყეს ტვირთის განაწილება მზიდავებს შორის. ახლა ტვირთის ზიდვა ჩვენც მოგვიხდა, რადგანაც ტვირთის მზიდავებმა გუშინდელზე ნაკლები ტვირთი აიკიდეს და წინ წავიდენ. უმრავლესობა წინ არის წასული, ტვირთი კი იმდენი დარჩა, რომ მარტო ჩვენ ვერ ვზიდავდით, ამიტომ ბარგის ნაწილი იქვე დავტოვეთ, სადაც ორი ძმა დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დევდარაკიდან შევარდენის ბუდემდე.

### 27 მარიამობისთვე

შევუდექით დევდარაკის მყინვარის გადავლას. დევდარაკის მყინვარი წარმოადგენს დიდ ხევს, რომელიც სავსეა მყინვარიდან მდინარესავით ჩამოწოლილ ყინულით. მისი ზედაპირი, რომელიც დროთა ვითარებისგან გაქანებულ თოვლს წარმოადგენს, რომელიც მრავალ ადგილას დახეთქილია და ამ ნაპრალებში თეთრად აქაფებული წყალი მიჩხრიალებს. ამ ღრმა და განიერ ნაპრალებს შორის იაგორამ ამოარჩია უფრო ვიწრო ნაპრალი, რომელზედაც გადავხტით. დევდარაკის მყინვარის შემდეგ დაიწყო ბარტ კორტის მთის ალმართი, რომლის ქედზედაც შევარდნის ბუდე არის. გადავიარეთ პატარა ჩანჩქერი, რომელიც ჯერ პატარა ფერდობით იწყება, შემდეგ კი დიდ ალმართზე გადადის, ბოლოს მცენარეულობაც ილევა და პიტალო კლდეები იწყება. შევუდექით ალმართს. ძალიან დინჯად მივდიოდით. თითქმის ყოველი ათი ნაბიჯის შემდეგ ვისვენებდით, რადგანაც გული საშინელი სისწრაფით სცემდა. ყოველ შესვენების დროს ელიკო, რომელიც „კამფეტთ უხუცესი"—იყო, ხუთ-ხუთ ცალ „კამფეტს" გვირიგებდა. ეს შემდეგ შესვენებამდე უნდა გამოგვეზოგებია, უკანასკნელ ბალახოვან ადგილას დავიწყეთ საბანდულე ბალახის კრეფა. რადგან იაგორამ გვითხრა, რომ ამას შემდეგ ბალახი აღარსად შეგვხვდება და, თუ აქ არ დაკრიფეთ, ზევით ველარ იშოვითო. დავკრიფეთ ყველამ საკმარისი ბალახი და შევუდექით კლდეებს.

ჩემის აზრით ეს გზა უფრო ძნელია და განსაკუთრებით საფრთხილო, ვიდრე თვით მყინვარწვერის, წოწის (კონუსის) გზა. ერთი ბეწვა გაუფრთხილებლობა, წინ მოსიარულეთა ოდნავ უხერხულად გადადგმული ნაბიჯი, დაღუპვას უქადის დანარჩენებს. ხშირად გვხვდება რაღაცა განგებით შეჩერებული უზარმაზარი კლდე. საკმარისია მისი ოდნავ შერხევა, რომ მან ისევ განაგრძოს თავისი გზა. თუმცა დიდი სიფრთხილით მივდიოდით, მაგრამ დრო და დრო ისმოდა ქვის ხრიალი და ყვირილი „ფრთხილად, ქვა მოდის, ქვა!"—ყველა შეშინებული და თვალებ დაჭყეტილი იყურება ზევით, რომ ქვას თავის დროზე გზა აუქციოს. ხშირად გვესმის საშინელი ხრიალი, ხევების ყრუ გამოძახილი. ხედავ დიდი კლდე მოწყვეტილა და, ვინ იცის, რომელ უფსკრულში ჩაგორდება. ზოგგან ისეთი კლდეები გვხვდება, რომ ერთმანეთს ვეხმარებით და ისე გადავიარეთ. ალაგ-ალაგ მარჯვნივაც და მარცხნივ ბილიკი, ბილიკი, ბილიკი კლდეებია და ჩვენ მაინ შორის ამართულ პატარ-პატარა კლდეებზე მივცოცავთ, ზოგი ჩვენი მოძრაობა ტანვარჯიშის კიდში ვარჯის მოგვაგონებს, უმეტესად კი ბჯენში ვარჯიშს, რადგან ხშირად გვიხდება ორ გამოწეულ კლდეზე დაბჯენა და ფეხების ზევით გადაქნევა. ყოველივე ეს ჩვენ ძალიან გვახალისებს. ისედაც ძნელს გზას უფრო ვიძნელებთ და ვცდილობთ, რაც შეიძლება დიდ და ძნელ კლდეზე ავცოცდეთ. იაგორას ჩვენი ასეთი უგზო სიარული არ მოსწონდა (თუმცა ნამდვილად აქ არავითარი გზა არ იყო და მე გზათ იმას ვიხსენიებ, საითაც იაგორა რაღაცა ნიშნების დახმარებით მიდიოდა.) და ხშირად გვესმოდა მისი ხმა და გაფრთხილება: „მანდეთ ნუ მიდიხარ, ქალაუ, გონჯი გზაა და დაიღუპები"—ან ჩვენი ტვირთის მზიდავების ერთმანეთისადმი მიმართვა:

„შენაი ჭირაიმე, ესენი თხები ყოფილან, თხები"—

თვით უკანასკნელი მანძილი ძალიან დინჯად ავიარეთ, რადგან ძალიან მოქანცულები ვიყავით და, თითქმის, ყოველ სამი ნაბიჯის შემდეგ ვისვენებდით, და აი სრულიად მოულოდნელად მივადექით მწვერვალს და დავინახეთ შევარდენის ბუდე „ერმოლოვის ქოხი". ტყუილად არ დაურქმევიათ ამ ქოხისთვის შევარდენის ბუდე. მართლაც რომ შევარდნის ბუდეს მოგაგონებთ ეს ქოხი, რომელიც მწვერვალზე ბუდესავით არის მიკრული. სრულ პირველ საათზე მწვერვალზე ვიყავით, ასვლის შემდეგ მთელი ნახევარი საათი ვისვენებდით, შემდეგ კი საუზმეს მივყავით ხელი, რადგანაც ყველას საშინლად მოგვშივებოდა. სურსათის კომისიამ დაიწყო სურსათის დარიგება. დავარიგეთ ნახევარი გირვანქა სუხარის ნახმი და დაყურსული რძე სამ კაცზე თითო კოლოფი, კონსერვიც ასევე, ამოდენა ალმართის ამოვლის შემდეგ ყველას შესანიშნავი მადა გვქონდა, უნდა ვთქვა, რომ ისეთ პირებს, როგორც ბებო, შაქრო და მიშა ჭინჭარაძეა, ჩვენი საუზმე პირისქარათაც არ ყოფნიდათ, (თუმცა ეს უკანასკნელნი მუდამ სხვებზე მეტს იღებდენ) ამიტომ როგორც ყველამ შეამჩნია, ბება ამ ორ დღეში საშინლად გახდა.

**მ. ბეჟანიშვილი.**

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშთა შემოქმედება

## წითელი სხივი

მთის მწვერვალთ შორის აციალდა წითელი სხივი,
და მკთალ ლანდებით აფერადდა გარემო ცივი.

თავი დაჰხარეს ყვავილებმა, გაცოცხლდა ველი,
ჩიტები გალობს, ნაზად დაჰქრის ნიავი ნელი.

და აელვარდა მთლად ქვეყანა სხივის ანთებით,
გადაიფერა არე-მარე წითელ ალებით.

ნაზად შემოსა ყვავილებმა ზურმუხტი მტელო,
და მორთულია საზეიმოდ დღეს საქართველო.

ყველას აცნობა ნაზმა სიომ—თავის ჩურჩულით
რომ დღეს არ კვნესის დაჩაგრული საბრალო გულით.

რომ დღეს გამოკრთა მომხიბვლელი ვარსკვლავი
და ზეიმია სანეტარო თავისუფლების. |შვების,

1 რაონ. ახ. ლენინ. **შალვა კაპანაძე**

---

**წითელი სხივის № 2—3-ში მოთავსებული გასართობ-ამოცანების ახსნა:**

მამა და შვილები.
ბალი ასე გაიყვეს:




## წითელი სხივი

დაპურებული ჯეჯილი
გადაიქცა წითელ სხივით
გაახარა ჩვენი გული
აკინძულმა ლამაზ მძივათ.
დე, დღეიდან გააშუქოს
მან ცხოვრება ბავშებისა,
შეგვასწავლოს როგორ ვპოვოთ
გზა ცხოვრების და შვებისა.
მას ვუსურვოთ—წრფელი გულით
ჩვენი ქვეყნის განათლება,
რომ თვის მიზანს მიაღწიოს.
მოიპოვოს გამარჯვება.
ყმაწვილებო, გეტყვით ამას,
რომ მშრომელი ოფლს ღვრის იბრძვის,
ახალ ხანის სიახლოვით
მთლად მსოფლიო ტოკავს, იძვრის
ჩვენ თუ გვინდა რომ შეეუშროთ
მშრომელ მუშას ცრემლის მძივი,
ვისწავლოთ და ვიბეჭითოთ,
წავიკითხოთ ჩვენი სხივი.

**მ. გველესიანი**

---

**გაჭირვებული მდგომარეობა.**

ხარები ასე იდგენ რიგში *)

წწწწ შშშშ წწ შ წწწ შ წ შშ წწ შშ შ
შშ წწ შ.

*) ასო წ. აღნიშნული ხარები წითელი ფერის, ხოლო ასო შ—შავი ფერის.

# 1924 წ.

# გამოდის
## ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული
## ჟურნალები

მოზრდილთათვის **წითელი სხივი** წელიწადი 1

მცირე წლ. **ნაკადული** წელ: მე-XX

ჟურნალის გამოცემა ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა სკოლებისთვის სავალდებულოა.

ლენინის სახელოგის საქართველოს გავშთა კომუნისტური ჯუფეგის ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველ-კოლექტივის, გავშთა კომუნისტური მოძრაოგის თვითეული ხელმძღვანელის, გიგლიო-სეკეგის და სამკითხველოე-გის ვალდებულებაა გამოიწეროს

## „წითელი სხივი"

— და —

## „ნაკადული"

ხელის მოწერა მიიღება თვიურად

| | | | |
|---|---|---|---|
| ცალკე | „წითელი სხივი" | — | 40 კ. |
| „ | „ნაკადული" | — | 25 კ. |

გადაგზავნა ხელის მომწერის ხარჯით

მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5, განათლების სახალხო კომისარიატი „წითელი სხივის" და „ნაკადულის" რედაქცია.

რ. ედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.